

საქართველოს ბიოლოგიური მემორიალი და ჰომოტექნიკოლოგიის საზოგადოება
ჰომოტექნიკოლოგიის საერთაშორისო ასოციაციის საქართველოს განყოფილება

ჰომოტექნიკოლოგია – ბიოტექნოლოგიის მემორიალი



თბილისი
2009

საქართველოს ბიომომენტის აღმოჩენისა და
ჰომოტიპიზაციის სპეციფიკაცია

ჰომოტიპიზაციის სპეციფიკაციის ანალიზის
საქართველოს ბაზაში

ჰომოტიპიზაცია — ბიომომენტის აღმოჩენა

მედიკალინური ინსტიტუტი

თბილისი
2009

სახელმძღვანელოში განხილულია ბიოლოგიური მედიცინის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულების – ჰომოტოქსიკოლოგიის საფუძვლები. ჰომოტოქსიკოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილი პირველი სახელმძღვანელო საქართველოში გამოიცა 1997 წელს. წინამდებარე გამოცემა არის რიგით მეხუთე, რომლის თეორიული ნაწილი მნიშვნელოვნად განახლებულია.

ეკოლოგიურად დაბინძურებულ თანამედროვე გარემოში ადამიანის ჯანმრთელობის გადარჩენისათვის დღითიდღე იზრდება ჰომოტოქსიკოლოგიის მნიშვნელობა. ჯანდაცვის სისტემაში სულ უფრო ძლიერი ქიმიური მედიკამენტების გამოჩენა ადამიანის ორგანიზმის ენდოეკოლოგიის შეცვლის ახალ რისკებს შეიცავს და ხშირად იწვევს მწვავე დაავადებათა ქრონიზაციას. ყოველწლიურად მატულობს ალერგიული რეაქციების რიცხვი არა მარტო ერთი შეხედვით უვნებელ მედიკამენტებზე, არამედ ყოველდღიურ საკვებ პროდუქტებზეც.

ასეთ პირობებში გასაკვირი არ არის მსოფლიო სამედიცინო საზოგადოების მზარდი ინტერესი ბიოლოგიური მედიცინის და ჰომოტოქსიკოლოგიის მიმართ, რომელიც გამოირჩევა უსაფრთხო და ეფექტური სამკურნალო საშუალებებითა და მეთოდებით.

წინამდებარე სახელმძღვანელოში ჰომოტოქსიკოლოგიის თანამედროვე საფუძვლების გარდა მოცემულია დაავადებების მკურნალობის სქემები და საქართველოში რეგისტრირებული ანტიჰომოტოქსიკური მედიკამენტების სრული ანოტაციები.

წარმოდგენილი მასალა დახმარებას გაუწევს სხვადასხვა სპეციალობის ექიმებს, მეცნიერებს, სტუდენტებს, ფარმაცევტებს და ყველა იმ პირს, ვინც დაინტერესებულია უსაფრთხო და ეფექტური მეთოდების შესწავლით და გამოყენებით.

პროფ. დიმიტრი კორძაია

რეცენზენტი *პროფ. დ. კორძაია*

რედაქტორი *თ. ტერუნაშვილი*

შემდგენელი *შ. კრაწაშვილი*

კორექტორი *ბ. ნავროზაშვილი*

კომპიუტერული

უზრუნველყოფა *შ. ღათაშვილი*

ISBN 978-9941-0-1778-0

© „ნატუროპათი“, 2009 წ.

ჰომოტოქსიკოლოგიის ფუძემდებელი ჰანს ჰაინრიხ რეკვევეგი ხედავდა მედიცინის ახალ მიმართულებას, რომლის შექმნა შეიძლებოდა თანამედროვე მედიცინის მოთხოვნების და ჰომეოპათიის პრინციპების გათვალისწინებით. დღეისათვის ეს ხედვა მეტად რეალურია.

დ-რ რეკვევეგი, რომელიც მოღვაწეობდა ჰომეოპათიასა და კონვერციურ მედიცინაში, 1936 წელს დაიწყო ჰომოტოქსიკოლოგიის თეორიის ჩამოყალიბება. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გერმანიაში იმ დროისათვის ცნობილი ექიმების შრომებმა. განსაკუთრებით კი ქირურგის – ავეუსტ ბირის შრომებმა, რომელსაც სჯეროდა მრავალი იმ პროცესის არსებობა, რომელიც დღეს ჩვენთვის ცნობილია ბიორეგულაციის სახელწოდებით.

ჰომოტოქსიკოლოგიას, როგორც ბიომარეგულირებელ თერაპიას, გააჩნია უნიკალური შესაძლებლობანი, დააკვირდეს დაავადების განვითარების ან მისი რეგრესის დინამიკას და შესაბამისად ჩამოაყალიბოს მკურნალობის ადეკვატური გეგმა. ამისთვის შემოთავაზებული არის „ინსტრუმენტი“, რომელსაც დღეს ეწოდება დაავადების განვითარების ცხრილი (ჰ. რეკვევემა მას უწოდა ჰომოტოქსიკოზის ექსფაზიანი ცხრილი).

ანტიჰომოტოქსიკური პრეპარატები წარმოადგენენ კომპლექსური ჰომეოპათური წესით მომზადებულ მედიკამენტებს, რომლებშიც გამოყენებულია მცენარეები, მინერალები, მეტალები და სხვა ბიოლოგიური მასალები. მათი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მათ გააჩნიათ მრავალკომპონენტური, კომბინირებული შემადგენლობა, რომელიც მიზნობრივად არეგულირებს დაავადების სხვადასხვა პროცესს ისევე, როგორც ეს ბუნებრივად არის ადამიანის ორგანიზმში. მათ ასევე გააჩნიათ დამატებითი უპირატესობა – მინიმალური გვერდითი ეფექტები, რადგანაც არ ხდება არც ერთ ფერმენტზე ან რეცეპტორზე არანაირი დათრგუნვითი ზემოქმედება.

ანტიჰომოტოქსიკური მედიკამენტების უსაფრთხოება დადასტურებულია 60-ზე მეტი ქვეყნის ათასობით ექიმის მიერ, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე ფართოდ გამოიყენებენ მკურნალობის ამ მეთოდს. ჰომოტოქსიკოლოგია დღეისათვის ისწავლება მსოფლიოს ბევრ უნივერსიტეტში და მრავალი კვლევა ამტკიცებს ამ პრეპარატების ეფექტურობასა და უსაფრთხოებას.

მედიცინის ეს მიმართულება მისაღებია იმ ექიმებისთვის, ვინც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ცოლნის გაღრმავებასა და, აგრეთვე, პაციენტის დახმარებას სხვადასხვა მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროს.

დოქტორი ალტა სმიტი
ჰომოტოქსიკოლოგიის საერთაშორისო
აკადემიის რექტორი

ბადენ-ბადენი
2009 წლის აგვისტო



*მე მედიცინისთვის ვწერ რაღაც სრულიად არაჩვეუ-
ლებრივს, ახალს. მრავალი წელი გაივლის, ვიდრე ეს ყველას
მიერ იქნება აღიარებული და შეფასებული.*

ჰანს ჰაინრიხ რეკევეგი

თაზო 1

ჰომოტიქსიკოლოგია

ჰომოტოქსიკოლოგია თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთი მეცნიერული კონცეფციაა. ტერმინი „ჰომოტოქსიკოლოგია“ შედგება სამი სიტყვისაგან: „ჰომო“ – ადამიანი, „ტოქსიკო“ – ტოქსინი და „ლოგოს“ – მეცნიერება, სწავლება.

ამრიგად, **ჰომოტოქსიკოლოგია არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ტოქსინების ზეგავლენას ადამიანის ორგანიზმზე.**

ჰომოტოქსიკოლოგიის ფუძემდებელია გერმანელი ექიმი და მეცნიერი ჰანს ჰაინრიხ რეკვევეი. ის დაავადების გამომწვევ მიზეზად ადამიანის ტოქსინებს, ჰომოტოქსინებს მიიჩნევდა. მან შემოგვთავაზა მკურნალობის ორიგინალური მეთოდი, რომელსაც ანტიჰომოტოქსიკური თერაპია უწოდა.

ჰომოტოქსიკოლოგია შეისწავლის ჰომოტოქსინის ზემოქმედებას უჯრედის ფუნქციებზე და, შესაბამისად, მთლიანად ორგანიზმზე. დამცველობითი მექანიზმების რეაქცია ჰომოტოქსინზე განსაზღვრავს პაციენტის კლინიკურ მდგომარეობას. ორგანიზმის მცდელობა, გათავისუფლდეს ტოქსინებისაგან, გამოიხატება სიმპტომებით.

ისევე, როგორც კლასიკურ მედიცინაში, ჰომოტოქსიკოლოგიაშიც დაავადების განვითარებისა და მკურნალობის მექანიზმები აიხსნება მოლეკულურ-ბიოლოგიური მოდელის საშუალებით, ამიტომ ჰომოტოქსიკოლოგია მისაღებია „არაკონსერვატული“ შეხედულების მქონე ექიმებისათვის. მეორე მხრივ, ანტიჰომოტოქსიკური პრეპარატები შეიცავენ აქტიური ნივთიერებების მიკრო- და ნანო- დოზებს, რაც, ტრადიციული მედიკამენტებისაგან განსხვავებით, განაპირობებს მათ არატოქსიკურობას. გვერდითი მოვლენებისა და უკუჩვენებების უმნიშვნელო რაოდენობის, უსაფრთხოებისა და ეფექტურობის გამო ჰომოტოქსიკოლოგია მიეკუთვნება „დამზოგველ“ კომპლემენტარულ მედიცინას. ამასთანავე, ჰომოტოქსიკოლოგია აკავშირებს ერთმანეთთან კლასიკურ და კომპლემენტარულ მედიცინას, მოიცავს, როგორც თანამედროვე სამედიცინო დიაგნოსტიკას, ასევე კომპლემენტარული მედიცინის „რბილ და დამზოგველ“, არატოქსიურ მიდგომას.

ანტიჰომოტოქსიკურ მედიცინაში პაციენტის დაავადების მიმდინარეობის დინამიკის შეფასების მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს დაავადების განვითარების ცხრილი (ღზც). ძალიან მნიშვნელოვანია

ის ფაქტი, რომ დროთა განმავლობაში დაავადება განიცდის „ეკოლოგიას“ და, შესაბამისად, მისი ადგილი ცხრილში იცვლება, რაც მოქმედებს ჩვენს გადაწყვეტილებაზე: კორექტულად შევარჩიოთ პაციენტის მკურნალობის სტრატეგია და შესაბამისი ანტიჰომოტოქსიკური პრეპარატი.

საყურადღებოა, რომ ჰომოტოქსიკოლოგიაში ტერმინები „დაავადება“ და „ჯანმრთელობა“ კლასიკურ მედიცინისაგან განსხვავებულ შინაარსს იძენს.

ჰომოტოქსიკოლოგიური თვალთახედვით, დაავადება არის ორგანიზმის რეაქცია დესტრუქციული ტოქსინის წინააღმდეგ. ის, რასაც ჩვენ კლინიკურ სიმპტომებს ვუწოდებთ, საფრთხის მიმართ ორგანიზმის დამცველობითი სისტემის საპასუხო რეაქციის გარეწული გამოხატულებაა. ეს ნიშნავს, რომ დაავადება ორგანიზმში დამცველობითი პროცესების მიმდინარეობის მტკიცებულებაა.

ვიდრე დაავადების კლინიკური სიმპტომები განხილული იქნება როგორც პაციენტის სიცოცხლისადმი „საფრთხე“ და მკურნალობის მთელი ძალისხმევა მიმართული იქნება მათი მოხსნისაკენ (დათრგუნვისაკენ), თერაპიის შედეგები მხოლოდ ზედაპირული იქნება და ამით, ფაქტიურად, პაციენტის ჯანმრთელობას საფრთხის ქვეშ დაფაყნებთ.

ანტიჰომოტოქსიკური მკურნალობა მიმართულია ჰომოტოქსინების, როგორც დაავადების გამომწვევების წინააღმდეგ. ის ზემოქმედებს დაავადების ძირითად მიზეზზე ორგანიზმის საკუთარი დამცველობითი სისტემის გაძლიერების მეშვეობით. ჰომოტოქსიკოლოგია მკურნალობის არა დამთრგუნველი, არამედ მარეგულირებელი მეთოდია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება მივიღოთ ასეთი განსაზღვრება:

„დაავადება“ არის ბიოლოგიურად მიზანშეწონილი დამცველობითი მექანიზმების რეაქცია შინაგანი და გარეგანი ჰომოტოქსინების წინააღმდეგ.

დეტალურად განვიხილოთ ეს განსაზღვრება.

ბიოლოგიურად მიზანშეწონილი. „ბიოლოგიურად“:

ძველ ბერძნულად „ბიოს“ ნიშნავს სიცოცხლეს, „ლოგოს“ – სიტყვას, მეცნიერებას, მცნებას. ყოველი თერაპიული მოქმედება, რომელიც მიმართულია კონკრეტული ბიოლოგიური ფაქტის (მოვლენის)

საწინააღმდეგოდ, მიმართულია ასევე სიცოცხლის საფუძვლების და ნორმების საწინააღმდეგოდ. თუკი ვთრგუნავთ ექსკრეციას და ეს ექსკრეცია მიმართული იყო ჰომოტოქსინების გამოდენისა და ქსოვილებზე მათი უარყოფითი ზეგავლენის შეჩერებისკენ, ვაჩერებთ გასუფთავების პროცესს და ორგანიზმს ვტოვებთ ჰომოტოქსინების ზემოქმედების ქვეშ. ამ, გამასუფთავებელი პროცესის ბლოკირებით ვიღებთ შედეგს, მიმართულს სიცოცხლის საწინააღმდეგოდ, რადგანაც ჰომოტოქსინები რჩება ორგანიზმში და იჭრება უფრო ღრმად, უჯრედშორის მატრიქსში, ხოლო შემდეგ უჯრედში.

„მიჯანშეწონილი“: ეს არის ძირითადი მცნება დაავადების ჰომოტოქსიკოლოგიურ განმარტებაში. იგი აღნიშნავს, რომ დამცველობითი სისტემის რეაქცია ადექვატურია სასურველი შედეგის მისაღწევად. დაცვის მობილიზება ხდება იმ დონეზე, რომელიც საჭიროა სასურველი შედეგის მისაღწევად. მისი მიზანია ორგანიზმიდან ჰომოტოქსინების გამოდენა და მათი ნეგატიური ზემოქმედების მოხსნა უჯრედებსა და უჯრედშორის გარემოზე, აგრეთვე, ჰომეოსტაზის დარღვეული წონასწორობის აღდგენა. აქტივობის დონის რეგულაცია ხორციელდება აუტორეგულაციური სისტემების კომპლექსური მექანიზმებით, რომლისც ურთიერთქმედებს ტრანსმიტერების საშუალებით და იმართება უკუკავშირის პრინციპით. დამცველობითი სისტემის რეაქციების უმრავლესობა მიზანშეწონილია, მაგრამ არ არის გამორიცხული არაადექვატური რეაქციების შემთხვევებიც, რომელსაც შეუძლია დაავადების გამოწვევა. მაგალითად, აუტიომუნური დაავადებები არის დამცველობითი სისტემის არაადექვატური რეაქციის შედეგი. ასეთ დროს ორგანიზმის იმუნური სისტემა უტევს საკუთარ ქსოვილებს, რომელიც წესით უნდა დაეცვა. ასეთივე პროცესები მიმდინარეობს მაგალითად პოლინოზის დროს. დამცველობითი სისტემა არაადექვატურად აფასებს „დამნაშავეს“ (მაგ. მტვრის ნაწილაკებს) და ამიტომ მისი რეაქცია „არამიზანშეწონილია“.

„დამცველობითი მექანიზმების რეაქცია“ – არის ის, რასაც ვხედავთ. ორგანიზმის რეაქციას ვაკვირდებით დაავადების სიმპტომების საშუალებით. ჰომოტოქსიკოლოგიის მიხედვით, სიმპტომები არის ინტოქსიკაციის წინააღმდეგ ორგანიზმის დამცველობითი მოქმედება. შესაბამისად, მაგალითად, ანთების აღმოცენების დროს ზომები უნდა მივიღოთ იმ ჰომოტოქსინების წინააღმდეგ, რომლებიც

იწვევს ამ ანთებას, და არა სიმპტომების წინააღმდეგ. სიმპტომების დათრგუნვა შეიძლება შევადაროთ აისბერგს, რომლის ჩაძირვასაც ვაპირებთ, რათა ის ზედაპირზე აღარასოდეს გამოჩნდეს, მაგრამ იგი გამოჩნდება მაშინვე, როგორც კი შევწყვეტთ ჩაძირვის მცდელობას. ამ ფენომენით აიხსნება რეციდივების სიხშირე მედიცინაში. შეიძლება მოვიყვანოთ კიდევ ერთი შედარება. კლინიკური სიმპტომები არის ღრმა შინაგანი პროცესების მაჩვენებელი ისევე, როგორც სიტყვებია მოსაუბრის აზრების გამოხატულება. მეტყველების სურვილის დათრგუნვა ან ღუმილის ბრძანება არ შეცვლის მოსაუბრის ცნობიერებაში აზრები წარმოშობას. ფსიქოთერაპიულ მკურნალობას ავტომატურად მოსდევს აზროვნების გადაწყობა. ანალოგიური პროცესი ხდება ვირუსული ინფექციების დროს სიცხის დამწვევის გამოყენებისას, რომელიც მხოლოდ ხანმოკლე დროით არის ეფექტური. მომავალში ეს უფრო გააძლიერებს ვირუსის გავრცელებას, რადგან მაღალი ტემპერატურისთვის დამახასიათებელია მიკროსტატიკური ეფექტი, როდესაც ციტოკინების მოქმედება უფრო ეფექტურია.

დამცველობითი მექანიზმის ფუნქციაა დაიცვას ორგანიზმი ტოქსიკური გადატვირთვისგან. ის ამ ფუნქციას ასრულებს არა მხოლოდ ანტიგენების სისტემაში შეჭრის მცდელობის დროს. დამცველობითი მექანიზმი მუდამ მზად უნდა იყოს „ავარიული“ სიტუაციისათვის. ჰომეოსტაზის დარღვევის დროს მას შეუძლია თავის თავზე აიღოს ის ფუნქცია, რომელიც დეფიციტურია: იმუნური, ჰორმონული, ფერმენტული და ა.შ. დამცველობითი მექანიზმის მხოლოდ მუდმივი „ავარიული მზაობა“ განაპირობებს ორგანიზმის ეფექტურ და მიზანშეწონილ დაცვას. ამ სისტემის დაზიანებას კი მივყავართ ინტოქსიკაციამდე. რეგულაცია ხორციელდება პოზიტიური და ნეგატიური სისტემების უკუკავშირის საშუალებით. ამ უკუკავშირის ბლოკირება ან შემოვლითი გზით მისი ჩანაცვლება ხელს უშლის რეგულაციას და იწვევს ქრონიკულ დაავადებებს.

„შინაგანი და გარეგანი ჰომოტოქსინეზი“: ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც ტოქსიკურია ადამიანის ორგანიზმისათვის. ტოქსიკურობას შეიძლება ჰქონდეს ბიოქიმიურ-მოლეკულური, ფიზიკური ბლოკირების ან, აგრეთვე, ურთიერთქმედების დამრღვევი ეფექტი. ჰომოტოქსიკოლოგიის ინტერესის საგანს წარმოადგენს არა იმდენად თვით ჰომოტოქსინი, რამდენადაც მისი ზემოქმედება უჯრედზე.

განასხვავებენ **ენდოგენურ** და **ეგზოგენურ** ჰომოტოქსინებს.

ეგზოგენური ჰომოტოქსინები – ტოქსიკური ნივთიერებებია, რომლებიც გარედან ხვდება ორგანიზმში. ზოგიერთი მათგანი ყველასთვის კარგადაა ცნობილი (თამბაქო, ალკოჰოლი, ნარკოტიკები), სხვები – შედარებით ნაკლებად (არომატიზატორები, საღებავები, საკვების დამატკბობლები) ან საერთოდ უცნობია (კადმიუმი, წებოს ანაორთქლი, აირები, რადიაცია, რადიო- ან მაგნიტური ტალღები).

ენდოგენური ტოქსინები – ტოქსიკური ნივთიერებებია, რომლებიც გამოიშუშავდება ორგანიზმში. მათგან უმრავლესობა მეტაბოლიზმის შუალედური ან საბოლოო პროდუქტია (მაგ. რბემჟავა, შარდოვანა, CO₂ და ა.შ.), სხვა ენდოგენური ტოქსინები ნეიროტრანსმიტერების, მედიატორების ან ჰორმონული სეკრეციის დისბალანსის (მაგ. ესტროგენ/პროგესტერონი, ინსულინი დიაბეტის დროს, სეროტონინი დეპრესიის დროს) შედეგია.

დოქტორ ჰ.რეკვეგის მიერ ჩატარებული უდიდესი სამუშაოს შედეგად, ჰომოტოქსიკოლოგია გახდა მედიცინის განუყოფელი ნაწილი. მან ჰომოტოქსიკოლოგია წარმოადგინა არა როგორც მხოლოდ თეორია, არამედ როგორც პრაქტიკაც. ხანგრძლივი დაკვირვების და მეცნიერული კვლევის შედეგად შეიმუშავა ანტიჰომოტოქსიკური პრეპარატების ორიგინალური რეცეპტები და დაიწყო მათი სერიული წარმოება.

დღეისათვის მსოფლიოს 70-ზე მეტ ქვეყანაში ექიმები თავის პრაქტიკაში აქტიურად იყენებენ ანტიჰომოტოქსიკურ მედიკამენტებს. ანტიჰომოტოქსიკური მედიცინის სპეციალისტები აგრძელებენ კვლევებს და ამკვიდრებენ ჰომოტოქსიკოლოგიის ადგილს თანამედროვე მედიცინაში.

დოქტორ ჰ.რეკვეგის დამაჯერებელმა შედეგებმა ბევრი ექიმი აიძულა, შეეცვალა თავისი შეხედულება ზოგადად თერაპიისადმი. დღესაც კი, როდესაც ჰ.რეკვეგის სიკვდილიდან თითქმის 25 წელია გასული, ჰომოტოქსიკოლოგია, როგორც კომპლემენტარული მედიცინა, უმაღლეს შეფასებას იმსახურებს და სულ უფრო მეტ მომხრეს იძენს კლასიკური მედიცინის წარმომადგენლებში. ამით ასრულდა ჰ.რეკვეგის ოცნება, ხიდი გაედო ძირითად და კომპლემენტარულ მედიცინას შორის, ანუ შეექმნა მედიცინის ეფექტური და, ამავე დროს, პრაქტიკულად უვნებელი მიმართულება.

ჰომოტოქსიკოლოგია სრულიად გასაგები და მისაღები კონ-

ცეფციაა როგორც ალტერნატიული მედიცინის პრაქტიკოსი ექიმებისათვის, ასევე კლასიკური მედიცინის წარმომადგენლებისათვის. მოლეკულური ბიოლოგიის მიღწევებმა ნათელი მოჰფინეს ანტი-ჰომოტოქსიკური მოქმედების მექანიზმებს. დოქტორმა კ. რეკვევმა ნამდვილად შექმნა ინტეგრალური პლატფორმა, რომელმაც თავისი ადგილი ჰპოვა ყოველდღიურ სამედიცინო პრაქტიკაში.

1.1. ჰომოტოქსინები და მათი ტიპები

გარემომცველ სამყაროში უამრავი ტოქსინია. შესაბამისად, ჩვენს ორგანიზმში ისინი გარკვეული რაოდენობით არის წარმოდგენილი. ნაშრომებში ტოქსიკოლოგიის შესახებ აღწერილია 100 000-ზე მეტი ნივთიერება, რომელთა სია ყოველდღიურად ივსება. ზოგიერთი ტოქსიკური ნივთიერება კარგად არის ცნობილი, ზოგიერთი – ნაკლებად ან ტოქსიკური ხდება განსაზღვრულ პირობებში. იმის გამო, რომ ტოქსინების ბუნება არაერთგვაროვანია, წარმატებული თერაპიისათვის აუცილებელია მათი კლასიფიკაცია ტიპების მიხედვით.

ჰომოტოქსიკოლოგიაში გამოყოფენ ტოქსინების ორ ჯგუფს: **ეგზოგენურ** (გარეგან) და **ენდოგენურ** (შინაგან) ტოქსინებს.

ადამიანის ორგანიზმში გარედან მოხვედრილ ან ორგანიზმში წარმოქმნილ ტოქსინებს უწოდებენ ჰომოტოქსინებს.

ჰომოტოქსინი („ჰომო“ – ადამიანი, „ტოქსინი“ – შხამი) ეწოდება ნებისმიერ ნივთიერებას, რომელიც პირდაპირ ან ირიბად ზემოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე. მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს არა თვითონ ნივთიერება, როგორც ფაქტი, არამედ ორგანიზმზე მისი ზეგავლენა და, შესაბამისად, ზეგავლენის შედეგი.

ეგზოგენური ჰომოტოქსინები – ორგანიზმში იჭრებიან გარემოდან და პირდაპირ ან ირიბ ტოქსიკურ ზემოქმედებას ახდენენ ქსოვილებზე, ორგანოებზე და მარეგულირებელ მექანიზმებზე. ჯანსაღი ცხოვრების წესიც კი არ არის ეგზოგენური ჰომოტოქსინებისგან სრული დაცვის გარანტია, რადგან ადამიანს არ შეუძლია თავი აარილოს ჰომოტოქსინების უმეტესობასთან კონტაქტს (მაგალითად: მტვერი, რადიოაქტიურობა, გამონაბოლქვი გაზები და ა.შ.). ზოგი მათგანი ტოქსიკურია მცირე რაოდენობითაც კი, ზოგი კი ტოქსიკური ხდება დიდ დოზით ან მცირე დოზის ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგად. ზოგიერთი ეგზოგენური ნივთიერება მაღალტოქსიკური ხდება სხვა ნივთიერებებთან რეაქციის (შერევის) შედეგად. ჰომოტოქსინებთან კონტაქტისაგან თავის არიდება ყოველთვის არ არის შესაძლებელი, რადგანაც მათი არსებობა და ორგანიზმში მოხვედრა ადამიანისათვის შეუქმნეველია.

ენდოგენური ჰომოტოქსინები – იქმნება თვით ორგანიზმის მიერ. მათ შორის დიდი რაოდენობითაა გარდამავალი ფორმები და მეტაბო-

ლიზმის პროცესის საბოლოო პროდუქტები. ის ნივთიერებებიც კი, რომელიც ნორმალურ პირობებში არსებობს ორგანიზმში, ჭარბად დაგროვების შემთხვევაში ხდება ტოქსიკური. თუ ნორმალური ფიზიოლოგიური პროცესების საშუალებით მათი ორგანიზმიდან გამოყვანა შეუძლებელია, მაშინ ისინი იქცევიან პათოლოგიური პროცესის მნიშვნელოვან რგოლად.

ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში პარაცელსი აღნიშნავდა ღოზების მნიშვნელობას ნივთიერების ტოქსიკურობის განსაზღვრის დროს. დარიშხანი კარგადაა ცნობილი, როგორც მაღალტოქსიკური ნივთიერება. ცოტამ თუ იცის, რომ ის შედის კვების პროდუქტებში, მაგრამ ძალიან მცირე რაოდენობით. დარიშხანის დიდი ღოზები მომაკვდინებელია, მაგრამ მცირე ღოზებით ეს ტოქსინი შეიძლება სასარგებლო იყოს ადამიანის ორგანიზმისათვის. მრავალ ნივთიერებას მივიჩნევთ სასარგებლოდ და უვნებლად, მაგრამ დიდი ღოზით ისინი უაღრესად ტოქსიკური ხდება. მაგალითად, 24 საათის განმავლობაში საკუთარი წონის 30%-ით მეტი რაოდენობის სასმელი წყლის მოხმარება საშიშია სიცოცხლისთვის.

ამგვარად, ნივთიერების ტოქსიკურობის განსაზღვრისას, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი ფაქტორები:

- თვით ნივთიერება (მისი ქიმიური ბუნება);
- ღოზა (ერთჯერადი, განმეორებითი);
- ორგანიზმთან ურთიერთქმედების ხანგრძლივობა;
- უშუალოდ ორგანიზმის ირგვლივ მყოფი სხვა ნივთიერებებთან ურთიერთქმედების (გამაძლიერებელი/დამთრგუნველი) უნარი;
- ორგანიზმის მგრძობელობა;
- ინტოქსიკაციასთან ადაპტაციის უნარი;
- ქსოვილების უჯრედგარე მატრიქსის მდგომარეობა;
- ექსკრეციის უნარი.

ტოქსინის ღოზისა და ხანგრძლივობის კომბინაციამ შეიძლება გამოიწვიოს მოულოდნელი ინტოქსიკაციური ეფექტი. ტოქსინის დიდი ღოზები ყოველთვის საშიშია, მაგრამ არანაკლებ საშიში შეიძლება იყოს ტოქსინის მცირე ღოზებით ხანგრძლივი ზემოქმედება.

ამგვარად, ჰომოტოქსინები ორგანიზმში ტოქსიკურები ხდებიან გარკვეულ პირობებში. ამასთანავე, ყველა ჰომოტოქსინი ერთნაირად ტოქსიკური როდია.

ჰომოტოქსინების ბუნების გამოკვლევის გარდა, აუცილებელია

ადამიანის ცხოვრების წესის ასპექტებისა და გარემოს შესწავლა. გასათვალისწინებელია: კვება, საცხოვრებელი გარემო, სტრესები, თანამედროვე ფარმაკოლოგია, ორგანიზმში მიმდინარე რეგულაციური პროცესების ინერტულობა და სხვა. ყოველივე ზემოჩამოთვლილი არსებითად განსაზღვრავს ორგანიზმში ჰომოტოქსინების პათოგენურ მოქმედებას. განვითარებული მრეწველობით, სინთეზური მოლეკულებით, სოციალური პრობლემებით, ფსიქოლოგიური წნეხით და „დათრგუნვის მედიცინით“ (ალოპათიური მედიცინით) აღსავეს თანამედროვე სამყაროში არსებობს მრავალი პოტენციური ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის ორგანიზმში ინტოქსიკაციის განვითარებას. მაღალგანვითარებულ სამრეწველო ქვეყნებში თითქმის შეუძლებელია ქიმიური ჰომოტოქსინებისათვის თავის არიდება. ესაა წარსულში მიღებული სამთავრობო გადაწყვეტილებებისა და გარემოს თანმიმდევრული დაბინძურების შედეგი: კოსმოსური რადიაცია (ოზონის ფენის გარღვევა), რადიოაქტიურობა, ადამიანის უშუალო საცხოვრებელ გარემოში არსებული მძიმე ლითონები... ყოველივე ეს ერთნაირად მოქმედებს თითოეულ ჩვენგანზე, მიუხედავად ჩვენი ცხოვრების წესისა. უფრო კეთილსაიმედო რეგიონში გადასვლაც კი ყოველთვის არ წარმოადგენს პრობლემის გადაჭრის საშუალებას, რადგანაც მრავალი ტოქსიკური ნივთიერება ე.წ. „სუფთა, ხელშეუხებელ“ ბუნებრივ რეგიონებში გადაიტანება გრუნტის წყლებით, ჰაერის მასებით ან სხვა მეტეოროლოგიური მოვლენებით.

პარაცელსი ამტკიცებდა, რომ დოზა განსაზღვრავს ნივთიერების ტოქსიკურობას. შეიძლება დავასკვნათ, რომ მხოლოდ ტოქსინის დიდ დოზებს შეუძლიათ მიგვიყვანოს ინტოქსიკაციამდე, მაგრამ ამგვარი მტკიცებულება მთლად სწორი არ არის. ქიმიური ტოქსინების უმნიშვნელო დოზებიც კი, მოქმედებენ რა ორგანიზმზე ათეულობით წლების მანძილზე, შეიძლება გახდეს ბიოაკუმულაციის მიზეზი, რაც ხანგრძლივი პერიოდის გასვლის შემდეგ ორგანიზმისათვის უაღრესად საშიშია.

უჯრედგარე სივრცეში (მატრიქსში) ტოქსინების შეჭრის სულ მცირე საში გზა არსებობს: დადებითი დამუხტვის მეშვეობით (უჯრედგარე მატრიქსს აქვს უმეტესად უარყოფითი მუხტი), ჰიდროფილური მახასიათებლების ან წმინდა გეომეტრიული ასპექტების (ტოქსინის ზომები) მეშვეობით. ამგვარად, ბიოაკუმულაცია, მცირე რაოდენობით ტოქსინების კონცენტრაცია წლების მანძილზე, შეიძ-

ლება გახდეს ტოქსინების ჭარბად დაგროვების მიზეზი. ევროპაში ახლაც კი შეიძლება იმ ადამიანების პოვნა, რომლებიც მუშაობდნენ სოფლის მეურნეობაში, და რომელთა ღვიძლში დაგროვილია დიდი რაოდენობით **დღტ** (დიქლორდიფენილ-ტრიქლორეთანი), რომლის გამოყენება უკვე 20 წელზე მეტია აკრძალულია.

კონკრეტული ქიმიური ნივთიერება ერთნაირად ტოქსიკური არ არის ყველა ცოცხალი ორგანიზმისათვის.

მათი ერთი ნაწილი უაღრესად ტოქსიკურია მცენარეებისათვის და თითქმის არ არის საშიში ცხოველების ან ადამიანისათვის, და პირიქით. ამიტომაც, აუცილებელია მოცემული ნივთიერებების უფრო საფუძვლიანი შესწავლა. ქიმიური ნივთიერებების უმეტესობის ლეტალური დოზა აღწერილია პროფესიულ ლიტერატურაში. აგრეთვე, აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ბიოაკუმულაციის პროცესში უმნიშვნელო დოზების განმეორებითი ზემოქმედების დროს შეიძლება მიღწეული იქნას ადამიანის ორგანიზმისათვის ლეტალური დოზა, მაგალითად, ისეთი მძიმე ლითონის ბიოაკუმულაცია, როგორცაცა ტყვია.

ინტოქსიკაციას, როგორც ხანგრძლივი ტოქსიკური ზემოქმედების შედეგს, შეიძლება დავაკვირდეთ არა მარტო ცხოველებში, არამედ მცენარეებშიც.

ზოგიერთი ქიმიური ნივთიერების ზემოქმედება შეიძლება ნეგატიურად აისახოს ემბრიონის განვითარებაზე. მოცემულ შემთხვევაში დედის ორგანიზმში ტოქსინების არსებობა გადახრას იწვევს ბავშვის განვითარებაში. ამასთანავე, აუცილებლად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული არა მარტო გარემოში არსებული სუფთა ქიმიური ნაერთები, არამედ ფარმაკოლოგიაში გამოყენებული ქიმიური ნივთიერებებიც (მაგ.: 50-60-იან წლებში ფენხმძიმე ქალები იღებდნენ ტალიდომიდის შემცველ პრეპარატ „შოფტენონს“, რომლის გვერდითი ეფექტი ემბრიონის პათოლოგიური განვითარებაა).

სხვა ქიმიური ნივთიერებებისათვის დამახასიათებელია გენოტოქსიკურობა. ეს შეიძლება გახდეს გენეტიკური დისფუნქციის მიზეზი, რასაც ხშირად თან სდევს არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ ფიზიოლოგიური ნეგატიური შედეგებიც. მათ შეიძლება გამოიწვიონ უჯრედის დედიფერენციაცია ერთჯერადი დიდი დოზით ორგანიზმში მოხვედრით ან ხანგრძლივი დროის მანძილზე მცირე დოზით დაგროვებით. ორივე შემთხვევაში ორგანიზმისათვის შედეგი ერთნაირია.

უჯრედის გარემოს მჟავიანობის მაჩვენებელი წარმოადგენს ძალიან მნიშვნელოვან ფაქტორს და მისი უმნიშვნელო ცვლილებაც კი შეიძლება გახდეს დისფუნქციის მიზეზი და ორგანიზმს გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს.

აუცილებელია, აგრეთვე, ფრთხილი დამოკიდებულება ლითონებთან, რამდენადაც მათაც ზიანი მოაქვთ ჩვენი ჯანმრთელობისათვის. ზოგიერთი მათგანის მიკროელემენტების სახით არსებობა აუცილებელია ორგანიზმის მუშაობისათვის, მაგრამ დოზის გაზრდის დროს ისინი ტოქსიკური ხდება. მაგალითად, თუთია და სპილენძი ზოგიერთი ფიზიოლოგიური პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტებია, მათმა ნაკლებობამ შეიძლება გამოიწვიოს ავადმყოფური სიმპტომები, ხოლო დიდი დოზით არსებობამ – პრობლემები შეუქმნას ჯანმრთელობას.

ლითონები და მეტალოიდები არის ნიადაგში, წყალსა და ჰაერში, ამიტომ მათი ზემოქმედება დაბინძურებული სასმელი წყლის, ჰაერის და საკვების საშუალებითაც კი შეიძლება არცთუ მცირე საფრთხეს წარმოადგენდეს ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

დოზის სიდიდე და ზემოქმედების ხანგრძლივობა წარმოადგენს ნივთიერების ტოქსიკურობის განმსაზღვრელ ძირითად პარამეტრებს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დიდი დოზით ხანმოკლე ზემოქმედება უფრო საშიშია, ვიდრე სიცოცხლის პროცესში მცირე დოზით ბიოაკუმულაცია.

1.2. მატრიქსი და მისი მნიშვნელობა

ერთუჯრედოანებისაგან განსხვავებით, რომლებიც უშუალო კონტაქტში არიან გარე სამყაროსთან, ყველა მრავალუჯრედოან ორგანიზმს აქვს „ტერიტორია“, რომელიც უჯრედსა და გარე სამყაროს შორის მდებარეობს. ამ დამცავ ტერიტორიას ეწოდება უჯრედგარე სივრცე. ვერც ერთი ნივთიერება ვერ მოხვდება გარემოდან უჯრედში უჯრედგარე სივრცის – მატრიქსის გვერდის ავლით.

მატრიქსი არის ორგანიზმის საინფორმაციო საკომუნიკაციო სისტემა, რომელიც გასულ ათწლეულებში შემაერთებელი ქსოვილის სახელით იყო ცნობილი. ფაქტიურად, ყოველმა უჯრედმა მატრიქსის საშუალებით იცის, რას აკეთებს ნებისმიერი სხვა უჯრედი. მატრიქსი ნერვულ სისტემაზე უფრო სწრაფი საკომუნიკაციო საშუალებაც კი არის. მისი ენერგეტიკული მაგისტრალები, ნერვულ სისტემასთან შედარებით, გაცილებით ხანდაზმულია. ისინი ასრულებს მედიატორის როლს ყოველ იმპულსს შორის, რომელიც წარმოიქმნება სხეულში ან გაივლის მის რომელიმე ნაწილს.

მატრიქსი მნიშვნელოვანი ელემენტია ბიოლოგიური მედიცინისათვის. მასში მყარდება მარეგულირებელ სისტემებს შორის კავშირი, მასშივე ხდება ჰომოტოქსინების დაგროვება, რაც დისფუნქციისა და სხვადასხვა პათოლოგიის მიზეზი ხდება.

მას შემდეგ, რაც XIX საუკუნეში ფრანგი ფიზიოლოგი კლოდ ბერნარი მივიდა დასკვნამდე ორგანიზმის „შინაგანი გარემოს“ არსებობის შესახებ, ჰისტოლოგიასა და ფიზიოლოგიაში ახალი ერა დაიწყო. დღეისათვის სახეზეა უჯრედგარე მატრიქსი, როგორც ჰისტოლოგიური ფენომენი. თანამედროვე კომპლემენტარულ მედიცინაში კი არსებობს ტერმინის – „ცოცხალი მატრიქსი“ – დამკვიდრების ტენდენცია. იგი ადამიანის ორგანიზმის ფიზიოლოგიის ახალ კონცეფციას წარმოადგენს.

ცოცხალი მატრიქსი შედგება სამი ურთიერთდაკავშირებული დონისაგან: უჯრედგარე, უჯრედშიდა და ბირთვული მატრიქსისაგან. მათი ურთიერთქმედება ხდება ვიბრაციული იმპულსებით, ელექტრული სიგნალებითა და მედიატორებით. სამივე დონე დაკავშირებულია ერთმანეთთან. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი დისრეგულაცია უჯრედგარე მატრიქსში ზემოქმედებას ახდენს უჯრედშიდა მატრიქსზე ან


ბირთვშიდა სტრუქტურებზე და პირიქით. ცოცხალი მატრიქსი, მიუხედავად სამდონიანი სტრუქტურისა, არის ერთიანი სისტემა.

ანტიჰომოტოქსიკურ თერაპიაში მატრიქსი მნიშვნელოვან როლს თამაშობს რამოდენიმე მიზეზის გამო:

- პროტეოგლიკანების მაღალი შემცველობა მთელ მატრიქსს ხდის ჰიდროფილურს, რაც აიოლებს სხვადასხვა სუბსტანციების მიმოქცევას ორგანიზმში და განაპირობებს წყალში ხსნადი ტოქსინების მატრიქსში დაგროვებას;
- პროტეოგლიკანებს უარყოფითი ელექტრული მუხტი გააჩნია, რაც მნიშვნელოვანია დადებითი მუხტის მატარებელი ტოქსინების შეკავებისათვის უჯრედგარე მატრიქსში;
- ფიბრობლასტების წყალობით, დაზიანების შემდეგ მატრიქსის ბადისებრ სტრუქტურას შეუძლია აღდგენა რამოდენიმე წუთში;
- თვითრეგულაციის სხვადასხვა სისტემებს შორის ინტერაქტიული საკომუნიკაციო პროცესების უმრავლესობა მიმდინარეობს მატრიქსში (მედიატორების ციკლებს შორის უკუკავშირი, ელექტრული პოტენციალის კონტროლი, მჟავატუტოვანი ბალანსის კონტროლი და ა.შ.);
- მატრიქსი ხელს უშლის ჰომოტოქსინის შედწევას უჯრედში, თუმცა ერთი და იმავე ჰომოტოქსინის ხანგრძლივმა ზემოქმედებამ, რომელიც არ გამოიღვენა და დაგროვდა, შესაძლოა გამოიწვიოს პრობლემები. ფაქტიურად, მრავალი პათოლოგია ჰომოტოქსინების უჯრედგარე მატრიქსში დეპონირების და, შესაბამისად, მათი უჯრედზე უარყოფითი ზემოქმედების შედეგია.

ცოცხალი უჯრედი შესაძლოა მჭიდრო კავშირში იყოს სხვა უჯრედებთან ან ფუნქციონირებდეს განცალკევებულად, მაგრამ ის ყოველთვის გარშემორტყმულია ცოცხალი მატრიქსით. ცოცხალი მატრიქსი წარმოადგენს სამგანზომილებიან ნაზი სტრუქტურის ბიოფიზიკურ ფილტრს, რომელიც აკონტროლებს უჯრედის კვებისა და ნივთიერებათა ცვლის პროდუქტების, მედიატორებისა და ნებისმიერი სხვა ნივთიერების მიმოქცევას უჯრედში. ვერცერთი ნივთიერება ვერ მოხვდება სისხლიდან პირდაპირ უჯრედში და პირიქით. ნერვული

უჯრედებიდან გამოყოფილი ნეიროტრანსმიტერიც კი მხოლოდ უჯრედგარე ცოცხალი მატრიქსის გავლით ხვდება უჯრედში.



სურ. 1. ძირითადი რეგულაციის სქემა (პ. ჰაინეს მიხედვით)

ორგანიზმში სხვადასხვა სისტემებს შორის ურთიერთქმედება მიმდინარეობს უჯრედგარე მატრიქსის მეშვეობით. ისრებით ნაჩვენებია ამ სისტემებს შორის ურთიერთკავშირი.

ორგანიზმში სხვადასხვა სისტემებს შორის ურთიერთქმედების პროცესების უმრავლესობა მიმდინარეობს უჯრედგარე მატრიქსის საშუალებით (სურ. 1). თხელი სამგანზომილებიანი ბადისებრი სტრუქტურა განლაგებულია ორგანოს უჯრედს, კაპილარებსა და ლიმფურ მილს შორის. იგი შედგება პროტეოგლიკანებისა და გლიკოზამინოგლიკანებისაგან. ორივე ეს ნივთიერება გამოქმუშავდება ფიბრობლასტის გოლჯის აპარატში. თუ ჭრილობის ან ინფექციის

შედეგად ძირითადი სტრუქტურა ზიანდება, ფიბრობლასტები ადადგენს მას.

უჯრედგარე მატრიქსის ძირითადი ფუნქცია არის ყველა იმ ნივთიერების ფილტრაცია, რომელიც კაპილარებიდან უჯრედში ხვდება, ან პირიქით. მისი სტრუქტურის ხარისხზეა დამოკიდებული უჯრედის ჯანმრთელობა. ფიბრობლასტების მნიშვნელოვანი დისფუნქციები და ამის შედეგად დაბინძურებული მატრიქსი შეიძლება გახდეს უჯრედული ინტოქსიკაციის მიზეზი და გამოიწვიოს ქრონიკული დეგენერაციული პათოლოგიების განვითარება.

ფუნქციურად სრულყოფილ ფიბრობლასტს შეუძლია გლიკოზამინოგლიკანების გენერირება რამოდენიმე წუთში, რაც დაზიანების შემდეგ სწრაფად ადადგენს მატრიქსს და შეუნარჩუნებს მას დამცველობით ფუნქციას.

ზემონსენებული დამცველობითი უჯრედების გარდა, მატრიქსში არის სხვა უჯრედებიც, რომლებიც ძირითადი სისტემის ნაწილებია.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მაკროფაგებსა და პოხიერ უჯრედებს. ისინი უზრუნველყოფენ ადგილობრივ არასპეციფიურ დაცვას სხვადასხვა წარმოშობის დამაზიანებელი ფაქტორებისგან. აუცილებლობის შემთხვევაში მათ შეუძლიათ ჩართონ მთელი დამცველობითი სისტემა, რომელიც დაიწყებს მატრიქსის გამასუფთავებელ ანთებით პროცესს. ამრიგად, ისინი არიან უჯრედგარე მატრიქსის პირველადი და ძირითადი „სანიტრები“.

აღსანიშნავია, რომ ფიბრობლასტის საპასუხო რეაქციაზე ზეგავლენას ახდენს ფსიქიკური იმპულსები. მრავალი კვლევა ადასტურებს ხანგრძლივი სტრესისა და დეპრესიის დამთრგუნველ მოქმედებას. ფიბრობლასტები, მაგალითად, ფსიქიკური სტრესორების გავლენით შეიძლება ნაკლები ეფექტით მუშაობდნენ ჭრილობის შეხორცების დროს. იმუნურ უჯრედებზე და საერთოდ, იმუნურ სისტემაზე ემოციის დიდი ზეგავლენის გამო, ზოგიერთი ავტორი „ფსიქონეიროენდოკრინული იმუნოლოგიის“ ნაცვლად გვთავაზობს ტერმინს „ემოციონეიროენდოკრინული იმუნოლოგია“.

ფსიქიკური სტრესი აძლიერებს ვირუსული ინფექციებისადმი განწყობას. ადამიანებში, რომლებიც სტრესის ქვეშ არიან, ვირუსული დაავადებების რისკი იზრდება 74%-დან 90%-მდე, რესპირატორული (გაციებითი) დაავადებების სიხშირე კი იზრდება 27%-დან 47%-მდე (მასევენი და სტელარი, 1993).

უჯრედგარე მატრიქსს გააჩნია რამდენიმე სპეციფიური მახასიათებელი. მას აქვს სივრცითი სტრუქტურა, რომელშიც მოთავსებულია უჯრედები. კოლაგენის უხეშ სტრუქტურასა და ელასტინის ბოჭკოებს შორის განლაგებულია ძითითადი სუბსტანციის ნაწი სტრუქტურა, რომელიც შედგება პროტეოგლიკანებისა და გლიკოზამინოგლიკანებისაგან. ისინი ქმნიან ბიოფიზიკურ ფილტრს და უზრუნველყოფენ მატრიქსის ჰიდროფილობას, რადგანაც ადვილად უკავშირდებიან და აკავებენ წყალს.


მატრიქსი შედგება სტრუქტურული და ფიბრილური ცილებისაგან და პროტეოგლიკანებისაგან, რომლებსაც სხვადასხვა სტრუქტურული აგებულება აქვს. სტრუქტურული ცილები უზრუნველყოფენ შემაერთებელი ქსოვილის ელასტიურობასა და სიმკვრივეს. ისინი ქმნიან მჭიდროდ დაკავშირებულ, მოქნილ სტრუქტურას. ამასთანავე, კოლაგენის ძირითადი მახასიათებელია სიმკვრივე, ხოლო ელასტინისა – მოქნილობა. კოლაგენის ბოჭკოები ელასტინზე სქელია. კოლაგენი და ელასტინი ქმნიან უჯრედგარე მატრიქსის ძირითად სტრუქტურას (სურ. 2).

ნორმალურ პირობებში პროტეოგლიკანებისა და გლიკოზამინოგლიკანების განახლება ხორციელდება მაქსიმუმ 4 თვეში. მათი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაა 2-დან 120 დღემდე. სწორედ ამის გამო, ორგანიზმის დეტოქსიკაცია და ღრუნაჟი უნდა მიმდინარეობდეს რამდენიმე თვის და არა კვირის განმავლობაში.

უჯრედგარე მატრიქსის სპეციალიზებულ ზედაპირს წარმოადგენს **ბაზალური მემბრანა**.

ბაზალური მემბრანა ასრულებს სამ ძირითად ფუნქციას:

1. უჯრედების ადჰეზია: ორგანოს უჯრედები მიმაგრებულია ბაზალურ მემბრანაზე და ინარჩუნებს თავის ადგილს;
2. უჯრედების ზრდის რეგულაცია;
3. დიფუზური ფილტრაცია: ბაზალური მემბრანის გავლა ყველა ნივთიერებას არ შეუძლია, ამიტომ მემბრანის სტრუქტურა, აგრეთვე, წარმოადგენს ერთგვარ სელექციურ ფილტრს.



სურ.2. უჯრედგარე მატრიქსის მიკროსკოპული სურათი.

სურათზე ჩანს თხელ ბაზალურ ფირფიტაზე განლაგებული ორგანოს უჯრედები, რომლებიც მარჯვნიდან გარშემორტყმულია პროტეოგლიკანებისა და გლიკოზამინოგლიკანების ბადით (1, 1ა). ასევე ჩანს კოლაგენის ბოჭკოების უხეში სტრუქტურა (2), ხოლო მათგან მარცხნივ კვლავ პროტეოგლიკანებისა და გლიკოზამინოგლიკანების ბადისებრი სტრუქტურა. ნებისმიერმა სუბსტანციამ, რომელიც კაპილარიდან უჯრედში ხვდება, თავისებური ტრანსმისიული ტერიტორია უნდა გაიაროს, სადაც ის ბიოფიზიკურ ფილტრში (უჯრედგარე მატრიქსში) გაიფილტრება. ასეთი ფილტრი არის ადამიანის ორგანიზმის ნებისმიერ ორგანოში.


უჯრედშიდა და უჯრედგარე სივრცეს შორის ჰომეოსტაზის შენარჩუნების საშუალებას იძლევა ინტერსტიციული სითხე. ეს არის წყალი, რომელშიც გახსნილია ცხიმოვანი მჟავები, ამინომჟავები, შაქარი, კო-ფერმენტები, ჰორმონები, ნეიროტრანსმიტერები (მარილები, მინერალები, უჯრედების მეტაბოლიზმის საბოლოო პროდუქტები და ა.შ.). ინტერსტიციული სითხე წარმოადგენს შეუცვლელ ნივთიერებას, რომელიც შეიძლება შევადაროთ აკვარიუმის წყალს, რომელშიც ოქროს თევზი ცურავს. უჯრედის სიცოცხლის ხარისხი დამოკიდებულია იმ სითხის ხარისხზე, რომელშიც იგი მდებარეობს, ისევე როგორც ოქროს თევზის სიცოცხლეა დამოკიდებული აკვარიუმის წყლის ხარისხზე, რომელიც უნდა იყოს არა მარტო მდიდარი ჟანგბადით და საკვები კომპონენტებით, არამედ გაწმენდილი თევზის ცხოველქმედების საბოლოო პროდუქტებისაგან.

ინტერსტიციული სითხე უზრუნველყოფს უჯრედს საკვები ნივთიერებებითა და საშენი მასალით, გამოაქვს მისი მეტაბოლიზმის

საბოლოო პროდუქტები და უზრუნველყოფს უჯრედების ურთიერთ-კავშირს (ელექტრონიმპულსების, ციტოკინების და სხვა მისთ. გა-ლატანა).

ფუნქციონირებისათვის უჯრედებმა უნდა მიიღონ საკვები, რაშიც მთლიანად დამოკიდებული არიან უჯრედგარე მატრიქსის მდგომარეობაზე, რადგანაც არც ერთი უჯრედი არ იღებს საკვებს პირდაპირ კაპილარიდან. უჯრედები გარდაქმნიან საკვებს მიზნობრივ ენერგიად, რადგანაც ყველა უჯრედს გააჩნია თავისი „ინსტრუქცია“ მთელი ორგანიზმის სასარგებლოდ.

უჯრედსა და უჯრედგარე მატრიქსს შორის არსებობს უკუ-კავშირი. უჯრედგარე მატრიქსის გავლით უჯრედში გადადის საკვები ნივთიერებები, ხოლო უჯრედის მეტაბოლიზმის საბოლოო პროდუქტები იგივე სატრანსპორტო არხებით ბრუნდება ვენურ და ლიმფურ სისტემაში (სურ.3). უჯრედგარე მატრიქსში ჰომოტოქსინების მასიურმა დეპონირებამ შეიძლება გამოიწვიოს როგორც უჯრედის კვების, ასევე უჯრედიდან მეტაბოლიზმის საბოლოო პროდუქტების გამოტანის უწყვეტი პროცესის შეფერხება და, შესაბამისად, შესაძლოა უჯრედის „გაგუღვა“.



სურ.3 საკვები და დეტოქსიკაციური პროცესები ხორციელდება მატრიქსის მეშვეობით

ამრიგად:

უჯრედგარე მატრიქსი არის სამეანზომილებიანი ბადისებური სტრუქტურა, რომლითაც ორგანოთა უჯრედებზეა გარემომორტყმული. ეს სტრუქტურა ისეა ორგანიზებული, რომ საშუალებას აძლევს მას შეასრულოს ბიოფიზიკური ფილტრის ფიზიოლოგიური ფუნქცია.

უჯრედგარე მატრიქსის ძირითადი კომპონენტებია კოლაგენი, ელასტინი, პროტეოგლიკანები და გლიკოზამინოგლიკანები. უჯრედგარე მატრიქსში მთავრდება არტერიული და იწყება ვენური კა-

პილარები, ლიმფური სისტემა ც მატრიქსიდან იღებს თავის სათავეს და ვენური სისტემის პარალელურ სატრანსპორტო სისტემას წარმოქმნის. ნერვებიც განლაგებულია უჯრედგარე მატრიქსში. ყველგან, სხვადასხვა კომპონენტებსა და სტრუქტურებს შორის არის დამცველობითი უჯრედები (მაკროფაგები და პოხიერი უჯრედები), რომლებიც წმენდენ და იცავენ ორგანიზმს.

უჯრედგარე მატრიქსი, კომოტოქსინების დაბროვებასა და გადაადგილების გამო, არის დაავადების განვითარების ან გამოჯანმრთელების მთავარი ფაქტორი.

უჯრედგარე მატრიქსის, როგორც ჰისტოლოგიური ფენომენის, აღმოჩენას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ბიოლოგიურ მედიცინაში დღეისათვის ცოცხალი მატრიქსი წარმოადგენს პაციენტის შინაგანი გარემოს მთავარ კომპონენტს. მატრიქსის შესახებ თეორიული საფუძვლების შექმნაში სხვადასხვა დროისა და ქვეყნის მრავალი მეცნიერი მონაწილეობდა: ესენი არიან ჩეხი კარლ როკიტანსკი, ფრანგი კლოდ ბერნარი, პოლონელი რუდოლფ ვირხოვი, ავსტრიელი ალფრედ პიშინგერი, გერმანელი ჰელმუტ ჰაინე და ამერიკელი ჯეიმს ოშმენი. ყველა მათგანმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა უჯრედგარე მატრიქსის აღმოჩენასა და შესწავლაში, აგრეთვე ცოცხალი მატრიქსის თანამედროვე კონცეფციის ჩამოყალიბებაში.



კარლ როკიტანსკი (1804-1878 წ.წ.) ამტკიცებდა, რომ უჯრედული ელემენტები და დაავადებები აღმოცენდება ორგანიზმის სითხიდან (ჰუმორული მიდგომა) და დაავადების მიზეზები უნდა ვეძიოთ სისხლში, რომელიც მოძრაობს მთელ ორგანიზმში. ცვლილებები სისხლში არის დაავადებისა და ორგანული ცვლილებების მთავარი მიზეზი.



კლოდ ბერნარმა (1813-1878 წ.წ.) პირველად გამოიყენა ცნება „შინაგანი გარემო“. ეს ტერმინი მოიცავს ინტერესტიციულ სითხეში „მოცურავე“ უჯრედის არსებობის უშუალო გარემოს, საიდანაც ეს უჯრედი იღებს საკვებს და სადაც გამოყოფს მეტაბოლიზმის საბოლოო პროდუქტებს.

უჯრედგარე სითხის ჯანმრთელი მდგომარეობა მეტად მნიშვნელოვანია ორგანიზმის ჯანმრთელობისთვის, ხოლო მისი დაბინძურება იწვევს დაავადებას. კლოდ ბერნარის ცნობილი ტერმინია „milieu interieur“ (ფრ. „შინგანი გარემო ანუ ნიადაგი“). იგი ამტკიცებდა, რომ სამყარო ჩვენს ირგვლივ მუდმივად იცვლება, მაგრამ ჯანმრთელ ორგანიზმში ჰომეოსტაზი შენარჩუნებულია და ინტოქსიკაცია არ ვითარდება. დაავადება დარღვეული ჰომეოსტაზის შედეგია.



რუდოლფ ვირხოვი (1821-1902 წ.წ.) კარგადაა ცნობილი მედიცინაში თავისი კანონით: „უჯრედი წარმოიშვება მხოლოდ სხვა უჯრედიდან“. (omnis cellula e cellula, 1855). ვირხოვის შეხედულებით, ადამიანის ორგანიზმის ყოველ უჯრედს არ შეუძლია გახდეს დაავადების მიზეზი, მაგრამ ყველა დაავადება უჯრედული ფუნქციების დარღვევის პირდაპირი შედეგია.



ალფრედ ჰიშინგერმა (1899-1983 წ.წ.) უჯრედგარე მატრიქსში აღმოაჩინა „ძირითადი სუბსტანცია“. მან აღწერა იგი, როგორც ჟელესებური ნივთიერება, რომლითაც ამოვსებულია მთელი უჯრედშუა სივრცე. შემდგომში უჯრედის გარშემო სტრუქტურას ეწოდა ძირითადი რეგულაციის სისტემა.

ჰიშინგერმა მეცნიერულად აღწერა ამ სისტემის სტრუქტურა. მისი წიგნი „მატრიქსი და მატრიქსის რეგულაცია“ („Matrix and Matrix Regulation“) მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოა უჯრედგარე მატრიქსის შესასწავლად. მან პირველად გამოიყენა ცნება „ძირითადი რეგულაციის სისტემა“ ანუ „ჰომეოსტაზის სისტემა“.

მრავალი ავტორის შეფასებით, მატრიქსი შეადგენს სხეულის მასის თითქმის 20%-ს და ამიტომ ითვლება ყველაზე დიდ ორგანოდ. უჯრედის სიცოცხლის ხარისხის უზრუნველსაყოფად იგი მთავარი დამცველობითი ორგანოა.

ძირითადი სისტემა არის ტრანზიტული ტერიტორია, რომლის მთავარი ამოცანაა ელექტრული იმპულსებისა და ნებისმიერი ინფორმაციის გადაცემა ნივთიერება-მესინჯერების საშუალებით (ციტოკინები, ჰორმონები, ნეიროტრანსმიტერები და ა. შ.)

ძირითადი სისტემის დონეზე რეგულაცია ხორციელდება სასიცოცხლო ფუნქციების ოპტიმიზაციის მიზნით. ამასთან ერთად ხდება მჟავა-ტუტოვანი ბალანსის რეგულირება. ელექტროლიტების ტრანსუდაცია და აბსორბცია განაპირობებს ინტერსტიციულ სითხის მჟავა-ტუტოვანობას სტატუსს. ჟანგბადი და საკვები ნივთიერებები მიეწოდება უჯრედებს, ნახშირორჟანგი და მეტაბოლიზმის საბოლოო პროდუქტები კი გამოდის უჯრედიდან.

ჩვეულებრივ, მატრიცაში განლაგებული მაკროფაგები, ნეიტროფილური გრანულოციტები და ფაგოციტები ანადგურებენ ორგანიზმისთვის არასასურველი სუბსტანციების უმრავლესობას, მაგრამ თუკი დიდი რაოდენობით აღმოჩნდება უჯრედისათვის ტოქსიური ელემენტები, მოქმედებაში შეიძლება მოვიდეს მთელი დაცვითი სისტემა. ძირითად სისტემაში, ფაგოციტების გარდა, არის პოზიური უჯრედები. ჰისტამინისა და ფოსფოლიპიდების გამოთავისუფლება აუცილებელია ანთებითი კასკადისთვის. ციტოტოქსიური უჯრედები და ბუნებრივი „კილერი“ უჯრედებიც ძირითადი სისტემის შემადგენელი ნაწილებია და ათავისუფლებს მას დაზიანებული, ინტოქსიკაციური ან ანომალური უჯრედებისგან.

როდესაც ორგანო ასრულებს თავის ფუნქციებს, მისი ყველა უჯრედი მუშაობს, როგორც ერთი „რაზმი“, ან, თუ პროცესს განვიხილავთ ფართო კონტექსტში, მთელი ორგანიზმის უჯრედები ურთიერთქმედებენ უჯრედგარე მატრიქსის საშუალებით, წარმოადგენენ ერთიან ცოცხალ ელემენტს და ერთად ასრულებენ სამუშაოს.



ჰარტმუნდ ჰაინე (დაიბადა 1941 წელს) პირველია, ვინც ჰისტოლოგიურად აღწერა აკუპუნქტურის წერტილი, მას შემდეგ, რაც ჰისტოლოგიურ პრეპარატებზე მრავალი მიკროსკოპული დაკვირვება ჩაატარა. კომპლემენტარულ მედიცინაში მან შეიტანა ცოდნის ფართო სპექტრი უჯრედგარე მატრიქსის მიკროსკოპული სტრუქტურების შესახებ.

მან დაამტკიცა, რომ ანთების დროს მცენარეული, მინერალური და ორგანული ნივთიერებების მიკროდოზებს უნარი შესწევთ მოქმედებაში მოიყვანონ დამხმარე იმუნური რეაქცია, რომელიც ამინომჟავების მოკლე ჯაჭვის მეშვეობით ლიმფოციტების მარეგულირებელი კლონების აქტივაციაზეა დაფუძნებული.



ჯეიმს ოშმენმა (დაიბადა 1940 წელს) გამოყო მატრიქსში ტოქსიკური ნივთიერებების (იონები, მოლეკულები და მოლეკულური შენაერთები) შებოჭვის სამი ხერხი. ამასთანავე, მატრიქსში მოიაზრება უჯრედგარე, ციტოპლაზმური (უჯრედშიდა) და ბირთვული მატრიქსი, რომლებიც აყალიბებს მუდმივად ურთიერთკავშირში მყოფ და მთელ სხეულში გავრცელებულ სტრუქტურას.

ტოქსინთა აკუმულაციის დროს სწორედ ამ სტრუქტურას ემუქრება საფრთხე. ტოქსინების გამოდევნა კარგად აისახება პრაქტიკულად ყველა ფიზიოლოგიური სისტემის მუშაობაზე.

ოშმენის შრომების თანახმად, ცოცხალი მატრიქსი არსებობს სამ დონეზე, რომლებიც ერთმანეთში გადადის. უჯრედის გარეთა სივრცე შევსებულია კოლაგენით, ელასტინითა და გლიკოზამინოგლიკანებით და ეწოდება უჯრედგარე მატრიქსი. უჯრედშიდა მატრიქსი წარმოდგენილია უჯრედის ჩონჩხით, ხოლო უჯრედის ცენტრში მდებარეობს ბირთვული მატრიქსი.

მიუხედავად იმისა, რომ ტოქსინების უმრავლესობა დეპონირდება უჯრედგარე მატრიქსში, მათი ზემოქმედება ხშირად აისახება უჯრედშიდა სივრცეზე და ბირთვზე. ამიტომ უჯრედგარე მატრიქსი არ უნდა განვიხილოთ, როგორც იზოლირებული, ავტონომური ინტერაქტიული და ინფორმაციული სტრუქტურა, არამედ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ნივთიერებათა ცვლის პროცესებს და ცოცხალი მატრიქსის სხვადასხვა დონეებს შორის ურთიერთქმედებას.

ჯ. ოშმენი ამბობს: – „პიეზოელექტრობის წყალობით, სხელის ყოველი შეკუმშვა და დაძაბულობა წარმოშობს მასში მთელ რივ ვიბრაციულ (ოსცილირებად) სიგნალებს ანუ მიკროდენებს.“ თუ ორგანიზმის ნაწილები შეთანხმებულია ერთმანეთთან და მათი ფუნქცია მკვეთრად კოორდინირებულია, ყოველმა უჯრედმა იცის თუ რას აკეთებს ნებისმიერი სხვა უჯრედი, მაშინ ეს ყველაფერი შესაძლებელი ხდება შემაერთებელი ქსოვილის ერთიანობით და მისი სასიგნალო თავისებურებებით.“

ჰომოტოქსიკოლოგიაში რეგულაციადარღვეული და ტოქსინებით გაჯერებული ორგანიზმის ჯანმრთელობის აღსადგენად გამოიყენება ცოცხალი მატრიქსის სასიგნალო ფუნქციები.

უჯრედის ჩონჩხი, ეუკარიოტი, წარმოადგენს უჯრედის ციტო-

პლაზმის შემავსებელ მოძრავ სამგანზომილებიან სტრუქტურას. მისი სტრუქტურა ერთდროულად ასრულებს როგორც კუნთის, ასევე ჩონჩხის ფუნქციებს და განაპირობებს უჯრედების მოძრაობასა და სტაბილურობას. უჯრედის ჩონჩხის გრძელი ბოჭკოები პოლიმერული სუბერთეულებია. უჯრედის ჩონჩხის შემადგენელი ბოჭკოების პირველადი ტიპებია მიკროფილამენტები, მიკრომილაკები და შუალედური ფილამენტები.

ეს ნატიფი სამგანზომილებიანი სისტემა ასრულებს, აგრეთვე უჯრედის საკომუნიკაციო სისტემის როლს. ელექტრული პოტენციალის ყველაზე უმნიშვნელო ცვლილებასაც კი შეუძლია მოქმედებაში მოიყვანოს უჯრედის ჩონჩხის შეკუმშვის მექანიზმები. ცნობა უჯრედგარე ინტოქსიკაციის შესახებ გადაეცემა უჯრედის ყველაზე ღრმა სტრუქტურებს და პირიქით, უჯრედის დისფუნქციის შესახებ ინფორმაცია გადაეცემა უჯრედგარე სივრცეს და აქედან ორგანიზმის ნებისმიერ სხვა უჯრედს.

ბირთვული მატრიქსი წარმოადგენს ბოჭკოების ბაღეს, რომლებიც უჯრედის ბირთვის შიგნით მდებარეობს. იგი დაკავშირებულია უჯრედშიდა მატრიქსთან და რეაგირებს სხვადასხვა წარმოშობის იმპულსებზე

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ:

- *უჯრედგარე მატრიქსი არის ტრანზიტული ტერიტორია მრავალი ნივთიერებისათვის, რომლებიც მიმოიქცევა სისხლიდან უჯრედში და პირიქით. იგი აგრეთვე არის ძირითადი გარემო, სადაც ზორციელება ცვლის პროცესი რეგულაციის სხვადასხვა სისტემებს შორის.*
- *უჯრედგარე მატრიქსი არის ადგილი, სადაც ხდება ტოქსინების დაგროვება (დეპონირების ფაზაში) ან მათი განადგურება ანთებითი პროცესების შედეგად (ანთების ფაზაში).*
- *უჯრედგარე მატრიქსში ტოქსინების არსებობა ან მათი დაგროვება ხელს უშლის უჯრედის ფუნქციონირებას. ამიტომ ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის მთავარია ამის თავიდან აცილება. მატრიქსი არის ბიოთერაპიის ზემოქმედების ადგილი და, ამგვარად, მისი სისუფთავე აუცილებელია უჯრედის სიცოცხლისათვის.*
- *რეგულაციის ნებისმიერი დარღვევა უჯრედგარე მატრიქსის დონეზე, საბოლოო ჯამში, ნეგატიურად მოქმედებს უჯრედის*

ფუნქციებზე. თერაპია, რომელიც მიმართულია რევულაციისკენ, თავის მოქმედებას ახორციელებს აუტორეგულაციური სისტემების დონეზე და აღადგენს ჰომეოსტაზს და ინტერაქტიულ ურთიერთქმედებას უჯრედსა და რევულაციურ სისტემებს შორის.

- ღრუნაჟი მიმართულია უჯრედგარე მატრიქსის გასუფთავებისაკენ, რადგანაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჰომოტოქსინების არსებობამ შეიძლება გამოიწვიოს ქრონიკული დეგენერაციული პათოლოგიები, რომლებსაც უჯრედული დისფუნქციასა და უჯრედის სიკვდილამდე მივყავართ.

1.3. დაავადების განვითარების ცხრილი

დოქტორმა ჰ. რეკვევემა შეისწავლა და გაანალიზა თავისი წინამორბედების შრომები დაავადების მიმდინარეობის კანონზომიერების შესახებ, განავრცო ისინი და შეიმუშავა მოძღვრება ჰომოტოქსინების შესახებ. მან დაასაბუთა სვადასხვა დაავადების კავშირი ორგანიზმის ჰომოტოქსიკოზის დონესთან. ამის საფუძველზე მან შექმნა ორგანიზმის ჰომოტოქსიკოზების 6 – ფაზიანი ცხრილი. ეს ცხრილი პირველად გამოაქვეყნა 1957 წელს. შემდგომში მოხდა მისი მოდიფიკაცია და დღეისათვის ეწოდება დაავადების განვითარების ცხრილი – **ღბც** (სურ. 4).


დაავადების განვითარების ცხრილი არის დაავადების მიმდინარეობის შეფასების ინსტრუმენტი. მისი სწორად გამოყენება არა მხოლოდ ზუსტ წარმოდგენას აძლევს პრაქტიკოს ექიმს პაციენტის დაავადების სიმძიმის ხარისხზე, არამედ ეხმარება მას ეფექტური თერაპიის გეგმის შედგენაში.

ცხრილი წარმოდგენილია დაავადების მიმდინარეობის 6 ფაზით.

- ფაზების თანმიმდევრობა ცხრილში შეესაბამება ჰომოტოქსინზე ორგანიზმის დამცველობითი სისტემის რეაქციებს.
- ჰორიზონტალურ ღერძზე განთავსებულია დაავადების ფაზები პათოლოგიური პროცესის სიღრმის მიხედვით.
- ვერტიკალურ ღერძზე განთავსებულია ქსოვილები და ორგანოები მათი ემბრიოლოგიური წარმოშობის მიხედვით (ექტო-, ენდო-, და მეზოდერმა).

თეორიულად, ყოველი ცალკე აღებული კლინიკური მდგომარეობა ან დაავადების სტადია შეიძლება იყოს კლასიფიცირებული ამ 6 ფაზის მიხედვით. ჰომოტოქსინის არსებობის დროს ორგანიზმი აქტიურებს ბუნებრივ დამცველ მექანიზმებს 3 (ჰუმორული, მატრიქსული და უჯრედული) – დონეზე და მათი მეშვეობით ცდილობს მოახდინოს ტოქსინების ინაქტივაცია – დეტოქსიკაცია. თუ ინაქტივაცია და ჰომოტოქსინის ორგანიზმიდან გამოდევნა არ ხდება ერთ ეტაპად, ერთი ფაზის ფარგლებში, მაშინ ამის მცდელობა გრძელდება შემდეგ ფაზაში. ცხრილის მარჯვენა ნახევარში დაავადების პროგრესის დროს პათოლოგიური მდგომარეობა ხდება უფრო სერიოზული და გამოჯანმრთელების მცდელობა ნაკლებად ეფექტურია.

სურ. 4. დაავადების გავითარების ეფაგ-კურნება. კეთილსაიმედო პროგნოზი

გამოწვევის კონკრეტული სახეობა	პათოგენური ანტიგენი	ინკუბაციური პერიოდი	კლინიკური სურათი	დიაგნოსტიკური მეთოდები	თერაპიული და პროფილაქტიკური ღონისძიებები	პროგნოზი	კომპლექსური თერაპიის სახეობები
	ბაქტერიის კონკრეტული სახეობა	დღეებიდან კვირებამდე	აღსრულებული ფუნქციის დაკარგვის, სინდრომის, კლინიკური სურათის მკურნალობის და პროფილაქტიკის სახეობები	მიკრობიოლოგიური, სეროლოგიური მეთოდები	სიმსივნის წარმოშობის დაავადების მკურნალობის ღონისძიებები	სიმსივნის წარმოშობის დაავადების მკურნალობის ღონისძიებები	სიმსივნის წარმოშობის დაავადების მკურნალობის ღონისძიებები
	ვირუსული პათოგენი	დღეებიდან კვირებამდე	კლინიკური სურათის მკურნალობის და პროფილაქტიკის სახეობები	ვიროლოგიური მეთოდები	სიმსივნის წარმოშობის დაავადების მკურნალობის ღონისძიებები	სიმსივნის წარმოშობის დაავადების მკურნალობის ღონისძიებები	სიმსივნის წარმოშობის დაავადების მკურნალობის ღონისძიებები
	პარაზიტული ანტიგენი	დღეებიდან კვირებამდე	კლინიკური სურათის მკურნალობის და პროფილაქტიკის სახეობები	პარაზიტოლოგიური მეთოდები	სიმსივნის წარმოშობის დაავადების მკურნალობის ღონისძიებები	სიმსივნის წარმოშობის დაავადების მკურნალობის ღონისძიებები	სიმსივნის წარმოშობის დაავადების მკურნალობის ღონისძიებები
	სიმსივნის ანტიგენი	დღეებიდან კვირებამდე	კლინიკური სურათის მკურნალობის და პროფილაქტიკის სახეობები	სიმსივნის ბიომარკერების მეთოდები	სიმსივნის წარმოშობის დაავადების მკურნალობის ღონისძიებები	სიმსივნის წარმოშობის დაავადების მკურნალობის ღონისძიებები	სიმსივნის წარმოშობის დაავადების მკურნალობის ღონისძიებები

სურ. 4. დაავადების გავითარების ეფაგ-კურნება. კეთილსაიმედო პროგნოზი

სურ. 4. დაავადების გავითარების ეფაგ-კურნება. კეთილსაიმედო პროგნოზი



ღვც ასახავს დაავადების კლინიკური განვითარებასა და ორგანიზმში მიმდინარე თანმიმდევრულ რეაქციებს. ანტიჰომოტოქსიკური თერაპიის სტრატეგია და ეფექტი დამოკიდებულია იმაზე, თუ ცხრილის რომელ ნაწილში „განთავსდება“ პაციენტის პრობლემა. ჯანმრთელობის ძირეული გაუმჯობესებისათვის საჭიროა არა მარტო პათოლოგიური პროცესის ადგილისა და სიღრმის დადგენა, არამედ სწორი თერაპიული მიდგომის ამორჩევა.

ვერტიკალური და ჰორიზონტალური ღერძების გადაკვეთის წერტილით შეიძლება დავადებით მოცემულ მომენტში პაციენტის დაავადების განვითარების პათოფიზიოლოგიური სტატუსი. ასევე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჰორიზონტალური ღერძი წარმოადგენს ონტოგენეტიკურ გზას, რომლითაც ორგანიზმმა „შეისწავლა“ ჰომოტოქსინთან ბრძოლა.

პირველი 3 ფაზა (ექსკრეცია, ანთება, დეპონირება) იმის მაჩვენებელია, თუ როგორ რეაგირებს ორგანიზმი ინტოქსიკაციაზე და როგორ უმკლავდება მას, ხოლო, ბოლო 3 ფაზა (იმპრეგნაცია, დეგენერაცია და დედიფერენცია) იმის მაჩვენებელია, თუ როგორ ზემოქმედებს და მართავს ორგანიზმს ინტოქსიკაცია.

განვიხილოთ ჰომოტოქსიკოზის ფაზები ცალ-ცალკე:

მსკრპინის ფაზა

ექსკრეციის ფაზა წარმოადგენს ორგანიზმის სხვადასხვა ქსოვილებისა და ორგანოების მიერ ჰიპერსეკრეციისა და ჰიპერექსკრეციის სტადიას.

გამომდინარე იქიდან, რომ ამ ფაზაში სეკრეციის და ექსკრეციის პროცესი უფრო გაძლიერებულია, ვიდრე ორგანიზმის ნორმალური მდგომარეობის დროს, შეიძლება ეს ფაზა შეფასდეს, როგორც დაავადების პირველი საფეხური. ჰომოტოქსინების არსებობა ორგანიზმში წარმოადგენს პოტენციურ საფრთხეს და მათი განდევნა და დეტოქსიკაცია აუცილებელია. ნორმალურ მდგომარეობაში დეტოქსიკაციის და ექსკრეციის სისტემები განდევნიან მათ ყველანაირი კლინიკური სიმპტომის გამოქვავების გარეშე, რადგან ეს მოვლენები არის ნორმალური ფიზიოლოგიური პროცესის ნაწილი.

ანთების ფაზა

იმ შემთხვევაში, თუ ჰომოტოქსინი მიაღწევს ექსტრაცელულურ და/ან ინტრაცელულურ ღონეს, ორგანიზმი აძლიერებს ადგილობრი-

ვი დაცვითი მექანიზმების მუშაობას, რომელიც მიმართულია ინტოქსიკაციის საწინააღმდეგოდ.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ პირველი ანთებითი რეაქცია აუცილებლად უნდა განვიხილოთ, როგორც ორგანიზმის მიერ ტოქსინისგან განთავისუფლების სასურველი, ბუნებრივი და ფიზიოლოგიური მცდელობა. როგორც ხატოვნად აღნიშნავდა ჰ.რეკვევი, „ტოქსინები ანთების ცეცხლში იწვინან“.

ამ ფაზაში გვხვდება ანთების ყველა კლასიკური ნიშანი: ჰიპერემია, ტკივილი, შეშუპება, ჰიპერთერმია და დაზიანებული ქსოვილის ფუნქციის მოშლა. ამ შემთხვევაში ფაგოციტოზი არის დეტოქსიკაციის პირველი ნაბიჯი. ანთება შეიძლება იყოს განხილული როგორც მატრიქსის გასუფთავების პროცესი.

ასევე უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ, თუ უჯრედი არ არის დაზიანებული, ანთებით პროცესს შეუძლია დააზიანოს იგი (მაგ. ნეიტროფილებიდან გამოყოფილ თავისუფალ რადიკალებს).

დგაონირობის ფაზა

ეს ფაზა იმის მაჩვენებელია, რომ ორგანიზმს აღარ შეუძლია ტოქსინის გამოდევნა. ამ ფაზაში ჭარბობს მატრიქსში მიმდინარე მოვლენები, ირღვევა დამცველობითი მექანიზმები და ორგანიზმი „დროებით“ აგროვებს ჰომოტოქსინებს.

ყოველივე ამის მიზეზი შეიძლება იყოს:

- ანთებითი ფაზა არ იყო ადექვატურად აქტიური ან იყო დაბლოკილი/დათრგუნული (მაგ. ანთების საწინააღმდეგო პრეპარატებით);
- ექსკრეციის მექანიზმები თავიდანვე ჰიპოფუნქციურია ან ტოქსინებით გადატვირთულია.

ამგვარად, თუ ანთების მექანიზმები ბლოკირებულია ან ტოქსინების რაოდენობა უაღრესად დიდია, მაშინ ორგანიზმში (მატრიქსში) იწყება ტოქსინების „დროებითი“ დაგროვების პროცესი. კლინიკურად ეს ფაზა შედარებით წყნარია, ხასიათდება მცირე რაოდენობის სიმპტომების არსებობით, მაგრამ წარმოადგენს დაავადების საკმაოდ საშიშ ფაზას.

იმპრეგნაციის ფაზა

იმპრეგნაციის ფაზაში ჰომოტოქსინები შეაღწევენ უჯრედში და მრავალმხრივ მოქმედებენ მის ფუნქციებზე. ამ ფაზაში დაავადე-

ბა კლინიკურად ვლინდება. უჯრედში შეღწეული ჰომოტოქსინები (მაგალითად, ვირუსები) ახდენენ ფერმენტების ბლოკირებას, მეტაბოლური პროცესებისა და მიტოქონდრიული სუნთქვითი ჯაჭვის მოშლას, უჯრედის ფუნქციონირების დარღვევას.

ამ ფაზაში ორგანიზმის რეაქცია ჰომოტოქსინზე ხშირად უკვე არ არის მიზანშეწონილი და სპეციფიური ჰომოტოქსინის მინიმალური ზემოქმედება იწვევს ორგანიზმის დამცველობითი მექანიზმების ჰიპერრეაქციას (ასთმა, სიყვითლე, შაკიკი, კუჭის წყლული და სხვა).

იმპრეგნაციის ფაზა შეიძლება გრძელდებოდეს სხვადასხვა ვადით, ეს დამოკიდებულია ჰომოტოქსინის თვისებებზე.

ვირუსების უმრავლესობა „ცდილობს“ „რეციპიენტის“ უჯრედში შეღწევას და იქ სწრაფ გამრავლებას. საპასუხოდ ორგანიზმი იწყებს სპეციფიკური დაცვითი სისტემის აქტივაციას და ინფიცირებული უჯრედების ელიმინირებას.

ქრონიკული დაავადების გამწვავება იმპრეგნაციის ფაზაში ჰომოტოქსინის ინტრაცელულურ არსებობის მაჩვენებელია.

ვირუსის ჩართვა უჯრედის გენეტიკურ მასალაში იწვევს იმ პროცესების გაგრძელებას, რაც ახასიათებს იმპრეგნაციის ფაზას. მიუხედავად იმისა, რომ ქსოვილის განადგურებული უჯრედების სრული აღდგენა ან ჩანაცვლება მოხდა, პოსტვირუსული სინდრომი რჩება დიდი ხნით, ზოგჯერ რამოდენიმე წლით.

დემენეციის ფაზა

ამ ფაზაში ბუნებრივ დამცველობით სისტემებს უკვე არ შეუძლიათ ჰომოტოქსინების უჯრედიდან განდევნა. უჯრედშიდა სტრუქტურები, გენეტიკური კომპონენტებისა და უჯრედული მემბრანების ჩათვლით, უჯრედების ჯგუფები და სისტემები თანდათან უფრო მეტად და სერიოზულად ზიანდება. პროგრესული ინტოქსიკაცია ხელს უწყობს უჯრედის ფუნქციური შესაძლებლობების საბოლოოდ მოშლას, მათი სიკვდილის ჩათვლით. შედეგად, უჯრედები იკარგება და დაზიანებული ქსოვილის ფუნქციები მთლიანად იშლება. განსაზღვრების თანახმად, დემენეციის ფაზა შეესაბამება იმ ქრონიკულ დაავადებებს, რომელთა უმრავლესობა შეუქცევადია.

დელიფერენციაციის ფაზა

დელიფერენციაციის ფაზა შეესაბამება ყველა იმ დაავადებას,

რომელთა მთავარი მახასიათებელია უჯრედების არანორმალური პროლიფერაცია (ქსოვილების ზრდა). უჯრედები კარგავენ თავის სპეციფიკურობას და დედიფერენცირდებიან პოლიტოპურ (ომნიტოპურ) უჯრედებად (უკუ-ინვერსიული ემბრიოლოგიური სპეციფიურობა), რომლებიც თავის მხრივ ადვილად კარგავენ ზრდის კონტროლს და იწყებენ მიგრაციას ორგანიზმის სხვადასხვა ნაწილში (მეტასტაზები).

დეგენერაციისა და დედიფერენციაციის ფაზებში ორგანიზმში ძლიერდება იმ ენდოგენური ჰომოტოქსინის ზემოქმედება, რომელიც წარმოიქმნება თვით ორგანიზმში, უჯრედის დაშლის შედეგად.

დაავადების განვითარება (გაუარესება)

დაავადებამ შეიძლება გადაინაცვლოს ერთი ფაზიდან მეორეში და/ან ერთი ემბრიოლოგიური ქსოვილიდან მეორეში. შესაძლო მიმართულება ოთხია, მაგრამ წინასწარ განსაზღვრული გამოსავალი ორი (სურ. 5):

- მარცხნიდან მარჯვნივ და/ან ზევითან ქვევით – დაავადების განვითარება – გაღრმავება (ა);
- მარჯვნიდან მარცხნივ და/ან ქვევითან ზევით – ჯანმრთელობის აღდგენა – განკურნება (ბ).

დაავადების განვითარების ცხრილის მიხედვით პაციენტის პათოლოგიური პროცესის გამოვლინებები და სიმპტომების გადანაცვლება მარცხნიდან მარჯვნივ ან ზევითან ქვევით ან მათი კომბინაცია მდგომარეობის გაუარესების მაჩვენებელია და ეწოდება „დაავადების განვითარება“.

ბუნებრივი ბიოლოგიური დამცველი მექანიზმების დათრგუნვა და ინჰიბირება (მაგ. ანთების საწინააღმდეგო პრეპარატების გაუმართლებელი მოხმარება) არის ორგანიზმში დაავადების პროგრესირების ქრონიზაციის მიზეზი. როცა ტოქსინის გამოდევნა ბლოკირებულია, ის არა მარტო ახდენს იმპრევენაციას ლოკალურად, არამედ გადაინაცვლებს დიდ მანძილზე სხვა ქსოვილებში, მიუხედავად პირველადი მდებარეობისა. დაავადების განვითარების პროცესი შეიძლება მიმდინარეობდეს რამდენიმე წლის მანძილზე, ამასთანავე დაავადების ორი ფაზის შუალედში, რამდენიმე წლის მანძილზე, პაციენტმა შეიძლება თავი ჯანმრთელად იგძნოს. ეს აიხსნება იმით, რომ დეპონირების ფაზა თითქმის ყოველთვის შეუმჩნეველად, ფარულად მიმდინარეობს.

პაციენტისათვის, რეალურად ეს ნიშნავს მდგომარეობის გართუ-

ლებას, რადგან ჰომოტოქსინები, ნაცვლად გადამუშავებისა და ორგანიზმიდან გამოდენივისა, დეპონირდებიან უჯრედგარე სივრცეში და გადაინაცვლებენ უჯრედში. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ გადამწვევტი მნიშვნელობა აქვს ჰომოტოქსინის არა ტოპოგრაფიულ, არამედ ფუნქციურ (ბიოქიმიურ) თავისებურებას.

ძრავალი, ერთი შეხედვით არართული დაავადება, როგორცაა მწვავე რესპირაციული ინფექცია ან ბავშვთა ვირუსული დაავადებები და სხვა, ჰომოტოქსიკოლოგიის თვალთახედვით უფრო სერიოზულია, ვიდრე ისეთი მწვავე ანთებითი პროცესი, როგორცაა ართრიტი, ნეფრიტი ან შარდის ბუშტის ჩირქოვანი ანთება. დაავადებების პირველი ჯგუფი გამოწვეულია ვირუსებით, რომლებიც შეიჭრებიან პირდაპირ უჯრედში და იწვევენ უჯრედის შეუქცევადი დაზიანების რისკთან დაკავშირებულ უჯრედშიდა ინტოქსიკაციას. დაავადებათა მეორე ჯგუფი მოიცავს ანთების ყველა ნიშანს, რომლებიც მომდინარეობს ტკივილით და აღიქმება მეტად სერიოზულად, თუმცა ამ დროს ინტოქსიკაცია მიმდინარეობს უჯრედშორის სივრცეში და გართულებული შემთხვევების გარდა, უჯრედს (უჯრედშიდა სივრცეს) დაზიანება არ ემუქრება.

ჯანმრთელობის აღდგენა (გამოჯანმრთელება, განკურნება)

პათოლოგიისა და მისი გამოვლინებების და სიმპტომების რეგრესი მარჯვნიდან მარცხნივ და/ან ქვევიდან ზევით, ან მათი კომბინაცია **ღმც**-ში შეესაბამება პაციენტის მდგომარეობის გაუმჯობესების და ჯანმრთელობის აღდგენის პროცესს.

პაციენტისათვის ჯანმრთელობის აღდგენის პროცესი ყოველთვის არ არის სასიამოვნო: დიარეა, რომელმაც ყაბზობა შეცვალა, ჰომოტოქსიკოლოგიის თვალთახედვით სასიკეთოა, მაგრამ პაციენტისათვის ეს ფაქტი შეიძლება სუბიექტურად უარესი იყოს. ამიტომ, მეტად მნიშვნელოვანია, პაციენტმა იცოდეს, რაოდენ მნიშვნელოვანია ფაზების ცვლილება. ნებისმიერ შემთხვევაში იმ სიმპტომების დათრგუნვა, რომლებიც თან სდევს გამოჯანმრთელების პროცესს, ზემოხსენებული მიზეზების გამო, აბსოლუტურად უკუნაჩვენებია. ორგანიზმის მიზანშეწონილი დამცავი მექანიზმები კი არ უნდა დავრთუნოთ, არამედ ბიოთერაპიული მეთოდებით ხელი უნდა შევუწყოთ მას, დროულად და მთლიანად დაასრულონ ჰომოტოქსინებთან ბრძოლის პროცესი.

ამგვარად, დაავადებას აქვს ტენდენცია, პოზიტიურად განვითარ-

დეს ონტოგენეტიკური და ფილოგენეტიკური მიმართულებით.

რეგულაცია / კომპენსაციის ბარიერი

დებონირების და იმპრეგნაციის (მე-3 და მე-4) ფაზებს შორის არსებობს ეგრეთ წოდებული **რეგულაცია/კომპენსაციის** ბარიერი. ეს არის დაავადების ფაზების ორ ჯგუფს შორის გამყოფი პირობითი ზონა. ის წარმოადგენს ზღვარს ორ მდგომარეობას – ტოქსინების დაგროვებასა და მათ მატრიქსის სტრუქტურულ კომპონენტებთან (პროტეოგლიკანები, გლიკოზამინოგლიკანები, გლიკოპროტეიდები) ინტეგრაციას – შორის.

ფიზიოლოგიის, ასევე, კლინიკური და თერაპიული თვალსაზრისით ასეთი ზღვარი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ის არის გამყოფი იმ ფაზას, რომელშიც ჩვეულებრივ, ექსკრეცია შესაძლებელია, და იმ ფაზას შორის, რომელშიც ტოქსინის ექსკრეცია და განდევნა პრაქტიკულად მიუღწევადია, ყოველ შემთხვევაში სპონტანურად, დახმარების გარეშე. ეს ზღვარი ვაჩვენებს იმას, თუ რომელ ეტაპზე, როგორ რეაგირებს ორგანიზმი ჰომოტოქსინზე. ცხრილის მარცხენა მხარეს, ორგანიზმის სტრატეგიაა – რეგულაცია (შესაბამისი მექანიზმების მეშვეობით), მარჯვენა მხარეს კი – ჰომოტოქსინთან ბრძოლაში – ორგანიზმის ძირითადი სტრატეგიაა კომპენსაცია.

შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ რეგულაცია/კომპენსაციის ბარიერი წარმოადგენს მნიშვნელოვან ზღვარს, რომლის გადალახვის შემდეგ უვრედის დაზიანება ხდება შეუქცევადი პროცესი. ამის შემდეგ დეგენერაციული პროცესები მიმდინარეობს ქსოვილებში. დეგენერაცია საბოლოოდ ხდება შეუქცევადი. ეს არის მიზეზი, რის გამოც აუცილებლად უნდა მოხდეს თერაპიული სტრატეგიის ადაპტირება. მარეგულირებელი მექანიზმების დარღვევის დროსაც კი აუცილებელია სხვადასხვა თერაპიული მეთოდის გამოყენება რეგულაცია/კომპენსაციის ბარიერისაგან მარცხენა მხარესაც, სადაც პროგნოზი უფრო კეთილსაიმედოა. ამიტომ, სწორი თერაპიული მოქმედების შესარჩევად მნიშვნელოვანია პათოლოგიური პროცესისა და კლინიკური დიაგნოზის ადვილის განსაზღვრა ცხრილში.

ამრიგად,

დააკვალემის განვითარების ცხრილი წარმოადგენს პრაქტიკულ და მოხერხებულ ინსტრუმენტს, როგორც ნუბისმიერი სპენიალოგის პრაქტიკოსი მქიმისათვის, ასევე მენიერული კვლევების დაგეგმისა და ანალიზისათვის.

1.4. ანტიჰომოტოქსიკური თერაპიის საფუძვლები

ანტიჰომოტოქსიკური თერაპია ეყრდნობა სამ სვეტს, ანუ გამოიყენება მკურნალობის სამი ძირითადი საფუძველი:

- ღრმნაჟი და ღებოქსნიკაცია;
- იმუნომოდულაცია;
- უჯრედების გააქტივება და ორგანოების გაძლიერება.

1.4.1. ღრმნაჟი და ღებოქსნიკაცია

ქრონიკული დაავადებების მკურნალობის დროს ანტიჰომოტოქსიკური თერაპიის პირველ სვეტს წარმოადგენს ღრმნაჟი და ღებოქსნიკაცია. იგი ორგანიზმის ტოქსიკური დატვირთვისგან გასუფთავებისა და სანოკენეზის სტიმულირების სტრატეგიული საშუალებაა.

ღრმნაჟისა და ღებოქსნიკაციის მნიშვნელობა აღნიშნული იყო თვით ჰ. რეკევეგის მიერ, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში, ხოლო ბოლო დროს, მატრიქსის ჰისტოლოგიისა და ფიზიოლოგიის შესწავლის შემდეგ, მან განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა კომპლემენტარული მედიცინის ყველა მიმართულებაში. ღრმნაჟი და ღებოქსნიკაცია საშუალებას გვაძლევს მნიშვნელოვნად შევამციროთ დაგროვილი ტოქსინების მოცულობა და უჯრედული ფუნქციების დარღვევის ხარისხი. ანტიჰომოტოქსიკური პრეპარატები უფრო ეფექტურად მუშაობენ სუფთა გარემოში, რადგან თვითრეგულაციის სისტემები და მათი ურთიერთქმედების მექანიზმები არ იბლოკება მანვე ფაქტორებისა და ნივთიერებების არსებობით.

ჰომოტოქსიკოლოგიის თვალთახედვით, დაავადება არის ორგანიზმის რეაქცია ინტოქსიკაციაზე. ტოქსიკურმა დატვირთვამ (ჰომოტოქსინებმა) შეიძლება დაბლოკოს სიცოცხლისათვის აუცილებელი მარეგულირებელი და ინტერაქტიული მედიატორების მიმოქცევა უჯრედგარე მატრიქსის დონეზე ან გამოიწვიოს ისეთი მეტაბოლური რეაქცია, რომელიც საბოლოო ჯამში ნეგატიურად იმოქმედებს უჯრედების ფუნქციებზე. ამას მივყავართ სხვადასხვა სისტემებს შორის ინფორმაციის ცვლის გაძნელებამდე, ინჰიბირებამდე ან ცვლილებამდე, რაც თავის მხრივ იწვევს სისტემათა დისრეგულა-

ციას ან ისეთი ბიოქიმიური ნივთიერების წარმოქმნას, რომელიც უარყოფითად მოქმედებს უჯრედის ადექვატურ ფუნქციონირებაზე.

დაავადების ჰომოტოქსიკოლოგიური განსაზღვრებიდან გამომდინარე, გასაგებია, რომ დაავადების კლინიკური სიმპტომები არის ტოქსიკურ ფაქტორებზე ორგანიზმის დამცველობითი რეაქცია.

ორგანიზმი ცდილობს მოიცულოს ჰომოტოქსინები, ხელი შეუშალოს მათ დაგროვებასა და გავრცელებას. ამ მცდელობის შედეგებია აღმოცენებული კლინიკური სიმპტომები (ცემინება, ხველება, დიარეა, ლებინება, მომატებული ტემპერატურა, ტკივილი...). ადექვატური, კაუზალური (სიმპტომურისაგან განსხვავებით, დაავადების გამომწვევი მიზეზების წინააღმდეგ მიმართული) მკურნალობა მდგომარეობს იმ ჰომოტოქსინების ელიმინაციაში, რომელმაც ეს მდგომარეობა გამოიწვია და არა იმ სიმპტომების (რეაქციის) დათრგუნვაში, რომლითაც ორგანიზმი ებრძვის ტოქსინებს, როგორც ხდება ეს სიმპტომური მკურნალობის დროს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანის სიცოცხლის ხარისხი პირდაპირ არის დამოკიდებული მისი უჯრედგარე მატრიქსის სისუფთავეზე და მის ადექვატურ ინტერაქტიულ ფუნქციონირებაზე. შესაბამისად, დრენაჟი და დეტოქსიკაცია ანტიჰომოტოქსიკური მედიცინის ერთ-ერთი მთავარი მიზანია.

მატრიქსის სტრუქტურებში ჰომოტოქსინების შეჭრის დროს მკურნალობაში აუცილებლად უნდა ჩაერთოს დრენაჟი და დეტოქსიკაცია. დაავადების განვითარების ცხრილში ამ მდგომარეობას შეესაბამება დეპონირების ფაზა.

იმის გამო, რომ დეპონირების საწყის ეტაპზე, უმეტეს შემთხვევაში, კლინიკური სიმპტომების რაოდენობა მცირეა და პათოლოგიური პროცესი შეიძლება აშკარად არ იყოს გამოკვეთილი, აუცილებელ ზომებს ხშირად არ მიმართავენ. ამის შედეგად ხდება პროცესის ფარული პროგრესირება გახანგრძლივებული ინტოქსიკაციური მდგომარეობისაკენ. საბოლოოდ, როცა გამოჩნდება კლინიკური სიმპტომები, უჯრედები და ორგანოები უკვე დაზიანებულია. შესაბამისად, რაც უფრო ადრე ჩატარდება დრენაჟისა და დეტოქსიკაციის კურსი, მით უკეთესი იქნება პაციენტისთვის.

უჯრედული ინტოქსიკაციის დროსაც დრენაჟსა და დეტოქსიკაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. აუცილებელია არა მხოლოდ მატრიქსში არსებული, არამედ უჯრედშიდა ტოქსინების ელიმინაცია

და მატრიქსის გავლით მათი მიტანა სადეტოქსიკაციო და სადრენაჟო ორგანოებთან.

დრენაჟისა და დეტოქსიკაციის პრეპარატების უმრავლესობა მოქმედებს მატრიქსში არსებულ ტოქსინებზე და არა უჯრედებიდან მათ ელიმინაციაზე. ამ უკანასკნელისათვის მოწოდებულია და გამოიყენება სპეციალური პრეპარატები, რომლებიც ააქტიურებენ უჯრედულ ფუნქციებს.

ზღვარი მატრიქსში ჰომოტოქსინების ხანგრძლივ დაგროვებასა და უჯრედში მათ იმპრეგნაციას შორის ძალიან მცირეა. ხშირად დეპონირების ფაზა მიმდინარეობს ფარულად, კლინიკური ჩივილების გარეშე (მაგალითად: თირკმლისა და ნაღვლის კენჭები, პოლიპები, კისტები და ა.შ.). როცა კლინიკური სიმპტომები გამოვლინდება, უჯრედები უკვე დაზიანებულია. ამიტომ, დაავადების განვითარების ცხრილში დეპონირებისა და იმპრეგნაციის ფაზები მიეკუთვნება მატრიქსულ დონეს.

უჯრედგარე მატრიქსის ინტოქსიკაცია იწვევს უჯრედების ჰიპოქსიას. ადრე თუ გვიან მოხდება უჯრედშიდა ინტოქსიკაცია ან უჯრედების დისრეგულაცია, რაც გამოვლინდება მათი სერიოზული დისფუნქციით. ცხადია, ქსოვილის რაც უფრო მეტი უჯრედი დაზიანდება, მით უფრო მძიმე იქნება ამ ქსოვილის ფუნქციური მოშლილობა. ამგვარად, ადრე თუ გვიან, პროცესის გაქრონიკულება დაიწყება.

რადგანაც ჰომოტოქსინების დაგროვებისას დროის ფაქტორი ცუდი მოკავშირეა, რაც უფრო ადრე ჩატარდება ჰომოტოქსინების დეტოქსიკაცია და დრენაჟი, მით უკეთესია უჯრედებისათვის.

აღსანიშნავია, რომ დრენაჟისა და დეტოქსიკაციის ფონზე ხშირად ვითარდება ანთებითი პროცესები, რაც ჰომოტოქსინების „გადატანასთან“ და დამცველობითი სისტემის მიერ ტოქსინების „აღმოჩენასთან“ არის დაკავშირებული. მეორე მხრივ, ინტოქსიკაციის ადგილას დამცველობითი მექანიზმების მობილიზაცია და, შესაბამისად, ანთება აჩქარებს დეტოქსიკაციის პროცესს. ამიტომ ანთება შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც მატრიქსის სწრაფი გასუფთავების პროცესი.

დრენაჟი გულისხმობს ჰომოტოქსინების ლიმფური სისტემის გზით გადატანას ვენურ სისტემაში. დეტოქსიკაციის მთავარი ორგანოებია ღვიძლი და თირკმლები, ე.ი. დეტოქსიკაცია გულისხმობს ამ ორგანოების აქტივაციას. მიუხედავად იმისა, რომ კანსაც აქვს

დეტოქსიკაციის განსაზღვრული შესაძლებლობანი, მისი მთავარი ფუნქციაა ჰომოტოქსინებისაგან დაცვა, აგრეთვე ჰომოტოქსინების ექსკრეცია. იგივე ფუნქცია აქვს შინაგან კანს, ანუ ლორწოვან გარსს.

თირკმლები უზრუნველყოფენ დეზინტოქსიკაციასა და ექსკრეციას. ისინი არეგულირებენ მინერალების კონცენტრაციას, მჟავიანობას, ელექტრულ პოტენციალს (ელექტროლიტების ბალანსი) და სითხის მოცულობას ორგანიზმში გამოყოფილი წყლის რაოდენობის რეგულაციის გზით. შარდის წარმოქმნის დროს თირკმლები გამოყოფენ წყალში ხსნად ჰომოტოქსინებს, რომლებიც ძირითადად წარმოადგენენ ორგანოების ცხოველმყოფელობის პროდუქტებს, ზოგიერთ ქიმიურ ნივთიერებასა და მძიმე მეტალებს. მოზრდილი ადამიანი საშუალოდ წარმოქმნის 150 ლიტრ პირველად შარდს და მხოლოდ მისი 1% (1,5 ლ) გამოიყოფა საბოლოო შარდის სახით, რომელიც შეიცავს დიდი რაოდენობით არასასურველ სუბსტანციებს, ჰომოტოქსინებს. დანარჩენი რეაბსორბირდება და უტილიზდება მინერალური და ელექტროლიტური ბალანსის შესანარჩუნებლად.

ადამიანის ორგანიზმში დეტოქსიკაციის მთავარი ორგანოა ღვიძლი. ცხიმში ხსნადი ჰომოტოქსინები, რომელიც სისხლს მოაქვს ღვიძლში, ნივთიერებათა ცვლის პროცესების შედეგად გარდაიქმნება წყალში ხსნად ჰომოტოქსინებად, გადადის თირკმლებში და გამოიყოფა შარდთან ერთად.

ზოგიერთი ჰომოტოქსინი მეტაბოლიზდება სუბჰიდრირების მექანიზმებით, გარდაიქმნება არატოქსიკურ საბოლოო პროდუქტებად – ჰომოტოქსინებად (ჰ.რეკვევის თეორიის მიხედვით).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კანი პირველ რიგში ჰომოტოქსინებისაგან ორგანიზმის დამცველი პირველი ბარიერია, მიუხედავად ამისა, არ შეიძლება დავივიწყოთ მისი შესაძლებლობანი დრენაჟისა და დეტოქსიკაციის დროს და კომპლექსურ პროგრამაში. მძიმე ინტოქსიკაციის დროს ხშირად გვხვდება რეაქციები კანზე გამონაყარის ან დერმატიტის, მომატებული ოფლდენის და ა.შ. სახით. გაღრმავებული დრენაჟისა და დეტოქსიკაციის სქემებში გასათვალისწინებელია სპეციფიკური პრეპარატები კანის დრენაჟისა და დეტოქსიკაციისათვის. ეს აუცილებელია როგორც კანის დაავადების, ასევე კანის პათოლოგიებით მიმდინარე დაავადებების დროს.

ბარიერული ფუნქცია, რომელსაც სხეულის ზედაპირზე კანი

ასრულებს, ორგანიზმში ხორციელდება სხვადასხვა ორგანოების ლორწოვანი გარსით. ლიმფოიდური ქსოვილი, რომელიც ასოცირებულია ლორწოვან გარსთან, ანუ არაკაფსულირებული კომპლექტური ლიმფური უჯრედები, დიდი მოცულობით მდებარეობს ლორწოვანი გარსებში, განსაკუთრებით, სასუნთქი სისტემისა (BALT) და საჭმლის მომნელებელი სისტემის (GALT) ლორწოვანი გარსების დონეზე. ლიმფოიდური ქსოვილის შემცველი ლორწოვანი გარსი გადამწყვეტ როლს თამაშობს ორგანიზმის დეტოქსიკაციის პროცესში.

ორგანიზმში დაგროვილი ჰომოტოქსინები ლიმფური სისტემის გზით გადაიტანება სისხლში და აქედან ღვიძლში ან თირკმლებში. ამ ორგანოებში დეტოქსიკაციის შემდეგ ჰომოტოქსინები გამოიყოფა ორგანიზმიდან.

საყურადღებოა, რომ ლიმფური სისტემის, ღვიძლის ან თირკმლების არასრულყოფილი ფუნქციონირებისას ძალიან მოკლე დროში სახეზეა ზოგადი ინტოქსიკაციის სურათი. ამიტომ პაციენტების უმრავლესობას უნდა ჩაუტარდეს დრენაჟისა და დეტოქსიკაციის კურსი, რადგან დრენაჟმა, ღვიძლისა და თირკმლების გაძლიერების გარეშე, შეიძლება გამოიწვიოს ჰომოტოქსინების დაგროვება ამ ორგანოების დონეზე.

ლიმფურ სისტემას და უჯრედგარე მატრიქსიდან დრენაჟს აქტიურებს პრეპარატი **ლიმფომიოზოტი (Lymphomyosot)**, მაგრამ ქრონიკული დაავადებების დროს ჰომოტოქსინების ინტენსიურმა გამოყოფამ დროის მცირე პერიოდში შესაძლოა გამოიწვიოს ღვიძლისა და თირკმლების გადატვირთვა იმ პაციენტებში, ვისაც აღენიშნებოდა ამ ორგანოების მსუბუქი ან ზომიერი დისფუნქცია.

ასეთ შემთხვევებში რისკის თავიდან ასაცილებლად, გამოიყენება პრეპარატების ნაკრები „**დეტოქს-კიტი**“ (Detox-Kit), რომელშიც შედის სამი პრეპარატი: **ლიმფომიოზოტი (Lymphomyosot)**, **ნუქს ვომიკა-ჰომაკორდი (Nux vomica-Homaccord)** და **ბერბერი-ჰომაკორდი (Berberis-Homaccord)**. ის წარმოადგენს ყველაზე კომპლექსურ და უსაფრთხო საშუალებას დრენაჟისა და დეტოქსიკაციის ჩასატარებლად. მისი მეშვეობით ხორციელდება არამხოლოდ მატრიქსის გასუფთავება, არამედ ღვიძლისა და თირკმლების ფუნქციების თერაპიული გაძლიერება. იგი ინიშნება მინიმუმ 4-6 კვირის ხანგრძლივობით, რადგან ლიმფური დრენაჟი გაცილებით

ნელა ხორციელდება ვენურ სისხლის მიმოქცევასთან შედარებით.

ფექტური ღრენაჟისა და დეტოქსიკაციისათვის საჭიროა დიდი რაოდენობით სითხე. საუკეთესოა წყალი. ბევრი ნარჩენი პროდუქტი არის ცილოვანი ნივთიერება, რომელიც ორგანიზმში ყველაზე იოლად წყლით გადაიტანება. ამიტომ ღრენაჟისა და დეტოქსიკაციის კურსის მნიშვნელოვანი ასპექტია დღის განმავლობაში, ჩვეულებრივთან შედარებით, გაზრდილი რაოდენობის წყლით ორგანიზმის მომარაგება. მოზრდილმა პაციენტმა დამატებით უნდა მიიღოს 1,5 ლ წყალი.

ქრონიკული და მძიმე დაავადებების დროს შესაძლოა საჭირო გახდეს უფრო ინტენსიური დეტოქსიკაცია და ღრენაჟი. „დემტოქს-პიტი“ განაპირობებს უჯრედგარე მატრიქსის გასუფთავებას და ასტიმულირებს ღვიძლისა და თირკმლების ფუნქციებს, მაგრამ მისი მოქმედება არ ახდენს ორგანოთა უჯრედების გაძლიერებას, რაც აუცილებელია უჯრედშიდა ინტოქსიკაციისა და უჯრედშიდა მექანიზმების ქრონიკული ბლოკადის დროს. ამ დროს საჭიროა კომპოზიციური პრეპარატები სუის-ორგანული ინგრედიენტებით, აგრეთვე კომპონი კომპოზიტუმი (Coenzyme compositum) და უბიჩინონ კომპოზიტუმი (Ubichinon compositum), რომლებიც აწესრიგებს ლიმონმჟავას ციკლს და აძლიერებს უჯრედზე დეტოქსიკაციურ მოქმედებას.

ღრენაჟისა და დეტოქსიკაციის კურსი განაპირობებს მატრიქსის ანუ უჯრედის მიკროგარემოს გასუფთავებას. მარეგულირებელი თერაპია საშუალებას გვაძლევს, დავიცვათ პაციენტი მძიმე ანთებითი რეაქციისაგან. უჯრედების გაზრდილი ოქსიგენაციის წყალობით შეიძლება მოვანდინოთ მათი ფუნქციების ოპტიმიზაცია.



იზოლირებულად, იმუნომოდულაციის სვეტის გამოყენება სხვა ჰომოტოქსიკოლოგიური საფუძვლების გარეშე,

მიზანშეწონილია მხოლოდ მწვავე ანთებითი პროცესების დროს. ხოლო ქრონიკული დაავადებებისას მეტად მნიშვნელოვანია ჰომოტოქსიკოლოგიური ტრიადის – იმუნომოდულაციის, უჯრედებისა და ორგანოების გაძლიერებისა და ღრენაჟისა და დეტოქსიკაციის – კომპლექსურად გამოყენება. ყოველი მათგანი ცალ-ცალკე იძლევა შედარებით ხანმოკლე შედეგს, ხოლო სამივე მეთოდის კომპლექსუ-

რად გამოყენება გვაძლევს მეტად გამოხატულ და ხანგრძლივ თერაპიულ ეფექტს. მკურნალობის ერთიან სქემაში ჰომოტოქსიკოლოგიის სამივე საფუძვლის გამოყენება ზრდის განკურნების მიღწევის შანსს და შეუძლია დაავადებათა განვითარების ცხილში შეცვალოს დაავადების მიმდინარეობის მიმართულებაც კი.

1.4.2. იმუნომოდულაცია

ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე პროცესების უმრავლესობა წარმართება თვითმარეგულირებელი სისტემების მეშვეობით. მათ შორის დამცველობითი სისტემაც თვითმარეგულირებელია და, შესაბამისად, მიზანმიმართულად ცდილობს დაიცვას ორგანიზმი ყოველგვარი მავნე ნივთიერებებისაგან – ჰომოტოქსინებისაგან. ამიტომ, თვითმარეგულირებელი სისტემების მუშაობის მოსაწესრიგებლად უფრო მართებული იქნება მარეგულირებელი თერაპიის გამოიყენება.

მარეგულირებელი პროცესების მართვა ხდება მასტიმულირებელი და შემაკავებელი მედიატორების გამოყოფის მეშვეობით. ყოველი მასტიმულირებელი მედიატორის საპირისპიროდ არსებობს ანტაგონოსტი შემაკავებელი მედიატორი, რომელიც აინჰიბირებს სტიმულირებულ უჯრედს ან შესაბამის პროცესს. ასეთი ნატიფი რეგულაცია გავს ავტომობილის მართვას გაზისა (აქსელერატორის) და მუხრუჭის პედლებით, რომელთა საშუალებითაც ხდება სიჩქარის მომატება ან დაკლება.

თვითრეგულაციის პროცესში ჩარევა შეიძლება ისეთი თერაპიული ზემოქმედებით, რომელსაც ეწოდება „იმუნომოდულაცია“.

იმუნომოდულაციისათვის გამოიყენება ანტიჰომოტოქსიკური პრეპარატები, რომელსაც გააჩნია კარგი თერაპიული ეფექტი და არის აბსოლიტურად უსაფრთხო და უვნებელი. ანტიჰომოტოქსიკურ პრეპარატებში სამკურნალო კომპონენტების მიკრო- და ნანოლოზებით გამოყენება გამორიცხავს ინტოქსიკაციას.

ჰომოტოქსიკოლოგიის პრინციპებიდან გამომდინარე, ნებისმიერი პათოლოგიური პროცესი, მისი წარმოშობის მიუხედავად, თავის მიმდინარეობაში ერთ-ერთ სტადიად ანთებას შეიცავს.

ანთება წარმოადგენს ორგანიზმის რეაქციას უცხო ფაქტორებზე, ინფექციურ აგენტებზე, სხეულის მექანიკურ, ფიზიკურ, ქიმიურ

დაზიანებაზე. მისი ძირითადი მიზანია შემოსაზღვრა, ორგანიზმიდან ჰომოტოქსინების გამოთავისუფლება და რეპარაცია. ზემოაღნიშნული ხორციელდება იმუნური სისტემის ჩართვით, რასაც მოჰყვება უცხო სხეულების სპეციფიკური განეიტრალება, ზოგჯერ კი იმუნიტეტის ჩამოყალიბება.

ანთებითი პროცესის მიმდინარეობა დამოკიდებულია ორგანიზმის იმუნური სისტემის წონასწორობაზე, რომელსაც განაპირობებს: ცირკადული რითმები, ანტი-, ინტრა-, პოსტნატალური და გენეტიკური ფაქტორები, თანდაყოლილი (არასპეციფიკური) და სპეციფიკური იმუნიტეტი, სქესი, ასაკი, ნიკოტინი, ალკოჰოლი, სიმსუქნე, კვების ხარისხი, სტრესი (მწვავე, ქრონიკული), ფიზიკური დატვირთვა, ვაქცინაცია და სხვა.

ანთება მიმდინარეობს შემაერთებელ ქსოვილში, რომელიც შედგება უჯრედებისაგან (ფიბრობლასტები, მაკროფაგები, პოხიერი, პლაზმური, რეტიკულური უჯრედები), ბოჭკოებისაგან და ძირითადი ნივთიერებისაგან.

შემაერთებელი ქსოვილის უჯრედები და ძირითადი ნივთიერების კომპონენტები (გლიკოზამინოგლიკანები, პროტეოგლიკანები, მუკოპოლისაქარიდები) აქტიურ მონაწილეობას ღებულობს როგორც უცხო სხეულების (ანტიგენები, მიკრობები, ჰომოტოქსინები) შეკავებაში, ისე მათ დაბლოკვასა და ნეიტრალიზაციაში. ეს ყოველივე წარმოადგენს მატრიქსის ბარიერულ ფუნქციას.

იმუნოლოგიურ რეაქციებში მონაწილეობს სპეციფიკური და არასპეციფიკური უჯრედები: T- და B-ლიმფოციტები, მონოციტები, ნეიტროფილები, ეოზინოფილები, ბაზოფილები, პლაზმური უჯრედები, თრომბოციტები და ხსნადი მედიატორები (ციტოკინები, ანტისხეულები, კომპლემენტის სისტემა, მწვავე ფაზის ცილები, ფერმენტები).

სპეციფიკური იმუნოლოგიური პასუხის ელექტორული ფაზა შედგება ორი კომპონენტისაგან: ჰუმორული და უჯრედული. პირველს ახასიათებს B-ლიმფოციტების მიერ სპეციფიკური ანტისხეულების წარმოქმნა, მეორეს კი – T-ლიმფოციტებით განპირობებული იმუნოლოგიური რეაქციები.

განასხვავებენ T უჯრედების 4 ჯგუფს:

- Tc (აპროლუცირებენ ციტოკინებს, ააქტივებენ T-ლიმფოციტებს);

- TLK-(ლიმფოკინების წყარო);
- TS-სუპრესორები (დამთრგუნველი CD8);
- TH-ჰელპერები (დამხმარე- CD4). არსებობს TH-ჰელპერების სამი სახეობა: TH-1, TH-2, TH-3.

TH-1 განაპირობებს უჯრედულ იმუნიტეტს და ააქტივებს NK-უჯრედებს.

TH-2 – უზრუნველყოფს ჰუმორულ იმუნიტეტს, ასტიმულირებს ლიმფოციტებს, პლაზმურ უჯრედებს და ხელს უწყობს ანტიგენების განადგურებას.

TH-3 – მისი მთავარი მედიატორია ზრდის მატრანსფორმირებელი ფაქტორი β (TGF- β), რომელიც თრგუნავს TH-1 და TH-2-ით გამოწვეულ იმუნურ პასუხს და შესაბამისად აქვეითებს ანთების გამოვლინებას.

ხსნად მედიატორებს მიეკუთვნება:

ციტოკინები – სინთეზდება ლიმფოციტებსა და მონოციტებში.

მათ მიეკუთვნება:

- ა) *ინტერფერონები* (α -ანტიპროლიფერაციული, β -ანტივირუსული, γ -იმუნომოდულატორული).
- ბ) *ინტერლეიკინები* (IL1-11) – ასტიმულირებენ ჰემობოეტურ, ლიმფურ, ეოზინოფილურ, პოზიერ და ღეროვან უჯრედებს.
- გ) *კოლონიმასტიმულირებელი ფაქტორები* (CSF) – ააქტივებენ მონოციტებს (M), გრანულოციტებს (G) და გრანულოციტებსა და მონოციტებს (GM).
- დ) *სიმსივნის მანეკროზებელი ფაქტორები* (TNF- α და TNF- β) პროანთებითი ფაქტორებია, იწვევს სიმსივნის ნეკროზს, სეფსისური შოკის სიმპტომების მედიატორია.
- ე) *ზრდის მატრანსფორმირებელი ფაქტორი* – (TGF- β) მონაწილეობს ანთების განვითარებაში და აგრეთვე წარმოადგენს აქტიურ ანტიანთებით ფაქტორს.

კომპლემენტის სისტემა (C3b, C3a, C5a) – მონაწილეობს ნაწილაკების ობსონინზაციაში, ქემოტაქსისში, უჯრედების საბოლოო ლიზისში.

აღამიანის ორგანიზმში ანტიგენების შეღწევისას მათი პროტეინების შეცნობა ხდება სპეციალური ანტიგენწარმდგენი უჯრედების (APC) და II ტიპის მთავარი ჰისტოშეთავსების კომპლექსის (MHC)

მეშვეობით. უკანასკნელს უწოდებენ აგრეთვე „ადამიანის ლეიკოციტარულ ანტიგენს“ (HLA). ეს კომპლექსი განლაგებულია დამცველი უჯრედების ზედაპირზე (APC და დენდრიტული უჯრედები – DC). ანტიგენის პროტეინები უკავშირდება APC-ს რეცეპტორებს, რაც იწვევს ამ უჯრედიდან IL-1-ის გამოყოფას, რომელიც აადვილებს ანტიგენური პეპტიდების „არამოტივირებულ“ T-ლიმფოციტებზე (TH0) გადატანას და მათ გარდაქმნას T-ჰელპერებად. ახლადწარმოქმნილი T-ჰელპერებიდან გამოიყოფა IL-2 (T-უჯრედების ზრდის ფაქტორი). ეს მედიატორი ააქტიურებს TC და TLK-ლიმფოციტების პროლიფერაციას, მათ მიერ ციტოკინების და ლიმფოკინების გამოყოფას და, შესაბამისად, ბაქტერიებით ინფიცირებული უჯრედების დარღვევას.

ამავდროულად მიკრობების დაშლის პროდუქტები და სხვა უცხო სხეულები განაპირობებს კომპლემენტების (C3b, C3a, C5a) და პოხიერი უჯრედებიდან ჰისტამინის, სეროტონინის, ლეიკოტრიენების, პროსტაგლანდინების, ჰემოკინების, TNF- α -ს გამოყოფას.


ზემოაღნიშნული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები ასტიმულირებს ფიბრობლასტებში, ნეიტროფილებში, მაკროფაგებში, TH-1 უჯრედებში პროანთებითი ფაქტორების (TNF- α , IL-1, IL-6, IL-8) წარმოქმნას, ფაგოციტარული ფუნქციის გააქტიურებას (რესპირატორული აფეთქება, დეგრანულაცია, ფერმენტების აქტივობის ზრდა – მიელოპეროქსიდაზას, ელასტაზას, კატეფსინ C1-ის), ღვიძლში კი – მეტალოპროტეინაზების, α -1 – ანტიტრიფსინის, α -1 – ანტიქემოტრიფსინის სინთეზის მომატებას.

ჩამოთვლილი არასპეციფიკური დამცველობითი სისტემის კომპონენტების ზეგავლენით, აგრეთვე, აქტიურდება უჯრედული და ჰუმორული იმუნური რეაქციები, რაც საფუძვლად უდევს ავადმყოფის გამოჯანმრთელებას.

ფიზიოლოგიურ პირობებში ადამიანის ორგანიზმი წარმოადგენს თვითმარეგულირებელ სისტემას, სადაც ჰომეოსტაზის მუდმივობის შენარჩუნება ხდება ჰიპოთალამო-ჰიპოფიზურ-ადრენოკორტიკალური სისტემის საშუალებით, რომელიც CNS-თან ერთად განაპირობებს დიდი დამცველობითი სისტემის კომპონენტების თვითრეგულაციას (მატრიქსი, რეტიკულოენდოთელიუმი, უჯრედული და ჰუმორული იმუნიტეტი, ღვიძლის დეტოქსიკაციური ფუნქცია) და საერთო ადაპტაციური სინდრომის განვითარებას.

იმუნოლოგიური ჰომეოსტაზისათვის დამახასიათებელია პროან-თებით TH-1 და TH-2 უჯრედებს შორის წონასწორობის დამყარება მარეგულირებელი TH-3 ლიმფოციტების მეშვეობით (TGF-β ფაქტორის გააქტივების გზით). დადგენილია, რომ თირკმელზედა ჯირკვლის ქერქის ჰორმონები დეჰიდროეპიანდროსტერონი (DHEA) და კორტიზოლი ურტიერთსაწინააღმდეგოდ მოქმედებენ TH-1 და TH-2 ლიმფოციტების პოპულაციაზე: პირველი ასტიმულირებს TH-1-ის წარმოქმნას, მეორე კი – TH-2-ისას. ამავდროულად, ეს ორი ტიპის უჯრედები აკონტროლებს ერთმანეთს: TH-1 ლიმფოციტები TH-2-ით გამოწვეული რეაქციების ინჰიბირებას ახდენს ინტერფერონის (IF), და პირიქით, და TH-2 უჯრედები აფერხებს TH-1-ით განპირობებულ რეაქციებს IL-10-ის მეშვეობით.

აუტორეგულატორული პროცესების არასრულყოფილების შედეგად და დიდი დეტოქსიკაციური პროცესების ინტეგრაციის დარღვევისას ხდება დაავადების განვითარების ცხრილში პათოლოგიური პროცესის მარჯვნივ გადანაცვლება (ანუ დაავადების ქრონიზაცია, იმუნური დისფუნქცია, ალერგია). ამ მოვლენას საფუძვლად უდევს TH-1/TH-2 ანუ DHEA/კორტიზოლის თანაფარდობის გადახრა. მაგალითად, კორტიზოლის ხანგრძლივი გამოყოფა (ქრონიკული სტრესის დროს) ხელს უწყობს TH-2 უჯრედებით განპირობებული დაავადებების განვითარებას (ალერგია, აუტოიმუნური დაავადებები, ავთვისებიანი სიმსივნეები, მიკოზები, ქრონიკული დადლილობის სინდრომი, შიდსის ბოლო სტადია, ნარკომანია). ამ მდგომარეობებს ეწოდება TH-2-რივილობა (სურ.6).



სურ. 6.

TH-1 რიგიდობას (ანუ DHEA ჰიპერპროდუქციას) ადგილი აქვს შემდეგი პათოლოგიების დროს: უჯრედული აუტოიმუნური რეაქციები (რევმატოიდული ართრიტი, გაფანტული სკლეროზი, კრონის დაავადება), კარდიომიოპათიები, კანის დაავადებები, ქრონიკული მორციდივე პათოლოგიები.

ანტიჰომოტოქსიკური თერაპიის ამოცანას წარმოადგენს ორგანიზმის აუტორეგულატორული მექანიზმების პირდაპირი და არაპირდაპირი გზით გააქტიურება და დარღვეული ჰომეოსტაზის კორექცია, (პათოლოგიური პროცესის გადაადგილება მარცხნივ, სრულ გამოჯანმრთლებამდე).

იმუნომოდულაცია წარმოადგენს ანტიჰომოტოქსიკური თერაპიის სქემის ძალიან მნიშვნელოვან (განსაკუთრებით ქრონიკული დაავადებების შემთხვევაში) შემადგენელ ნაწილს და გულისხმობს მედიკამენტების საშუალებით იმ თვითმარეგულირებელ პროცესებზე ზეგავლენას, რომლებიც განაპირობებს დამცველობითი სისტემის კორექციას. ამ დროს იმუნური რეაქციების აქტივაციით ან რეგულაციით მიიღწევა არამართო დამცველობითი სისტემის ფუნქციონირების საჭირო დონე, არამედ კლინიკური სიმპტომების გამოხატვის ინტენსივობის დაქვეითება ან არარეაქტიული იმუნური რეაქციების სტიმულაცია.

იმუნომოდულაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს TH-1 და TH-2 ლიმფოციტურ სისტემებს შორის წონასწორობის მიღწევა. დადგენილია, რომ ანტიგენური პროტეინების მნიშვნელოვანი რაოდენობა იწვევს პროანთებითი T-ლიმფოციტების (TH-1 და TH-2) დონის მომატებას, მათი მიკრო- და ნანოდოზები კი – TH-3 უჯრედების სტიმულაციას, ანუ ანტიანთებით ეფექტს.

ჰ.ჰაინეს მონაცემებით, იმუნომოდულაციური ეფექტი (TH-3 უჯრედების აქტივაციის გზით) დამახასიათებელია მხოლოდ იმ ანტიჰომოტოქსიკური პრეპარატებისათვის, რომელთა პროტეინების (შემადგენელ კომპონენტების) პოტენცია D1-დან D14-მდეა (10^{-1} -დან 10^{-14} -მდე).

არსებობს ანტიჰომოტოქსიკური იმუნინჰიბიტორები, იმუნოსტიმულატორები და, აგრეთვე, ორი ურთიერთსაწინააღმდეგო რეგულატორული თვისებების მქონე პრეპარატები. უკანასკნელი ჯგუფის პრეპარატები მიეკუთვნებიან ჭეშმარიტ იმუნომოდულატორებს. ანტიჰომოტოქსიკური ნივთიერებების იმუნომოდულატორული მოქ-

მელების მექანიზმების ასხნისათვის პროფ. ჰ.ჰაინეს მიერ მოწოდებულია „დამხმარე იმუნური რეაქციის“ თეორია (სურ.7). ამ ფარმაკოდინამიური მოდელის მიხედვით, პრეპარატებში შემავალი დაბალი კონცენტრაციის პროტეინები ანტიგენწარმდგენი და დენდრიტული უჯრედების ზემოქმედების შედეგად იშლება. მათი მოკლე ამინომჟავური ჯაჭვები სპეციალური რეცეპტორების საშუალებით და მე-2 ტიპის მთავარი ჰისტოშეთავსების კომპლექსის მონაწილეობით უკავშირდება მაკროფაგების ზედაპირს. წარმოქმნილი შენაერთი წარმოადგენს „მოტივს“. უკანასკნელი უერთდება „არამოტივირებულ“ T-ლიმფოციტებს (TH0) და გარდაიქმნება TH-3 (მარეგულირებელი) ლიმფოციტებად. წარმოქმნილი უჯრედები გადადის უახლოეს ლიმფურ ჯირკვლებში, სადაც განიცდის კლონირებას (ჰოუმიინგი). გააქტიურებული TH-3 უჯრედები ამოიცნობს ანთებით კერაში პროანთებით ლიმფოციტებს (TH-1 და TH-2), რომელიც შეიცავს უცხო სხეულების ანთებით მოტივებს. ამ რეაქციის შედეგად TH-3 ლიმფოციტებში აქტიურდება IL-10-ის და ზრდის მატრანსფორმირებელი ფაქტორის (TGF-β) სინთეზი (ანტიანთებითი ციტოკინები), რის გამოც ანთებითი პროცესი განიცდის უკუგანვითარებას.


იმუნომოდულაციურ პრეპარატებს მიეკუთვნება ნივთიერებები, რომელიც შეიცავს ორგანოების ექსტრაქტებს (სუის-ორგანული კომპონენტები), შხამებს, ბაქტერიულ ვაქცინებს, ამინომჟავებს. მაგალითად, **გალიუმ-ჰელი** (Galium-Heel) (შხამი და მცენარეული ამინომჟავები); **ტრაუმეელი** (Traumeel S) (მცენარეული ამინომჟავები); **ენგისტოლი** (Engystol), **ეუფორბიუმი** (Euphorbium compositum), **ცელი** (Zeel).

პრეპარატი **ტრაუმეელი** (Traumeel S) არეგულირებს ანთებით პროცესს: თრგუნავს IL-1-ის, IL-8-ის, TNF-α-ს სინთეზს, რაც იწვევს კორტიზოლის წარმოქმნას და ანთებითი პროცესის ინტენსივობის დაქვეითებას.

ენგისტოლი (Engystol) – მონაწილეობს TH-1/TH-2 ლიმფოციტების ბალანსის დამყარებაში, ხელს უწყობს IF-ს მომატებას. დადებითი თერაპიული ეფექტი აღინიშნება TH-2-ით გამოწვეული იმუნური დაავადებების დროს, აგრეთვე აქტიურებს გრანულოციტების ფუნქციას, რაც მიუთითებს მისი, როგორც არასპეციფიკური დამცველობითი სისტემის სტიმულატორის როლზე.

ცელი (Zeel) – გამოხატულად აქვეითებს პროანთებით 5-ლი-

დასამარე იმუნური რეაქცია



პოქსიდაზას და ნაკლებად 2-ციკლოქსიდაზას მედიატორების კასკადის აქტივობას; წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას მუხლის სახსრის ართროზის მკურნალობისათვის.

მუშორბიუმ კომპოზიტუმი (Euphorbium compositum) – მნიშვნელოვნად თრგუნავს ვირუსების პროლიფერაციას (ჰერპესი ტიპი 1, რესპირატორულ-სინციტიალური, გრიპი A).

ამრიგად, ანტიჰომოტოქსიკური პრეპარატების მეშვეობით დარღვეული იმუნოლოგიური პროცესების ეფექტური იმუნომოდულაციისათვის საჭიროა იმუნური პასუხების რიგიდობის ბუნების (TH-1 და TH-2) სწორად დადგენა.

იმუნური სინდრომების დროს ანტიჰომოტოქსიკური იმუნომოდულატორების მიკროდოზების გამოყენება საფუძვლად უდევს იმუნოლოგიური ტოლერანტობის აღდგენას რეგულატორული TH-3 უჯრედების აქტივაციის გზით, საპირისპირო რიგიდობის ტიპის დარღვევის გარეშე. იმუნური პასუხის დათრგუნვაზე დამყარებული კლასიკური მიდგომა კი ხშირად იწვევს იმუნოლოგიური ბალანსის დარღვევას, რომელიც ვლინდება თვით იმუნოდეპრესანტით გამოწვეული რიგიდობის სახეობის შეცვლით.

1.4.3. უჯრედების ბააქტივება და ორგანოების ბაქლიერება

ცოცხალი ორგანიზმი ბევრად მეტია, ვიდრე განსხვავებული უჯრედების ჯამი, რომელთაგანაც იგი შედგება. მიუხედავად ამისა, უჯრედი არის მისი ქსოვილების ფუნქციურ-სტრუქტურული ერთეული, რომლის სწორ ფუნქციონირებას არსებითი მნიშვნელობა აქვს მთლიანი ორგანიზმის სიცოცხლისათვის.

უჯრედული დისფუნქცია ვითარდება სხვადასხვა მიზეზით, მაგრამ საბოლოო შედეგი ერთი და იგივეა: მუდმივი და დროში გახანგრძლივებული უჯრედული დისფუნქცია იწვევს ქრონიკულ დაავადებებს.

უჯრედის ენერგიით მომარაგება ხდება ბიოქიმიური რეაქციების რთული კასკადის მეშვეობით, რომელიც ცნობილია კრებსის ციკლის სახელით. ამ ციკლის ყოველი ეტაპი ხორციელდება კატალიზატორების მეშვეობით. ამასთანავე, ისინი საჭიროა დაბალი კონცენტრაციით. კატალიზატორის ერთ მოლეკულას წამების განმავლობაში შეუძლია გამოიწვიოს და დააჩქაროს ათასობით რეაქცია.

მრავალი ალოპათიური საშუალება აბრკოლებს ფერმენტულ ფუნქციებს. მათი ხანგრძლივად გამოყენებისას ვითარდება უჯრედული დისფუნქცია, განსაკუთრებით ხანდაზმულ პაციენტებში. მსგავსად ზემოქმედებს ფერმენტულ სისტემებზე ჰომოტოქსინებიც.

ამიტომ, მესამე სვეტს, რომელსაც ვეყრდნობით ანტიჰომოტოქსიკური მკურნალობისას, წარმოადგენს ორგანოებისა და უჯრედების გაძლიერება. იგი აუცილებელია ქრონიკული, დეგენერაციული დაავადებების დროს. ორგანოების გაძლიერების გარეშე მიღწეული ეფექტი იქნება მხოლოდ ზედაპირული.

უჯრედების გაძლიერება ანუ უჯრედების ოქსიგენაციის გაუმჯობესება ანტიჰომოტოქსიკურ თერაპიაში ხორციელდება კომპოზიციური პრეპარატების მეშვეობით, რომლებიც მოქმედებს კრების ციკლის დონეზე. შეიძლება ავირჩიოთ ორი ძირითადი სტრატეგია: ვიმოქმედოთ სხვადასხვა პრეპარატების ნაკრების მეშვეობით ან ავირჩიოთ ორი კომპლექსური პრეპარატი – **კოენზიმ კომპოზიტუმი (Coenzyme compositum)** და **უბინინი კომპოზიტუმი (Ubichinon compositum)**.

ანტიჰომოტოქსიკურ თერაპიაში გამოყენებული ლიმონმჟავას ციკლის კატალიზატორები უზრუნველყოფს უჯრედების ოქსიგენაციის პროცესს. ეს ნიშნავს, რომ აღნიშნული პრეპარატების მეშვეობით გაძლიერებთ უჯრედის ენერგომომარაგებას და გაუმჯობესებთ მის ფუნქციას. რადგანაც დაბერებულ ორგანიზმში მეტაბოლური პროცესები ხშირად შენელებულია, უჯრედის ოქსიგენაციის გაუმჯობესება ადადგენს მის ნორმალურ ფუნქციურ სტატუსს.

უჯრედული ფუნქციის გაუმჯობესება, ბუნებრივია, იწვევს ორგანოს ფუნქციის გაუმჯობესებას. მაგრამ ამას გარდა, ორგანოების გაძლიერების მიზნით შემუშავებულია სპეციალური კომპლექსური პრეპარატები. პრაქტიკულად ყველა ორგანოსათვის არსებობს გაძლიერების სპეციალური ფორმულა. იდეალურ სიტუაციაში აუცილებელია უჯრედისა და ორგანოს ერთდროული გაძლიერება, სრულად ეს ხორციელდება **კოენზიმ კომპოზიტუმისა** და **უბინინი კომპოზიტუმის** და შესაბამისი ორგანოს კომპოზიციური პრეპარატის ერთდროული გამოყენებით. ეს უკანასკნელი შეიძლება თითოეული პაციენტისათვის ინდივიდუალურად. აუცილებელია ვიპოვოთ *locus minoris resistentia* – ორგანიზმში ყველაზე სუსტი ორგანო ან ორგანოთა სისტემა. რადგან, როგორც წესი, სწორედ ეს ორგანო არის ხოლმე პრობლემების მთავარი მიზეზი, განსა-

კუთრებით დაბერების პროცესში.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაავადების განვითარების ცხრილში მარჯვენა მხარეს მდებარე დაავადებების დროს თერაპიულ სქემაში უნდა ჩაირთოს უჯრედების გამააქტივებელი და ორგანოთა გამაძლიერებელი პრეპარატები. დაავადების ამ ეტაპებზე უჯრედები და ორგანოები პრაქტიკულად განიცდიან დისფუნქციას, ხოლო ბოლო ფაზებში დეგენერაციას და ნეკროზს. ასეთ დროს მნიშვნელოვანია დარჩენილი ცოცხალი უჯრედების გადარჩენა და შენარჩუნება. ამისათვის მოწოდებულია ანტიჰომოტოქსიკური კატალიზატორები და კომპოზიციური პრეპარატები, რომლის შემადგენლობაში შედის სუის-ორგანული კომპონენტები.

1.5. ანტიჰომოტოქსიკური პრეპარატები

ანტიჰომოტოქსიკური პრეპარატების სპექტრი საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანია. ალოპათიური პრეპარატებისაგან განსხვავებით, რომელთაც ძირითადად მხოლოდითი ეფექტი გააჩნიათ შემადგენელი ნივთიერების შესაბამისად, ანტიჰომოტოქსიკური პრეპარატები თავისი კომპლექსური ფორმულით ერთდროულად მიმართულია მრავალი ეფექტის მისაღწევად.

ალოპათიური პრეპარატების საშუალებით წყდება სხვადასხვა ამოცანა: ისინი ანაცვლებენ ზოგიერთ სუბსტანციას (მაგალითად სხვადასხვა ჰორმონს), ბლოკავენ რეცეპტორებს (მაგ., ანტიინსტამინური საშუალებები, პოხიერი უჯრედების სტაბილიზატორები...), ბლოკავენ ფერმენტებს (ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული პრეპარატები/NSAID) ან ახორციელებენ მედიატორების განმეორებით შებოჭვას (სელექტიური ინჰიბიტორები/SSRI) და ა.შ. ყველა ამ თერაპიული მოქმედების მექანიზმს გააჩნია ერთი საერთო დანიშნულება: ის თრგუნავს დაავადების სიმპტომებს და მასთან ერთად ორგანიზმის აუტორეგულაციურ მექანიზმებსაც. სამწუხაროდ, მსგავსი ჩარევა იწვევს აუტორეგულაციური სისტემის რიგიდულობას, რასაც მოსდევს მასზე დამოკიდებული სხვა სისტემების დისრეგულაცია.

ანტიჰომოტოქსიკური პრეპარატები კი პირიქით, ძირითადი აუტორეგულაციური სისტემის მეშვეობით ახდენენ სხვადასხვა პროცესების მართვას (კორექციას). ამიტომ მათი დახმარებით შეიძლება კომპლექსურად მრავლობითი ეფექტის მიღწევა. ანტიჰომოტოქსიკური პრეპარატები დამზადებულია ადამიანის ორგანიზმში არსებული უჯრედული მესენჯერების (ციტოკინები, ნეიროტრანსმიტერები და სხვა) მსგავსი კონცენტრაციებით. ისინი წარმოდგენილია მიკროდა ნანოდოზებით, თუმცა სპეციალურ პრეპარატებში გამოიყენება აგრეთვე ავოგადროს რიცხვზე მაღალი ჰომეოპათიური განზავებები, რომლებიც შექმნილია კლასიკური ჰომეოპათიური პრინციპებით.

ანტიჰომოტოქსიკური პრეპარატების კლასიფიკაცია შესაძლებელია კომპონენტებისა და მოქმედების მექანიზმების მიხედვით.

კომპონენტების მიხედვით:

- მცენარეები;

- მინერალები;
- კატალიზატორები;
- ცხოველური წარმოშობის.

რაც უფრო მრავალფეროვანი კომპონენტებია ერთ კომპლექსურ პრეპარატში, მით უფრო გამოსადეგია იგი დაავადების განვითარების ცხრილში მარჯვნივ მდებარე პათოლოგიების თერაპიისათვის.

მოქმედების მექანიზმის მიხედვით:

- სადრენაჟო და დეტოქსიკაციის პრეპარატები;
- იმუნომოდულატორები;
- უჯრედების გამააქტიურებელი და ორგანოების გამაძლიერებელი პრეპარატები.

კომპანია „ჰელის“ პრეპარატები შეიძლება დაიყოს ორ დიდ ჯგუფად: ესენია კომპლემსური პრეპარატები და ინემლ-ფორმები (Injeels):

- ა. კომპლემსური პრეპარატების ჯგუფი წარმოდგენილია სხვადასხვა გალენური ფორმით. მას მიეკუთვნება **სპეციალური** (ძირითადი/საბაზისო) პრეპარატები, „**კომპოზიციური**“ პრეპარატები და **ჰომეკორდები**.
- ბ. ინემლ-ფორმებს მიეკუთვნება ერთკომპონენტური ჰომეოპათიური პრეპარატები პოტენციითა აკორდით, ბიოლოგიური კომპონენტები (ნოზოდები), სუის-ორგანული პრეპარატები, კატალიზატორები და პოტენცირებული ალოპათიური საშუალებები.

1.5.1. კომპლემსური პრეპარატები

- კომპლექსური პრეპარატების პირველ ჯგუფს წარმოადგენს **სამ-ციალური** (ძირითადი) პრეპარატები. მათი ამოცნობა იოლია გამოგონილი სახელებით (მაგ., **ტრაუმელი** (Traumeel), **ჰეპელი** (Hepeel), **ენგისტოლი** (Engystol), **ცელი** (Zeel) და სხვა). მათ რეცეპტში ცალკეული კომპონენტები მიმართულია დაავადების სხვადასხვა ასპექტისაკენ. ისინი შეიძლება დაინიშნოს კლასიკური კლინიკური დიაგნოზის საფუძველზე. იქედან გამომდინარე, რომ ამ პრეპარატების მოქმედება დამტკიცებულია კლინიკური გამოცდილებითა და საბაზისო კვლევებით, მათ თავიანთ პრაქტიკაში იყენებენ კლასიკური, ალოპათიური მედიცინის


პროგრესული წარმომადგენლები.

- „**კომპოზიციური**“ პრეპარატებს, სპეციალურ პრეპარატებთან შედარებით, უფრო კომპლექსური ფორმულა გააჩნია. ისინი მოწოდებულია ქრონიკული, დეგენერაციული დაავადებების თერაპიისათვის. ამიტომ მათ შემადგენლობაში შედის არა მარტო ორგანული და ბიოლოგიური კომპონენტები, არამედ ლიმონმჟავას ციკლის კატალიზატორებიც. ამ ჯგუფის პრეპარატები გამოიყენება ძირითადად **ღმრთა-ღმრთა**-ში რევულაცია/კომპენსაციის ბარიერის მარჯვნივ მდებარე დაავადებების სამკურნალოდ.
- ანტიჰომოტოქსიკური პრეპარატების განსაკუთრებულ ჯგუფს წარმოადგენს **ჰომოპორფი**. „ჰომ“ არის სიტყვა „ჰომეოპათიური“ ნაწილი, ხოლო „აკორდი“ მუსიკაში აღნიშნავს სხვადასხვა ბერის ერთდროულ ჰარმონიულ ჟღერას. ერთი და იმავე კომპონენტის სხვადასხვა განზავებების ერთდროულ შემოქმედებას ორგანიზმზე ეწოდება პოტენციების აკორდი. ერთ ჰომოპორფში შერწყმულია რამდენიმე პოტენციის აკორდი. ეს ნიშნავს, რომ ერთსა და იმავე ფორმულაში ყველა კომპონენტი წარმოდგენილია სხვადასხვა განზავებებში. პოტენციათა აკორდების შერწყმის მიზეზი მათი შემოქმედებაა: დაბალ განზავებას (D1-D12) ორგანოტროპული მოქმედება აქვს, ე.ი. აძლიერებს ორგანოს, საშუალო განზავებებს (D25-D30) – ფუნქციოტროპული მოქმედება (ქსოვილების და ორგანოთა ფუნქციების გაძლიერება), ხოლო მაღალი განზავებები (D200 და ზემოთ) მოქმედებენ მენტალურ დონეზე (შემოქმედებენ ფსიქიკასა და ემოციებზე). ჰომოპორდები შედგენილია მსგავსების პრინციპით.

გარდა ამისა, კლასიკურ ჰომეოპათიაში ცნობილია, რომ დაბალი, საშუალო და მაღალი პოტენციების შემოქმედება ორგანიზმზე სხვადასხვაგვარია. დაბალი პოტენციების მოქმედება იწყება და მთავრდება შედარებით უფრო სწრაფად, ვიდრე საშუალო და მითუმეტეს მაღალი პოტენციებისა. ამიტომ, ჯერ კიდევ 1913 წელს, ესპანელი ექიმის კახისის მიერ პირველად იყო წამოყენებული ჰომეოპათიური პოტენციათა აკორდების იდეა. შემდეგში ამ იდეის სისწორე და ეფექტურობა პრაქტიკით და მრავალი კვლევებით დადასტურდა (ვ.ფრაზე, 1998).

დაბალი და მაღალი პოტენციების შერევისას მიიღება გაშუალებული შედეგი. ეფექტი სწრაფია დაბალი პოტენციის და ხან-

გრძლივია – მაღალი პოტენციის გამო. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მაქსიმალური შედეგი ცვალებადია სხვადასხვა პოტენციებისათვის, მაშინ დაბალანსებულ აკორდში შემავალი პოტენციების განმეორებითი მოქმედება შეიძლება შევადაროთ ერთდროულად გამონთავისუფლებული სხვადასხვა სიმძლავრის იმპულსების კასკადს (იხ. დიაგრამა).



ჰომაკორდის პოტენციათა კასკადის დიაგრამა

რეკვევის თანახმად, ჰომაკორდები განსაკუთრებით ქრონიკული დაავადებების მკურნალობას უზღდება; რადგან ერთი და იმავე ნარევეში არის ძირითადი ნივთიერების დაბალი და მაღალი პოტენციები, იქმნება დაბალანსებული პოტენცია, რითაც თერაპიული მოქმედება ძლიერდება და ხანგრძლივდება.

მაგალითისთვის განვიხილოთ პრეპარატი **აპის-ჰომაკორდი** (Apis Homaccord). ფუტკრის შხამი (Apis mellifica) მაღალი კონცენტრაციით (ინტოქსიკაცია) იწვევს კანისა და ლორწოვანის შეშუპებას, დაბალი განზავებით იგი აძლიერებს სხვადასხვა ორგანოთა სისტემებს (კუჭი, შარდის ბუშტი), საშუალო განზავებით შეშუპების რეზორბციას განაპირობებს, ხოლო მაღალი განზავებით აძლიერებს ფსიქიკას (აპათიის, უმიზეზო სიბრაზის, ნეგატიური ფიქრების დროს). შეშუპების არსებობისას (მაგ. ოპერაციის შემდეგ) შეიძლება მკურნალობა Apis mellifica-ს პოტენციათა აკორდით, რომელიც განაპირობებს შეშუპების ალაგებას და აძლიერებს ფსიქიკას ანესთეზიის შემდეგ.

სპეციალურ და კომპოზიციურ პრეპარატებთან შედარებით, ჰომაკორდების მოქმედება უფრო ვიწრო ხასიათისაა და მათი გამოყენება შესაძლებელია დაავადების განვითარების ექვსივე ფაზაში.

1.5.2. ინეელ-ფორმები

დასახელება „ინეელ“ მიღებულია სიტყვების „ინიექცია“ და „ჰეელ“-ის შემოკლებით და ნიშნავს ინიექციას კომპანია „ჰეელისაგან“. ამ ჯგუფში შედის მრავალი სხვადასხვა კომპონენტი. ინეელი შეიცავს მხოლოდ ერთი კომპონენტის პოტენციათა აკორდს. კატალიზატორების გარდა, ეს კომპონენტები შერჩეულია ჰომეოპათიური მსგავსების პრინციპით. ჰომეოპორდების მსგავსად, ინეელ-ფორმებს ახასიათებს ორგანო-, ფუნქციო- და ფსიქოტროპულობა. ინეელ-ფორმები შეიძლება გამოიყენოთ **ღვც-ს** ექვსივე ფაზის დაავადებების მკურნალობისთვის. მათი დანიშვნა ხდება მატერია მედიკას შესაბამისად. მატერია მედიკაში შეკრებილი და დეტალურად აღწერილია ნივთიერებათა ყველა მახასიათებელი, რომლებიც კლასიფიცირებულია სხვადასხვა ორგანოსა თუ სისტემაზე მათი ზემოქმედების შესაბამისად, აღწერილია ყველა სიმპტომი, რომელიც ჩნდება ამა თუ იმ ნივთიერების მრავალჯერადი ზემოქმედებით. პაციენტს, რომელსაც აღენიშნება სიმპტომები მატერია მედიკაში აღწერილი ნივთიერების პათოგენეზის შესაბამისად, დაენიშნება ეს პრეპარატი. ბიოთერაპევტები ხშირად იყენებენ ინეელ-ფორმებს მკურნალობის კორექციის ან დასრულების მიზნით, იმ სიმპტომებიდან გამომდინარე, რომელიც აღენიშნება პაციენტს. სიმპტომებს შესაძლოა ჰქონდეს როგორც ფიზიკური, ასევე ფიზიოლოგიური და ემოციური ხასიათი. ინეელ-ფორმები გამოიყენება **ღვც-ს** ყველა ფაზის მკურნალობისათვის.

ინეელ-ფორმებში გამოიყენება **ბიოლოგიური კომპონენტები (ნოზოდები), სუის-ორგანული პრეპარატები, კატალიზატორები და პოტენცირებული ალოპათიური საშუალებები:**

- **ბიოლოგიური კომპონენტები (ნოზოდები)** – პათოგენური მიკროორგანიზმების ან ქსოვილების, აგრეთვე სეკრეციისა და ექსკრეციის სტერილური სუბსტანციების ჰომეოპათიური განზავებებია. ნოზოდები გამოიყენება როგორც სიმპტომების მსგავსების მიხედვით, ასევე ეტიოლოგიური მსგავსების მიხედვით. ნოზოდის დანიშვნა არ შეიძლება, როდესაც დაავადება მწვავე ფაზაშია, რადგან შესაძლოა დაამძიმოს დაავადების მიმდინარეობა და სერიოზული უსიამოვნება მოუტანოს პაციენტს (მაგ., ასთმის ნოზოდმა შესაძლოა გაახშიროს ასთმური შეტევები დაავადების გამწვავების პერიოდში). ნოზოდები გამოიყენება ეტიოლოგიის

შესაბამისად დაავადების ლატენტურ პერიოდში. ნოზოლები ინიშნება აგრეთვე სიმპტომური მსგავსების პრინციპითაც. (მაგალითად, თუ პაციენტს სტკივა ყური, მაგრამ ოტიტი არა აქვს, ინიშნება ოტიტის მედია ნოზოლი /Otitis media nosode). ნოზოლი შეიძლება გამოიყენოთ აგრეთვე, როგორც „ჰომეოპათიური პრეპარატი“, თუკი მატერია მედიკაში ნოზოდის პათოგენეზი შეესაბამება პაციენტის კლინიკურ სურათს.

- ორგანული პრეპარატების** მომზადებისათვის ანტიჰომოტოქსიკურ მედიცინაში გამოიყენება სუის-ორგანული პრეპარატები, რომლებიც მომზადებულია ლორის (ლათ. Suis) ორგანოების ექსტრაქტებისაგან, რადგანაც ფიზიოლოგიური ფუნქციებითა და მეტაბოლიზმის პროცესით ადამიანთან ყველაზე ახლოს ღორი იმყოფება. ორგანოთერაპია კარგადაა წარმოდგენილი მრავალი ქვეყნის ჰომეოპათიურ ფარმაცოპეაში და ჰომეოპათიაში დიდი ხნის ტრადიციები აქვს. სუის-ორგანულ პრეპარატებს გააჩნია მარეგულირებელი მოქმედება ორგანოს ფუნქციაზე და ინიშნება მსგავსების პრინციპით (ჰეპარ სუისი ინიშნება ღვიძლის ფუნქციის დარღვევისას, რენ სუისი – თირკმლის და ა.შ.). იქედან გამომდინარე, რომ სუის-ორგანული პრეპარატი მოქმედებს პირველ რიგში ორგანოს უჯრედებზე და არა მათ გარემომცველ გარემოზე (უჯრედგარე მატრიქსი), ისინი გამოიყენება ქრონიკული, დეგენერაციული დაავადებების დროს ანუ რეგულაციური ბარიერის მარჯვნივ მდებარე დაავადებების დროს.
- ინეელ-ვგუფის თავისებური წარმომადგენლებია **კატალიზატორები**. ანტიჰომოტოქსიკურ პრეპარატებში ისინი გამოიყენება არა მათი ჰომეოპათიური დახასიათების, არამედ მიკრო- და ნანოდოზებით უჯრედული ოქსიგენაციის გამო. მათ გააჩნიათ არა ჰომეოპათიური, არამედ მატერიალური მოქმედება. კატალიზატორები აძლიერებენ ლიმონმჟავას ციკლს, რომელიც ენერგიით უზრუნველყოფს უჯრედს. ანტიჰომოტოქსიკურ მედიცინაში კატალიზატორების თერაპიული გამოყენების მიზანია უჯრედების აქტივაცია. კატალიზატორები გამოიყენება რეგულაციური ბარიერის მარჯვნივ მდებარე დაავადებების დროს, როდესაც საჭიროა უჯრედშიდა დისრეგულაციისა და უჯრედის დაზიანების ეფექტური მკურნალობა.
- ჰომეოპათიური წესით მომზადებული ალოპათიური პრეპარატები.**

კომპლემენტარული მედიცინის გამოყენებამდე, ჩვეულებრივ, პაციენტები და მედიკოსები პრობლემის მოგვარებას ცდილობენ ალოპათიური მედიკამენტებით, რომლებიც თრგუნავენ სიმპტომებს. ასეთი პრეპარატები არა მხოლოდ იწვევს გვერდით მოვლენებს, არამედ თავად წარმოადგენს ჰომოტოქსინებს და იწვევს ინტოქსიკაციას. ასეთი შემთხვევებისათვისაა მოწოდებული ჰომეოპათიზებული ალოპათიური პრეპარატები. მსგავსების პრინციპიდან გამომდინარე, პაციენტის განკურნება შესაძლებელია იმ ქიმიური პრეპარატის ჰომეოპათიური განზავებით, რომელმაც გამოიწვია ინტოქსიკაციის სურათი.

ჰუმორული		მატრიქსული		უჯრედული	
ექსკრეციის ფაზა	ანთების ფაზა	დეპონირების ფაზა	იმპრეგნაციის ფაზა	დეგენერაციის ფაზა	დელიფერენციაციის ფაზა
	←			სპეციალური პრეპარატები	
	←	←		კომპოზიციური პრეპარატები	
				კატალიზატორები	
	←			ბიოლოგიური პრეპარატები (ნოზოლები)	
				სუის-ორგანული პრეპარატები	
	←			ჰომაკორდები	
	←			პოტენცირებული ალოპათიური პრეპარატები	

მოცემული ცხრილი თვალნათლივ წარმოგვიდგენს ანტიჰომოტოქსიკური პრეპარატების სხვადასხვა ჯგუფების გამოყენებას დაავადების განვითარების ცხრილთან მიმართებაში, თუმცა მათი გამოყენების სფეროებს საზღვრები არ გააჩნია და ცხრილს მხოლოდ მათორიენტირებელი ხასიათი აქვს.

1.6. ანტიჰომოტოქსიკური თერაპიის ლიზანინი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნებისმიერი პათოლოგიის დროს დაავადებები გადის მკაფიოდ გამოხატულ განვითარების გზას. თავიდან ორგანიზმი ყველა „ხელისშემშლელ“ ფაქტორს ებრძვის აუტორეგულაციური სისტემის დონეზე, მაგრამ თუ ეს სისტემა სათანადოდ არ მუშაობს ან გადატვირთულია, პათოლოგიური პროცესი გადაინაცვლებს მატრიქსში და საბოლოოდ უვრედში.

დაავადების სტადიიდან გამომდინარე, ანტიჰომოტოქსიკური თერაპიის სამი სვეტის გამოყენება ხორციელდება სხვადასხვა გზით.

უპირველეს ყოვლისა, მკურნალობის გეგმის შემუშავებისათვის საჭიროა კლასიკური მეთოდებით დავადგინოთ დიაგნოზი და გამოვაკლინოთ სუსტი ორგანო ან ორგანოთა სისტემა.

ჩვეულებრივ, კლასიკურ მედიცინაში დაავადების მკურნალობის მართვის ინსტრუმენტები არის პაციენტის კლინიკური და პარაკლინიკური მაჩვენებლები, ხოლო ჰომოტოქსიკოლოგიაში აღნიშნულ მაჩვენებლებს ემატება ჰ. რეკვევგის მიერ შემუშავებული დაავადებათა განვითარების ცხრილი (ღბც).

ღბც წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომლის საშუალებით ვაკვირდებით დაავადების პროგრესს ან ევოლუციას გამოჯანმრთელების მიმართულებით. იგი გვეხმარება პაციენტის სარეზერვო რეგულაციური შესაძლებლობების შეფასებაში. თუ პაციენტის დაავადება განთავსებულია რეგულაცია/კომპენსაციის ბარიერის მარცხნივ, ეს ნიშნავს, რომ მას ჯერ კიდევ შეუძლია თავისი მდგომარეობის რეგულაცია. თუკი ბარიერის მარჯვნივ მდებარეობს, უკვე ვიცით, რომ მხოლოდ მაკომპენსირებელი მექანიზმების საშუალებითაა შესაძლებელი რეგულაციის სტიმულაცია.

ამრიგად, ღბც გვეხმარება პაციენტის მკურნალობის დაგეგმვაში, დაავადების მიმდინარეობის პროგნოზირებაში, თანმხლები თერაპიის, ალოპათიური მედიკამენტების მონმარების საჭიროების და მთლიანად მკურნალობის ეფექტურობის შეფასებაში და სხვა. რაც მეტია ორგანიზმის თვითრეგულაციის შესაძლებლობანი, მით უფრო ნაკლებადაა საჭირო დამატებითი ალოპათიური საშუალებები.

დაავადების პროგრესი ანუ გაუარესება ნიშნავს დაავადების განაცვლებას ღბც-ში მარჯვნივ. მაგალითად, ჰეპატიტი C „პრო-

გრესირებს“ ღვიძლის ცხიმოვან ინფილტრაციაში, ფიბროზსა და კიბოშიც კი. მსგავსი პროგრესი შეინიშნება მეტაბოლური სინდრომის ან შაქრიანი დიაბეტის შემთხვევაშიც (ანთების გადასვლა ქრონიკულ ანთებაში).

დაავადების გადანაცვლება პროგრესირების საპირისპირო მიმართულებით (მარცხნივ) გაუმჯობესებას ანუ გამოჯანმრთელებას ნიშნავს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰომოტოქსიკოლოგიური მეთოდით მკურნალობისას. მკურნალობის მიზანი მდგომარეობს პათოლოგიური პროცესის გადანაცვლებაში მარჯვნიდან მარცხნივ.

ბარიერის მარჯვნივ არსებულ პათოლოგიებს ახასიათებს „რივიდულობის სურათი“, ანუ როცა პაციენტი იმყოფება ქრონიკული დაავადების ფაზაში, იგი არ ავადდება მწვავე ბანალური დაავადებით. ფიბროზის გარეშე მიმდინარე მწვავე ანთება წარმოადგენს დადებით მოვლენას, რადგანაც მიზანშეწონილი პროცესია. სწორედ ამიტომ არის სასურველი ბიოლოგიური თერაპიის დროს მწვავე ანთების გამოჩენა, რადგან გვიჩვენებს, რომ პაციენტის მდგომარეობა უმჯობესდება.

ასეთ სიტუაციებში ჩვენი ამოცანაა, ერთდროულად მოვახდინოთ მწვავე რეაქციების ინდუცირება, რაც დასრულდება პროცესის ქრონიზაციის გარეშე. ამისათვის, პირველ რიგში, უნდა მოვახდინოთ პაციენტის კლასიფიკაცია ცხრილის მიხედვით.

ჰორიზონტალური ღერძი წარმოგვიდგენს პაციენტის რეგულაციურ შესაძლებლობებს ტოქსიკური დატვირთვის შესაბამისად. გამოძვლავებული დაავადებები კი წარმოადგენს ორგანიზმის დამცველობითი სისტემის მიზანშეწონილ რეაქციას. შესაბამისად, დაავადების სურათის „ცვლილება“ დამცველობითი სისტემის წარმატებული ან წარუმატებელი რეგულაციური მოქმედების ნიშანია.

ვერტიკალური ღერძი მიუთითებს, რომელ ქსოვილშია პათოლოგიური პროცესი. ქსოვილების ემბრიოლოგიური წარმოშობის მიხედვით შეგვიძლია თვალი ვადევნოთ დაავადების „გადანაცვლებას“ ერთსა და იმავე ორგანოში. მაგალითად, ასთმა შეიძლება „მოძრაობდეს“ გამოჯანმრთელების მიმართულებით სასუნთქი გზების ენდოდერმული ორგანოდერმული ნაწილიდან ენდოდერმულ მუკოდერმულ ნაწილში, მაგალითად, მწვავე ბრონქიტში.

აღადიანის ორგანიზმში ჰომეოსტაზს უზრუნველყოფს აუტორეგულაციის სისტემა. როდესაც ჰომეოსტაზი ირღვევა, მაგალითად, ჰორმონებისა და ნეიროტრანსმიტერების ჰიპერპროდუქციის დროს, მთელი სისტემა რეაგირებს ერთდროულად. ინდივიდუალური გან-

სხვაგვების გამო, თითოეულ პაციენტს შესაძლოა აღმოაჩნდეს სუსტი ადგილი ამა თუ იმ სისტემაში. მაგალითად პაციენტს, რომელსაც ბავშვობაში გადატანილი აქვს ძლიერი სტრესი, შეიძლება რეგულაციის შეზღუდული შესაძლებლობანი გააჩნდეს ჰიპოთალამო-ჰიპოფიზურ-ადრენალური ღერძის მხრივ. ეს ნიშნავს, რომ მას შესაძლოა გამოუვლინდეს მომატებული წინასწარგანწყობა ადრენალური გამოფიტვისადმი და იმუნური სინდრომებიც კი.

ასეთ შემთხვევებში, ხშირად მიზანშეწონილია ავირჩიოთ პრეპარატები, რომელიც მიეკუთვნება იმუნური რეგულაციის ან ორგანოების გაძლიერების სვეტებს. მაგალითად, ბერბერის-ჰომაკორდს (Berberis-Homaccord) აქვს ფუნქციოტროპული მოქმედება თირკმელზედა ჯირკვალზე, ამიტომ სასურველია მისი ხანგრძლივად მიღება.

ანტიჰომოტოქსიკური პრეპარატები სავსებით გამოყენებადია აუტორეგულაციის სისტემის ფუნქციონირების აღსადგენად, რადგან ისინი ხელს უწყობენ აუტორეგულაციის სისტემაში უკუკავშირის მექანიზმების ნორმალურ ფუნქციონირებას.

მარეგულირებელ სისტემათა ორგანოებს გააჩნიათ სამი მახასიათებელი თვისება:

- **ურთიერთქმედება**
- **უკუკავშირი**
- **ოსცილაცია და რიტმი**

ყოველთვის, როცა ვმკურნალობთ აუტორეგულაციის სისტემის ორგანოებს, უნდა გავითვალისწინოთ და აღვადგინოთ ეს სამი მახასიათებელი.

აუტორეგულაციური სისტემის ფუნქციონირების აღსადგენად ეფექტურია ანტიჰომოტოქსიკური თერაპიის გამოყენება, რადგან ის ხელს უწყობს სხვადასხვა სისტემებს შორის ურთიერთქმედებისა და უკუკავშირის მექანიზმების ნორმალურ ფუნქციონირებას.

სისტემაში შეღწევა შესაძლებელია სხვადასხვა გზით: იმუნური, ენდოკრინული სისტემების, მატრიქსის ან ლვიძლისმიერი დეტოქსიკაციის მეშვეობით.

უმრავლეს შემთხვევაში, ანტიჰომოტოქსიკური თერაპიის დროს სისტემაში შეღწევა ხდება ლვიძლის ან მატრიქსის საშუალებით, რადგან ისინი სხვადასხვა რეგულაციურ სისტემებს შორის კომუნიკაციას განაპირობებენ. მაგრამ, გარკვეულ შემთხვევებში, მაგალითად, როდესაც საქმე გვაქვს გამომყოფ ორგანოთა დაავადებებთან

(მაგალითად C ჰეპატიტი), მაშინ სისტემაში შესვლისათვის უპირატესობა ენიჭება იმუნურ სისტემას.

სხვა შემთხვევებში უნდა ვეცადოთ, ხელი შევეწყოთ მთლიან სისტემას, რაც სასურველია, მაგალითად, კიბოთი დასუსტებულ ავადმყოფებისათვის ან სხვა მძიმედ მიმდინარე ქრონიკული დაავადებების დროს. ამ დროს გამოჯანმრთელების მიმართულებით გადანაცვლების აგრესიული ინდუცირება სასურველი არ არის. ასეთ შემთხვევაშიც უპირველეს ყოვლისა უნდა ავირჩიოთ ორგანოების გაძლიერება.

მნიშვნელოვანია, რომ დავაკვირდეთ უარყოფით უკუკავშირს. ნორმალური ფიზიოლოგიური მდგომარეობის დროს ყველა აქტიურ პროცესს ორგანიზმში უეჭველად მოჰყვება დაუყოვნებელი კონტრ-ზომები. შესაბამისად, ანთება ააქტიურებს არამხოლოდ პროანთებით ციტოკინებს, არამედ რეპარაციის ისეთ მექანიზმებს, როგორიცაა ზრდის მატრანსფორმირებელი ფაქტორი ბეტა.

ღია ბიოლოგიური სისტემის მეტად მნიშვნელოვანი ელემენტია ოსცილაცია. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ბიორითმი, რომელსაც მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს ორგანიზმში მიმდინარე პროცესების უმრავლესობისათვის.

კორტიზოლის კონცენტრაცია, მაგალითად, მაქსიმუმს აღწევს დღის 8 საათისათვის, მინიმუმს კი – შუალამისას. მატრიქსისთვის ამას მნიშვნელობა აქვს, რადგან ანთებისთვის საუკეთესოა კორტიზოლის მინიმალური დონის არსებობა. ამას თან სდევს მატრიქსში აციდოზის ფაზა. ეს სამი გარემოება კი უზრუნველყოფს მატრიქსის დეტოქსიკაციას.

ნებისმიერი მდგომარეობის მეურნალობისას მივისწრაფვით ნორმალური ურთიერთქმედების, უკუკავშირისა და ბიორითმის აღდგენისაკენ.

ამ მიზნის მიღწევა მეტისმეტად ძნელია დამთრგუნველი მოქმედების მქონე პრეპარატების გამოყენებისას.

ანტიჰომოტოქსიკური მედიცინა ზემოქმედებს იმუნურ სისტემაზე და იყენებს ორგანიზმის საკუთარ აუტორეგულაციის სისტემებს. ამიტომ იგი კარგად შეესაბამება მისაღწევ მიზანს.

როგორც იყო აღნიშნული, ღია ბიოლოგიური სისტემებისთვის ოსცილაციას დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს აისახება იმუნურ სისტემაშიც, რომელშიც დღით ადრე მსუბუქად დომინირებს TH1,

ხოლო დღის მეორე ნახევარში – TH2. ასეთი მცირედი ოსცილაცია (საშუალო ღონესთან ახლოს) გვხვდება პრაქტიკულად ყველა ფიზიოლოგიურ სისტემაში.

პაციენტის ორგანიზმის დიდ დამცველობით სისტემაზე ზემოქმედებისათვის და, შესაბამისად, მისი გამოჯანმრთელებისათვის ანტი-ჰომოტოქსიკური თერაპიის მეთოდები და საშუალებები (სამი სვეტი) ყოველი პაციენტისათვის ინდივიდუალურად გამოიყენება.

ბარიერის მარცხნივ მდებარე დაავადებებისათვის საკმარისია დეტოქსიკაციისა და დრენაჟის ღონისძიებები და მსუბუქი იმუნომოდულაცია, მკურნალობის დასასრულისთვის შესაძლოა საჭირო გახდეს ორგანოს ფუნქციოტროპული გაძლიერება. ამ მიზნისათვის ძირითადად გამოყენებული უნდა იქნეს საბაზისო პრეპარატები და ჰომოკორდები.

უფრო სერიოზულ შემთხვევებში, ბარიერის მარჯვნივ მდებარე დაავადებების დროს, ტარდება ორგანოების გაძლიერება ქსოვილოვანი ექსტრაქტებით, უჯრედების აქტივაცია და ღრმა დეტოქსიკაცია და დრენაჟი. იმუნომოდულაცია სშირად თავის თავში მოიცავს ქსოვილების გაძლიერების კომპონენტებს.

სამი სვეტის გამოყენება მოცემული თანმიმდევრობით არ არის აუცილებელი, მაგრამ, დეტოქსიკაცია და დრენაჟი, როგორც წესი, პირველი ნაბიჯია, რადგან მრავალი პათოლოგიური პროცესის დროს ტოქსიკოზს მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება. სხვა შემთხვევებისას, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მძიმე ქრონიკული, ონკოლოგიური დაავადებების ან დეტოქსიკაციის ორგანოებში მიმდინარე პათოლოგიური პროცესების დროს, მაგალითად, ქრონიკული აქტიური ჰეპატიტის დროს, დეტოქსიკაცია და დრენაჟი უნდა გამოვიყენოთ მოგვიანებით.

ანტიჰომოტოქსიკური თერაპიის სამივე სვეტისთვის არსებობს როგორც საბაზისო, ისე გაძლიერებული მიდგომა. შეიძლება ითქვას, რომ საბაზისო მიდგომას ვიყენებთ რეგულაციური ბარიერის მარცხნივ მდებარე დაავადებების დროს, ხოლო გაძლიერებულს – მარჯვნივ მდებარე დაავადებების დროს.

მაღალი ტოქსიკური დატვირთვის შემთხვევაში, მიზანშეწონილია, თავიდან სადრენაჟო და სადეტოქსიკაციო ორგანოების გაძლიერება ორგანოტროპული პრეპარატებით, ხოლო შემდეგ ლიმფომიოზოტის (Lymphomyosot) საშუალებით ქსოვილებიდან ტოქსინების

გამოდევნა.

ჰომაკორდებს, რომელსაც შეიცავს Detox Kit-ი, გააჩნია ფუნქციონირებული მოქმედება. სხვა სიტყვებით, ისინი აძლიერებენ უფრო ორგანოს ფუნქციებს, ვიდრე სტრუქტურასა და უჯრედებს.

ყოველი ორგანოსათვის არსებობს საკუთარი პრეპარატი, რომელიც აძლიერებს მის ქსოვილს. ასეთებია კომპოზიციური პრეპარატები, რომელიც სხვა ნივთიერებებთან ერთად შეიცავს ქსოვილების ექსტრაქტებს და ხშირად კატალიზატორებსაც. ამას გარდა, არსებობს საბაზისო პრეპარატები, რომელიც მცენარეული ნივთიერებებისა და მინერალების კომბინაციას წარმოადგენს და ხშირად გამოიყენება ელიმინაციის სტიმულირებისათვის.

ზოგადი საბაზისო დეტოქსიკაცია ხშირად გამოიყენება სუსტი ან ზომიერი ტოქსიკოზის მკურნალობის დასაწყისში. ასეთი რეჟიმით ხელს ვუწყობთ ღვიძლს, ნაწლავებს და თირკმლებს ტოქსინების მატრიქსიდან გამოდევნასა და მათ შემდგომ ექსკრეციაში.

ჩვეულებრივ, ამ კომპლექტის ყველაზე მოხერხებული მიღების წესია: თითოეული პრეპარატის 25-30 წვეთი უნდა გაიხსნას 1,5 ლიტრ მინერალურ (წყაროს) წყალში და მიღებულ იქნას ყლუპებით, მთელი დღის განმავლობაში.

ზოგადი გაუმჯობესებული დეტოქსიკაციის მიზანია სადეტოქსიკაციო ორგანოების გაძლიერება, განსაკუთრებით დიდი ტოქსიკური დატვირთვის დროს, ან იმ პაციენტებში, რომელთა სადეტოქსიკაციო და სადრენაჟო ორგანოები ოპტიმალურად არ ფუნქციონირებენ. ეს სქემა გამოიყენება აგრეთვე დასუსტებული პაციენტებისათვის. ამიტომ, უფრო ბრძნული იქნება, თუ ასეთ და მსუქან პაციენტებთან ვიმოქმედებთ ფრთხილად, ნელ-ნელა, რადგანაც ორგანიზმში დაგროვილი ტოქსინები შეიძლება გახდნენ დაავადების აქტივატორები.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ დასუსტებული პაციენტების უმრავლესობისათვის შიმშილი უკუნაჩვენებია, რადგანაც შიმშილი იწვევს დაგროვების ადგილიდან ტოქსინების სწრაფ გადმოსროლას სისხლში. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ საკვებიდან ტოქსინები აღარ ხვდება ორგანიზმში და დეტოქსიკაციის ორგანოები მუშაობენ ძველი, დაგროვილი ტოქსინების ელიმინაციაზე, რომლებიც სწრაფად და დიდი რაოდენობით გამოთავისუფლდებიან. გაუმჯობესებული დეტოქსიკაციის პრეპარატები მიმართულია ყველაზე მნიშვნელო-

ვანი სადრენაჟო ორგანოების გაძლიერებისაკენ. ამ პრეპარატების უმრავლესობა კომპოზიციურია, რაც ნიშნავს, რომ ისინი გამოირჩევიან მცენარეული და მინერალური ნივთიერებების განსაკუთრებული ფორმულით, მაგრამ ასევე შეიცავენ კატალიზატორებს, სამიზნე ორგანოების გამაძლიერებელ ორგანოთა ან ქსოვილების ექსტრაქტებს და ზოგჯერ პოტენციურ ვიტამინებსაც. (სურ.8)

საბაზისო გაძლიერებული

ელენტა	ურეთრა	ლიმფური სისტემა	კანი	პნტ	ღვიძლი	შემ. ქს.	სასუნთქი სისტემა
ღვთოს-პიტი	ღვთოს-პიტი	ღვთოს-პიტი		ღვთოს-პიტი	ჰელიდონიუმ ჰიმაკორდი	ღვთოს-პიტი	ბრონქალის-ჰელი
ჰეპარ კომპ.	სოლიდაგო კომპ.	ტონზილა კომპ.	კუტის კომპ.	მუკოზა კომპ.	ჰეპარ კომპ.	თირეოიდეა კომპ.	მუკოზა კომპ.
კონეზიმ კომპ. უბიხინონ კომპ.	კონეზიმე კომპ. უბიხინონ კომპ.	კონეზიმე კომპ. უბიხინონ კომპ.	კონეზიმე კომპ. უბიხინონ კომპ.	კონეზიმე კომპ. უბიხინონ კომპ.	კონეზიმე კომპ. უბიხინონ კომპ.	კონეზიმე კომპ. უბიხინონ კომპ.	კონეზიმე კომპ. უბიხინონ კომპ.
გლიოქსალ კომპოზიტუმი							

სურ. 8. საბაზისო და გაძლიერებული დეტოქსიკაცია

იმუნომოდულაციის საშუალებით ვცდილობთ ვიმოქმედოთ უჯრედულ იმუნიტეტზე, ანუ T-უჯრედებზე, რომელსაც ძუძუმწოვრებში გააჩნია მესხიერების ფუნქცია. როგორც წესი, ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ამინომჟავების დახმარებით, მაგრამ შეიძლება გამოვიყენოთ, მაგალითად, ბაქტერიული უჯრედის კედლის ლიპოპოლისაქარიდები.

ანტიჰომოტოქსიკურ პრეპარატებში გამოყენებული ამინომჟავები მოიპოვება მცენარეულ, ცხოველურ მასალებში, მაგალითად, სუის-ორგანულ, ბიოლოგიურ კომპონენტებსა და შხამებში. მოცემულ შემთხვევაში აღსანიშნავია, რომ Th3 უჯრედების ინდუცირება შესაძლებელია მხოლოდ D1 - D14 (0,1-0,000000000000001) დიაპაზონის განზავებებით.

ისევე, როგორც დეტოქსიკაციის შემთხვევაში, არსებობს საბაზისო და გაძლიერებული იმუნომოდულაცია.


საბაზისო იმუნომოდულაცია ხშირად მიიღწევა მხოლოდ ერთი მცენარის და/ან შხამის საშუალებით, მაგალითად, ბრიკ-ჰეელი (Gripp Heel) და ტრაუმეელი (Traumeel). უფრო სერიოზული მდგომარეობის სამკურნალოდ, მაგალითად, აუტოიმიუნური პროცესე-

ბის დროს, აუცილებელია ორგანოებისა და ქსოვილების მნიშვნელოვანი გაძლიერება. საბაზისო იმუნომოდულაცია ხშირად გამოიყენება ორგანულ პრეპარატებთან ერთად, რომელიც აძლიერებს (ხელს უწყობს) ორგანოებსა და ქსოვილებს.

იმუნომოდულაციის საბაზისო პრეპარატების მაგალითებია ტრაუმეელი (Traumeel), ლიმფომიოზოტი (Lymphomyosot), (Th1-ის დაქვეითება და რეგულაცია) და ენგისტოლი (Engystol) (Th1-ის მომატება და რეგულაცია).

გაუმჯობესებელი იმუნომოდულაციის სამაგალითო პრეპარატია ექინაცეა კომპოზიტუმი (Echinacea compositum), რომელიც უზრუნველყოფს Th1-ის მომატებასა და რეგულაციას.

იმუნური რეგულაცია გვხვდება იმ შემთხვევებში, როდესაც პაციენტის ორგანიზმში ჭარბობს უჯრედების სპეციფიკური ქვეკლასი CD4. ალერგიით დაავადებულებში ჭარბობს Th2-პასუხი, ხოლო ანთებითი მდგომარეობის დროს ჭარბობს Th1-პასუხი. (სურ. 9) იმისათვის, რომ „მოვუმატოთ“ ერთ კლასს და „შევამციროთ“ მეორე, ვიყენებთ რეგულატორულ პრეპარატებს და ამით ინდუცირებას ვუკეთებთ Th3-ს (მარეგულირებელი უჯრედებს), რათა დაგაბალანსოთ Th1/Th2 თანაფარდობა. ანთების ასეთი გზით მარეგულირებელი სამკურნალო საშუალება არის ტრაუმეელი (Traumeel).




სურ. 9

ორგანოს გაძლიერებას ორი ასპექტი გააჩნია, ქსოვილისა და ორგანოს ფუნქციების გაძლიერება და უჯრედული ენერჯის მომატება. ფუნქციოტროპული მიზნებისათვის გამოიყენება ძირითადი

კომბინაციები და ჰომაკორდები, ე.ი. მცენარეები და მინერალები, ხოლო ორგანოტროპული მიზნებისათვის – კომპოზიციურ პრეპარატებში არსებული ქსოვილოვანი ექსტრაქტები.

ზოგიერთ ძირითად ანტიჰომოტოქსიკურ პრეპარატს, მაგალითად, ჰეპელს (Hepeel) აქვს *in-vitro* კვლევებით დამტკიცებული ანტი-ოქსიდანტური, ანტიპროლიფერაციული მოქმედება და, შესაბამისად მრავალ შემთხვევაში ეფექტურად გამოიყენება ორგანოების დაცვის მიზნით. მაგალითად, დეტოქსიკაციის ან ვირუსული დაავადებების მკურნალობის დროს.

უჯრედების აქტივაციის მიზნით კრებსის ციკლის გაძლიერებისათვის სამოქმედო პრეპარატებია საბაზისო და გაძლიერებული კატალიზატორები, რომლებიც აუმჯობესებს სუნთქვით ჯაჭვს და ჰიპოთეთურად კიბოს უჯრედებში მიმდინარე გლიკოლიზურ სუნთქვისაგანაც კი იცავს. ამიტომ, სიმსივნური და დეგენერაციული დაავადებების დროს ძალიან სასარგებლოა გლიოქსალ კომპოზიტიუმი (Glyoxal compositum) (პრეპარატი ჯერ არ არის რეგისტრირებული საქართველოში), ხოლო უჯრედული ენერჯის მხარდასაჭერად – კოენზიმი კომპოზიტიუმი (Coenzyme compositum).



სურ. 10. მკურნალობის გეგმა დაავადების განვითარების ცხრილის მიხედვით

იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ ჩვენს მიერ არჩეული მკურნალობის სქემის შესაბამისობაში, შეგვიძლია გადავამოწმოთ დანიშნულება. როგორც წესი, რეგულაციური ბარიერის მარცხნივ გამოიყენება

მცენარეები და მინერალები (სურ.10). თუ კი პროცესი „განთავსებულია“ ბარიერის მარჯვნივ – საჭიროა კატალიზატორებისა და ორგანული რეგულატორების დამატება. ცხრილში რაც უფრო მარჯვნივ მდებარეობს დაავადება, მით უფრო მეტი ფარმაკოლოგიური ჯგუფის პრეპარატების ჩართვა გეჭირდება მკურნალობის სქემაში.

დანიშნულების სისწორის შემოწმებს შესაძლებელია, აგრეთვე, პრეპარატების ჯგუფების მიხედვით. ცხრილის მარცხნივ ვიყენებთ საბაზისო პრეპარატებს და ჰომეოპორებს, ხოლო ცხრილის მარჯვნივ მდებარე დაავადებებისას ვამატებთ კატალიზატორებს და კომპოზიციურ პრეპარატებს.

ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა შეირჩეს თერაპიის საბაზისო ან გაძლიერებული ვარიანტები, რომელიც სპეციფიკურია სწორედ ამ დაავადებისათვის. რა თქმა უნდა, კონკრეტული მდგომარეობიდან გამომდინარე, ყოველთვის გვიხდება თერაპიული სქემის მოდიფიცირება, რომელიც მიმართულია სპეციფიური ორგანოს ან ქსოვილისკენ და არ არის საერთო ყველა ქსოვილისათვის. მაგრამ, ხშირად, მარეგულირებელი საშუალებები სხვადასხვა დაავადებებისათვის იდენტურია, რადგანაც ანტიჰომოტოქსიკური თერაპია მკურნალობს რეგულაციის სისტემას, რომელიც ყველა დაავადებისათვის ერთნაირია.

განვიხილოთ მაგალითები სხვადასხვა ფაზაში არსებული დაავადებებისათვის.

მსპრეციის ფაზაში სასურველია ექსკრეციის სტიმულირება და დეტოქსიკაცია-დრენაჟის გამოყენება რათა დროულად და ეფექტურად გამოიღვენოს ტოქსინები.

მომატებული ოფლდენა

- კლასიფიკაცია **ღმც-ს** მიხედვით

ეპიდერმა


- საბაზისო: შვეფ-ჰეელი
- დრენაჟი: **Detox-Kit**

1. Lymphomyosot
2. Nux vomica-HA
3. Berberis-HA

ანთების ფაზაში სასურველია ექსკრეციის სტიმულირება და ანთებითი პროცესის მართვა ისე, რომ იგი ძალიან არ გაძლიერდეს ან არ გახდეს ქრონიკული. ამისათვის ვიყენებთ საბაზისო პრეპარატს და ლეტოქსიკაციასა და ღრენაჟს.

მორეციდივე ფურუნიკოზი

- კლასიფიკაცია ღმც-ს მიხედვით




- საბაზისო: ბელადონა-ჰომაცორდი (Belladonna-HA)
- საბაზისო იმუნომოდულაცია: ტრაუმელი (Traumeel)
- საბაზისო ლეტოქსიკაცია და ღრენაჟი: Detox-Kit 6 კვირის განმავლობაში

ღეპონირების ფაზის დაავადებების დროს ხშირად ქსოვილის გასააქტიურებლად ემატება კატალიზატორები. ზოგჯერ გახანგრძლივებული ღეპონირების დროს შესაძლებელია დავუმატოთ ორგანული პრეპარატები, მაგრამ, როგორც წესი, საკმარისია მხოლოდ ფუნქციური გაძლიერება.

შარღ-კენჭოვანი დაავადება

- კლასიფიკაცია ღმც-ს მიხედვით




- საბაზისო: რენელი (Reneel)
- ღრენაჟი: Detox-Kit 12 კვირის განმავლობაში
- ორგანოს გაძლიერება: ბერბერის-ჰომაცორდი (Berberis Homaccord), კოენზიმი კომპოზიტუმი (Coenzyme compositum) (ფუნქციოტროპული და კატალიზატორი)

იმპრეგნაციის ფაზაში პაციენტის მკურნალობისას საჭიროა უფრო აგრესიული მოქმედება, რადგან არსებობს შანსი, ბარიერის მარჯვენე არსებული პათოლოგია გადავიყვანოთ მარცხნივ, ანუ კომპენსირების ნაცვლად ვიმოქმედოთ რეგულაციის გზით.

ქრონიკული აღნეშნობა

- კლასიფიკაცია ღბც-ს მიხედვით

ჰერმინოდერმა
(ქალის სასქესო
სისტემა)




- საბაზისო: ბინეპოჰელი (Gynacoheel).
- დრენაჟი: გალიუმ-ჰელი (Galium Heel), ლიმფომიოზოტი (Lymphomyosot) 6 კვირა.
- იმუნომოდულაცია: ტრაუმელი (Traumeel), ვირუსული ინფექციის შემთხვევაში მნბისტოლი (Engystol), ბაქტერიული – მქინაცეა კომპოზიტუმი (Echinacea compositum).
- უჯრედების აქტივაცია: კოენზიმ კომპოზიტუმი (Coenzyme compositum), უბიხინონ კომპოზიტუმი (Ubichinon compositum).

დეგენერაციის ფაზა. რაც უფრო ვუახლოვდებით ცხრილის მარჯვენა ქვედა ნაწილს, მით უფრო საჭირო ხდება ქსოვილოვანი პრეპარატებისა და კატალიზატორების ოპტიმალური დოზით გამოყენება.

ქრონიკული ობსტრუქციული ბრონქიტი

- კლასიფიკაცია ღბც-ს მიხედვით

მეზოდერმა
კავოდერმა



- საბაზისო: ბრონქალის-ჰელი (Bronchalis-Heel), ტარტეფედრელი (Tartephedreel).
- დეტოქსიკაცია და დრენაჟი: ორგანოს გაძლიერება (6 კვირა) შემდეგ Detox-Kit (12 კვირა).


- იმუნომოდულაცია და ორგანოს გაძლიერება: მუპოზა კომპოზიტუმი (Mucosa compositum).
- უჯრედების აქტივაცია: კოენზიმ კომპოზიტუმი (Coenzyme compositum) და უბინონ კომპოზიტუმი (Ubichinon compositum).

სამივე სვეტი ძლიერდება და მკურნალობის კურსი დიდ დროს ითხოვს. რომელ ქსოვილშიც აღინიშნება ნეკროზი, იქ ვაძლიერებთ ორგანოს, და დამატებით ვიყენებთ პრეპარატს პლაცენტა კომპოზიტუმს (Placenta compositum) სისხლის მიმოქცევისა და შემართებული ქსოვილის გაძლიერებისათვის. დეგენერაციული ფაზის დაავადებებისას აუცილებელია კატალიზატორების გამოყენება.

რაც შეეხება საბოლოო, დელიფერენციის ფაზას, პირველ რიგში აუცილებელია ქსოვილოვანი პრეპარატები და გაძლიერებული კატალიზი. თუკი არ არსებობს ორგანოს შესაბამისი პრეპარატი, შეიძლება დაინიშნოს ემბრიოლოგიური ქსოვილით მდიდარი პრეპარატები, მაგალითად პლაცენტა კომპოზიტუმი (Placenta compositum).

სარკმვე ჯირკვლის კიბო

- კლასიფიკაცია ლგც-ს მიხედვით



- საბაზისო: გინსენგ კომპოზიტუმი (Ginseng compositum).
- დეტოქსიკაცია და დრენაჟი: ორგანოს გაძლიერება (6 კვირა), შემდეგ Detox-Kit (12 კვირა), ქიმიოთერაპიის კურსიდან 6 კვირის შემდეგ და არავითარ შემთხვევაში ქიმიოთერაპიის დროს.
- იმუნომოდულაცია: ვისკუმ კომპოზიტუმი (Viscum compositum).
- ორგანოს გაძლიერება: მამა სუის ინექტი (Mamma suis injeel).
- კატალიზატორები: გლიოქსალ კომპოზიტუმი (Glyoxal compositum), შემდგომში კოენზიმ კომპოზიტუმი (Coenzyme compositum) და უბინონ კომპოზიტუმი (Ubichinon compositum).

ყურადღება! ქიმიოთერაპიის აქტიურ ფაზაში დაუშვებელი დეტოქსიკაცია და დრენაჟი.

მხოლოდ ქიმიოთერაპიის საბოლოო კურსიდან ექვსი კვირის შემდეგ ვიწყებთ აქტიურ დეტოქსიკაციას. ქიმიოთერაპიის დროს მიზანშეწონილია **ჰეპარ კომპოზიტუმი (Hepar compositum)** ღვიძლის, **მუპოზა კომპოზიტუმი (Mucosa compositum)** ლორწოვანი გარსის და **ტონსილა კომპოზიტუმი (Tonsila compositum)** (პრეპარატი ჯერ არ არის რეგისტრირებული საქართველოში) იმუნური სისტემისა და ძვლის ტვინის გასაძლიერებლად.

მკურნალობის ხანგრძლივობისას უნდა ვიხელმძღვანელოთ ციკლური რეგულაციის პრინციპით: უმეტეს შემთხვევაში 6-12 კვირა – მკურნალობა, 6 კვირა – შესვენება, შემდეგ ვაკვირდებით პაციენტს, იწყებს თუ არა მისი საკუთარი რეგულაციური შესაძლებლობანი მოქმედებას. ეს შეიძლება მოხდეს აქტიური მკურნალობის, ან შესვენების პერიოდში. ხშირად ორგანიზმს ესაჭიროება რამოდენიმე კურსი იმისათვის, რომ მოგვცეს ნამდვილად მდგრადი რეგულაციური პასუხი. მარეგულირებელი თერაპია უნდა გაგრძელდეს მანამდე, ვიდრე არ დაფიქსირდება თვითრეგულაციის 3-4 შემთხვევა. საბაზისო, სიმპტომური საშუალება ხშირად ხანგრძლივი პერიოდით ინიშნება.

რაც უფრო მარჯვნივაა პათოლოგიური პროცესი **ღვც-ში**, მით უფრო ნაკლებია მწვავე დაავადებების შანსი. **მწვავე დაავადება** კარგი რეგულაციის ნიშანია. შესაბამისად, ჩვენი მიზანია პაციენტს განუვითარდეს მწვავე ანთება, ან, უარეს შემთხვევაში, დაბრუნდეს დეპონირების ფაზაში, საუკეთესო ვარიანტი კი ექსკრეციის ფაზაში დაბრუნებაა.

აღსანიშნავია, რომ ერთი ფაზიდან მეორეში გადასვლისას პაციენტი განიცდის სხვადასხვა მარეგულირებელი ფენომენის გავლენას. ასე მაგალითად, დეპონირების ფაზაში მყოფი პაციენტი შეიძლება განიცდიდეს მწვავე ანთებას (მაგ. ტენდინიტს, მწვავე ბრონქიტს ან გაციებას), ხოლო იმპრეგნაციის ფაზაში მყოფი კი დეპონირების ფენომენის გავლენას. მაგალითად, ქრონიკული ალერგიების მქონე პაციენტი განიცდის პოლიპოზის დროებით გაძლიერებას და ა.შ.

ზოგჯერ საჭირო ხდება მკურნალობის რამოდენიმე კურსის გავლა. ზოგიერთ შემთხვევაში დაავადება შეიძლება სწრაფად გადავიდეს ბარიერის მარცხნივ, მიუხედავად იმისა, რომ დიდხანს იმყოფ-

ფებოდა ბარიერის მარჯვნივ. ამისათვის აუცილებელია პაციენტის ინფორმირება სრულად, რისთვის უნდა იყოს მზად.

ბარიერის მარცხნივ არსებული დაავადებებისათვის მკურნალობის კურსის ხანგრძლივობა ბევრად მცირეა. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იმპრეგნაციის ფაზის დაავადებების მკურნალობის კურსი შეიძლება გაგრძელდეს ერთი წელი, ვიდრე მივალწევთ გამოჯანმრთელებას.

1.7. საფეხუროვანი აუტოჰემოთერაპია ჰ. რეკევევის მიხედვით

1.7.1. შესავალი და საყურადღებო შენიშვნები

საფეხუროვანი აუტოჰემოთერაპია, პ. რეკევევის მიხედვით, წარმოადგენს საკუთარი სისხლით თერაპიის განსაკუთრებულ ფორმას. ჰომოტოქსიკოლოგიის თანახმად, ყველა დაავადება წარმოიშობა ჰომოტოქსინებიდან და თვით დაავადებაც წარმოადგენს ორგანიზმის დამცველობით საპასუხო მიზანშეწონილ და მიზანმიმართულ რეაქციას ინტოქსიკაციაზე. აქედან გამომდინარე, ყველა პაციენტის სისხლში არსებული მისი დაავადებისათვის დამახასიათებელი ჰომოტოქსინები, არნდტ-შულცის კანონის („უკუქმედების“ შესახებ) თანახმად, მრავალჯერადი განზავებით და პოტენცირებით გარდაიქმნებიან ჰომეოპათიურ სამკურნალო კომპონენტებად და საფეხუროვანი აუტოჰემოთერაპიის დროს, საინიექციო ხსნარში წარმოდგენილ აქტიურ ნივთიერებებთან ერთად, აძლიერებენ ორგანიზმის დეტოქსიკაციას და განკურნების ეფექტს. საფეხუროვანი აუტოჰემოთერაპიის დროს მიღებული „უკუქმედების“ ეფექტი გამოწვეულია სისხლის კომპონენტით, რომელიც თერაპიის მე-4 საფეხურზე უდრის C4 პოტენციას (100⁻⁴).

ამ მეთოდის განსაკუთრებით კარგი შედეგები აქვს ქრონიკული და დეგენერაციული დაავადებების დროს; მაგ., ბრონქული ასთმის, ეგზემის, ღვიძლის დაავადებების და სხვა.

1.7.2. პრაქტიკული მითითებანი

საფეხუროვანი აუტოჰემოთერაპიის ყველა ეტაპი ტარდება ერთ სენსად. ამ მიზნისათვის გამოიყენება ვენური სისხლი. გარდა ამისა, სისხლის საჭირო პოტენციების მოსამზადებლად შეიძლება გამოვიყენოთ ინტრავენული ინიექციებისათვის გამოყენებული შპრიცი, რომელიც მოიცავს ნარჩენ სისხლს. ორივე შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ შპრიცი ბოლომდე იყოს დაცლილი და მხოლოდ საინიექციო ნემსში იყოს დარჩენილი სისხლი და საინიექციო ხსნარები.

თუ ვენაში ჩხვლელა შეუძლებელია ტექნიკური ან სხვა მიზეზების გამო, მაშინ სისხლის საჭირო რაოდენობა შეიძლება ავი-

ლოთ სკარიფიკატორის საშუალებით თითიდან ან ყურის ბიბილოდან. ამ მეთოდის გამოყენების შემთხვევაში პირველი საფეხური არ უნდა იყოს გამოყენებული ინტრავენური ინექციებისათვის. ამ დროს უნდა გამოვიყენოთ ინტრამუსკულარული ან ინტრა/სუბკუტანური ინექციები.

თერაპიის ოთხივე საფეხური (იხ. ქვემოთ) ტარდება ერთი სეანსის განმავლობაში. სეანსებს შორის შუალედი შეადგენს 4-5 დღეს, რადგანაც სწორედ ამდენი დრო ესაჭიროება ორგანიზმს რეაქციისათვის. იმ შემთხვევაში, თუკი სეანსის შემდეგ პირველადი ჰომეოპათიური გამწვავება გამოვლინდა, შემდეგი სეანსის ჩატარება რეკომენდებულია მხოლოდ გამწვავების კუპირების შემდეგ. ხოლო სეანსების ჩატარება მითითებულ დროზე უფრო ადრე დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში გამოცდილი სპეციალისტის მეთვალყურეობის ქვეშ.

შესაძლებელია აუტოჰემოთერაპიის ჩატარება ჟანგბადით ან ოზონოთერაპიასთან ერთად.

I საფეხური

ამ ეტაპზე შეიძლება ვიმოქმედოთ ორნაირად; ა-ვარიანტი, როდესაც ვაკეთებთ ინტრავენურ ინექციას და ბ-ვარიანტი, როდესაც ინექცია კეთდება ინტრამუსკულარულად.

ა) ჩვეულებრივ, ვაკეთებთ პირველ საფეხურისათვის ნაჩვენებ პრეპარატის (1-2, იშვიათად 3 და მეტი) ინტრავენურ ინექციას და იმავე შპრიცს, რომლის ნემსშიც დარჩენილია სისხლი, ვიყენებთ შემდეგი საფეხურებისათვის.

ბ) ამ ვარიანტში სისხლის ერთი წვეთი (შპრიცის ნემსის მოცულობა), უნდა ავიღოთ თითიდან ან ყურის ბიბილოდან და პირველი საფეხურისათვის ნაჩვენებ პრეპარატთან (ან პრეპარატებთან) ერთად ინტენსიურად 10-ჯერ შევანჯღრიოთ ინექციის წინ.

II საფეხური

II ეტაპის პრეპარატებს ვაკეთებთ ინტრამუსკულარულად. მთავარია, რომ ყველა ეტაპზე შპრიცში დარჩეს სისხლის მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობა და ინტენსიურად (10-ჯერ) შეინჯღრეს პრეპარატებთან ერთად, ისევე, როგორც პირველ საფეხურის ბ-ვარიანტში. მეორე და შემდგომი ეტაპის ინექციები შესაძლოა სეგმენტურადაც ვაკეთდეს.

III და IV საფეხური

ეივე პროცედურა მეორდება დანარჩენ ეტაპებზე შესაბამისი პრეპარატებით.

1.7.3. საფეხურიანი აუტოჰემოთერაპიისათვის პრეპარატების შერჩევის წესები

I საფეხური – სპეციალური საშუალება (მაგ., ტრაუმელი (Traumeel), ენგისტოლი (Engystol) და სხვა).

II საფეხური – სადრენაჟო საშუალება (მაგ., ლიმფომიოზოტი (Lymphomyosot), გალიუმ-ჰელი (Galium-Heel)).

III საფეხური – ორგანული პრეპარატი (სუის-ორგანული პრეპარატები, კომპოზიციური პრეპარატები, მაგ., ჰეპარ კომპოზიტუმი (Hepar compositum), მუკოზა კომპოზიტუმი (Mucosa compositum) და სხვა).

IV საფეხური – ბიოლოგიური პრეპარატი (მათ შორის ექინაცეა კომპოზიტუმი (Echinacea compositum) შემავალი, ფსორინი-ჰელი (Psorinoheel)).

საფეხურიანი აუტოჰემოთერაპია, ჰ. რეკევეგის მიხედვით, განსაკუთრებით ეფექტურია და რეკომენდებულია შემდეგი დაავადებების დროს:

- იატროგენული დაავადებები;
- მორმცინდიკი ვირუსული დაავადებები;
- პრეპარატოზები;
- ღვიძლის ტოქსიკური დაზიანება;
- შაკიკი;
- ქრონიკული ეგზემა;
- ბრონქული ასთმა;
- კუჭისა და 12-პოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება;
- ართროზი;
- ლიმფური დიათეზი/ლიმფატიზმი.

პრეპარატების შერჩევა ყოველი ნოზოლოგიისათვის ხორციელდება პაციენტის ინდივიდუალური მახასიათებლების, მისი სიმპტომებისა და თერაპიაზე რეაგირების გათვალისწინებით. რიგ შემთხვევებში შესაძლოა საჭირო გახდეს ამპულირებული მონოპრეპარატების (უმეტეს წილად ბიოლოგიური-ნოზოლური პრეპარატების) დანიშვნა, ძირითადად კი საკმარისია ის ბიოლოგიური პრეპარატები, რომელიც კომპოზიციური პრეპარატების შემადგენლობაში შედის. დამატებით

აუტოკომოთერაპიასთან ერთად ტარდება ანტიკომოტოქსიკური პრეპარატებით პერორალური თერაპია.

1.7.4. საფხვროვანი აუტოკომოთერაპიის რეკომენდებული სქემები

*იატროგენული დაავადება
დეპონირება/იმპრეგნაციის ფაზა*

1. ენგისტოლი (Engystol)
2. ლიმფომიოზოტი (Lymphomyosot) + კოენზიმ კომპოზიტუმი (Coenzyme compositum) + უბიქინონ კომპოზიტუმი (Ubichinon compositum)
3. თირეოიდეა კომპოზიტუმი (Thyreoidea compositum) + ჰეპარ კომპოზიტუმი (Hepar compositum)
4. შესაბამისი სუის-ორგანული და პოტენცირებული ალოპათიური პრეპარატი.

მოქმედება

მსგავსების პრინციპიდან გამომდინარე, ბოლო ეტაპზე მიზანშეწონილია იმ პრეპარატის, რომელმაც გამოიწვია პათოლოგია, არა იდენტური, არამედ მსგავსი საშუალების დანიშვნა. მსგავსი საშუალების გამოყენებისას ეფექტი იქნება უფრო გამოხატული. მოცემულ სქემას აქვს იმუნომასტიმულირებელი მოქმედება, ააქტივებს უჯრედის ორგანოების ფუნქციებს და არეგულირებს ენდოკრინულ, აგრეთვე მატრიქსის დეტოქსიკაციისა და ღრენაჟის პროცესებს.

დამატებით

პერორალური თერაპიისათვის რეკომენდებულია ლიმფომიოზოტი (Lymphomyosot), გალიუმ-ჰელი (Galium-Heel), ფსორინოჰელი (Psorinoheel).

აორგანიზივი ვირუსული ინფექციები

დეპონირება/იმპრეგნაციის ფაზა

1. ტრაუმელი (Traumeel) + ენგისტოლი (Engystol)
2. ლიმფომიოზოტი (Lymphomyosot) + ჰეპარ კომპოზიტუმი (Hepar compositum)
3. მუკოზა კომპოზიტუმი (Mucosa compositum) + კოენზიმ კომპოზიტუმი (Coenzyme compositum) + უბიქინონ კომპოზიტუმი

(Ubichinon compositum)

4. გრიპ-ნოზოდი (Grippe-Nosode) + ეუფორბიუმ კომპოზიტუმი (Euphorbium compositum) + შესაძლოა დაემატოს ფსორინოჰელი (Psorinoheel)

მოქმედება

ამ შემთხვევაში აუტოჰემოთერაპია ააქტივებს უჯრედულ ორგანოებსა და დეტოქსიკაციურ პროცესებს, არეგულირებს ანთებით პროცესს, ანიეტრალებს ბლოკირებულ ინფექციებსა და ალოპათიური მკურნალობის შედეგებს.

დამატებით

პერორალურად: გრიპ-ჰელი (Gripp-Heel), ლიმფომიოზოტი (Lymphomyosot).

პრეპანცმროზი*დეპონირების ფაზა*

1. ენგისტოლი (Engystol) + ლიმფომიოზოტი (Lymphomyosot) + გალიუმ-ჰელი (Galium-Heel)

2. სოლიდაგო კომპოზიტუმი (Solidago compositum) + თირეოიდეა კომპოზიტუმი (Thyreoidea compositum)

3. მუკოზა კომპოზიტუმი (Mucosa compositum) + პლაცენტა კომპოზიტუმი (Placenta compositum)

4. ფსორინოჰელი (Psorinoheel) + კოენზიმ კომპოზიტუმი (Coenzyme compositum) + უბიქინონ კომპოზიტუმი (Ubichinon compositum)

მოქმედება

მოცემული თერაპია ააქტივებს დეტოქსიკაციურ პროცესებს, ჰორმონულ ფუნქციებს და ასტიმულირებს იმუნურ სისტემას.

დამატებით

პერორალურად ინიშნება ლიმფომიოზოტი (Lymphomyosot) და გალიუმ-ჰელი (Galium-Heel).

ღვიძლის ტოქსიკური დაზიანება*ორგანოდერმის დეპონირება/დეგენერაციის ფაზა*

1. ენგისტოლი (Engystol)

2. ჰეპარ კომპოზიტუმი (Hepar compositum) + კარდუს-მარი-

ანუს-ილელ ფორტე (Carduus-marianus-injeel forte)

3. ვეზიკა ფელეა-ინელი Vesica fellea suis-Injeel + ტესტის კომპოზიტუმი (Testis compositum) მამაკაცებისათვის ან ოვარიუმ კომპოზიტუმი (Ovarium compositum) ქალებისათვის.

4. უბიქინონ კომპოზიტუმი (Ubichinon compositum) + ფსორინოჰელი (Psorinoheel)

მოქმედება

აქტივებს ბილიარულ დეტოქსიკაციურ პროცესებს და უჯრედულ ორგანოებს, განაპირობებს ღვიძლის ფუნქციების აღდგენასა და ოპტიმიზაციას.

ღამატაჰითი

პერორალური თერაპიისათვის ინიშნება გალიუმ-ჰელი (Galium-Heel), ჰეპელი (Hepeel) და ტრაუმელი (Traumeel).

შაკიკი

ნეიროდერმის დეპონირების ფაზა

1. ენგისტოლი (Engystol) + ირის-ინელი (Iris Injeel) + კალიუმ ბიქრომატუმ ინელი (Kalium bichromatum-Injeel)

2. ცერებრუმ კომპოზიტუმი (Cerebrum compositum) + ჰეპარ კომპოზიტუმი (Hepar compositum)

3. არტერია სუის-ინელი (Arteria suis-Injeel) + ვენა სუის-ინელი (Vena suis-Injeel)

4. კოენზიმ კომპოზიტუმი (Coenzyme compositum) + უბიქინონ კომპოზიტუმი (Ubichinon compositum)

მოქმედება

მოქმედებს იმუნომოდულაციის გზით, აუმჯობესებს ღრენაჟსა და სისხლის მიმოქცევას.

ღამატაჰითი

შეტევების დროს გამოიყენება აგრეთვე გელზემიუმ-ჰომაკორდი (Gelsemium-Homaccord), სპიგელონი (Spigelon), ბელადონა-ჰომაკორდი (Belladonna-Homaccord) და 1%-იანი პროკანი.

რემისიის პერიოდში მიიღება შემდეგი მიქსტურა

„შაკიკის წვეთები“:

Rp.: Spigelon (წვეთები) 30,0 მლ.

Gelsemium-Homaccord (წვეთები) 30,0 მლ.

Galium-Heel (წვეთები) 30,0 მლ.

შერეული ერთ ფლაკონში თანაბარი წილები

DS. 10 წვეთი „მაკიკის წვეთები“ დღეში სამჯერ ჭამის წინ.

ქრონიკული ეგზემა

ექტოდერმის დეპონირების ფაზა

1. ტრაუმელი (Traumeel)
2. ჰეპარ კომპოზიტუმი (Hepar compositum) + ლიმფომიოზოტი (Lymphomyosot) + გრაფიტეს-ჰომაკორდი (Graphites-Homaccord)
3. კუტის კომპოზიტუმი (Cutis compositum) + არსენუკუმ ალბუმ-ინელი (Arsenicum album-Injeel)
4. კოენზიმ კომპოზიტუმი (Coenzyme compositum) + უბიქინონ კომპოზიტუმი (Ubichinon compositum) + Histamin D200

მოქმედება

გააჩნია ანთებისა და ალერგიის მარეგულირებელი, აგრეთვე მარეგენირებელი მოქმედება, ხელს უწყობს დეტოქსიკაციასა და უჯრედის მემბრანის სტაბილიზაციას.

დამატებით

პერორალურად მიიღება ტრაუმელი (Traumeel). ადგილობრივად გამოიყენება შემდეგი რეცეპტით მომზადებული მალამო:

Rp.: Urea pura 2,5

Sulfur praecipitatus 1,0

Traumeel salbe ad 50

მიღებული მალამო დღეში რამოდენიმეჯერ წაისმევა დაზიანებულ უბანზე.

ზრონქული ასთმა

მუკო/ორგანოდერმის დეპონირების ფაზა

1. ენგისტოლი (Engystol) + აცილუმ ფორმიციკუმ-ინელი (Acidum formicicum-Injeel)
2. ლიმფომიოზოტი (Lymphomyosot) + ჰეპარ კომპოზიტუმი (Hepar compositum)
3. კუტის-სუის (Cutis suis) + ფუნიკულუს სუის-ინელი (Funiculus umbilicalis suis-injeel)
4. ჰისტამინ-ინელი (Histamin-Injeel) + კუპრუმ-ინელი (Cuprum-Injeel)

მოქმედება

გააჩნია ალერგიის მარეგულირებელი, დეტოქსიკაციური და სპაზმოლიზური მოქმედება.

ღამატაპიით

პერორალურად შეიძლება დაინიშნოს ტარტეფედრელი (Tartephedrel) და დროზერა-ჰომაკორდი (Drosera-Homaccord).

კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის ფულულოვანი დაავადება
ენდოდერმის დეპონირების ფაზა

1. ტრაუმელი (Traumeel)
2. ლიმფომიოზოტი (Lymphomyosot) + ჰეპარ კომპოზიტუმი (Hepar compositum)
3. მუკოზა კომპოზიტუმი (Mucosa compositum) + გლანდულა სუპრარენალის სუის-ინელი (Glandula suprarenalis suis-Injeel)
4. სალმონელა ტიფი-ინელი (Salmonella typhi-Injeel) + სალმონელა პარატიფი-ინელი (Salmonella paratyphi-Injeel) + სალმონელა ტიფი-ინელი (Coxsackie-virus-A₉-Injeel)

მოქმედება

მსგავსი თერაპია აინჰიბირებს ანთებით პროცესებს, არეგულირებს ვეგეტატიურ ნერვულ სისტემას, იცავს ბაქტერიული დაზიანებებისაგან.

ღამატაპიით

პერორალურად მიიღება გასტრიკუმელი (Gastricumeel) და დუოდენოჰელი (Duodenoheel).

ართროზი

კავოდერმის დევეგენერაციის ფაზა

1. ტრაუმელი (Traumeel) + ცელი (Zeel)
2. ლიმფომიოზოტი (Lymphomyosot) + კოენიმ კომპოზიტუმი (Coenzyme compositum)
3. კარტილაგო სუის-ინელი (Cartilago suis-Injeel) + უბიქინონ კომპოზიტუმი (Ubichinon compositum)
4. ფსორინოჰელი (Psorinoheel) + უბიქინონ კომპოზიტუმი (Ubichinon compositum) + შესაბამისი პოტენცირებული ალოპათიური საშუალება

მოქმედება

ანთების მარეგულირებელი და აღმდგენი მოქმედება, სრტილოვან ქსოვილში მეტაბოლიზმის აქტივაცია, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მოქმედების ოპტიმიზაცია.

ღაგატაჰიტი

პერორალურად ინიშნება ტრაუმელი (Traumeel) და ცელი (Zeel), იგივე პრეპარატები მალამოს სახით გამოიყენება ადგილობრივად.

ლიმფატიზმი*ლიმფოდერმის დეპონირების ფაზა*

1. ტრაუმელი (Traumeel)
2. ლიმფომიოზოტი (Lymphomyosot) + გალიუმ-ჰელი (Galium-Heel)

3. კოენზიმ კომპოზიტუმი (Coenzyme compositum) + ჰიპოფიზის სუის-ინელი (Hypophysis suis-Injeel)

4. ფსორინოჰელი (Psorinoheel) + უბიქინონ კომპოზიტუმი (Ubichinon compositum) + ექინაცეა კომპოზიტუმი (Echinacea compositum)

მოქმედება

ანთების მარეგულირებელი საშუალება, ააქტივებს დეტოქსიკაციის პროცესსა და ლიმფურ დრენაჟს, ასტიმულირებს უჯრედულ ფუნქციებს.

ღაგატაჰიტი

პერორალურად ინიშნება ლიმფომიოზოტი (Lymphomyosot) და ტრაუმელი (Traumeel).

1.8. ზოგადი მითითებები ანტიჰომოტოქსიკური პრეპარატების გამოყენების შესახებ

1.8.1. პრეპარატების გამოყენების ნაირსახეობანი

ანტიჰომოტოქსიკური საშუალებები გამოიყენება პერორალურად, პარენტერალურად ან ადგილობრივად (გარეგანად, მალამოს სახით). ამასთანავე, კარგად ლოკალიზებული ჩივილების შემთხვევაში, რეკომენდებულია პერორალური და ადგილობრივი საშუალებების კომბინირება. განსაკუთრებით ფართოდ გავრცელებულ მეთოდს ტაბლეტების და წვეთების პერორალური ხმარება წარმოადგენს. ბავშვებში გამოიყენება სანთლებიც.

ცალკეულ შემთხვევებში საინიექციო ხსნარი, პარენტერალური თერაპიის ნაცვლად, პერორალურად მისაღები ამპულების სახით შეიძლება იქნეს გამოყენებული. ეს განსაკუთრებით რეკომენდებულია ალკოჰოლის გამოყენების შეუძლებლობის შემთხვევაში, მაგალითად, ბავშვებში ან ისეთ პაციენტებში, რომელთაც ალკოჰოლი ვნებთ.

ინიექციების გამოყენება მრავალფეროვანია.

შეიძლება პრეპარატების ინტრავენური, ინტრამუსკულარული, კანქვეშა და კანშიდა ინიცირება ბებერას სახით ან ინფილტრაციის გზით.

პარენტერალური თერაპიის შესაძლო ლოკალიზაციები:

მტკივნეულ ადგილას და მის ირგვლივ;

სეგმენტურად;

ბიოაქტიურ წერტილებში;

ინტრა- ან პერიარტიკულარულად;

ნერვულ დაბოლოებების და განგლიების ადგილას;

ძვლისსაზღვლაში;

მეტად ეფექტურია ანტიჰომოტოქსიკურ საშუალებათა გამოყენება აკუპუნქტურის წერტილებში.

1.8.2. ანტიკომოტოქსიკური პრეპარატების მიღების ზოგადი წესები

ანტიკომოტოქსიკური თერაპიის დროს არსებობს მედიკამენტების მიღების ხანმოკლე და ხანგრძლივი მეთოდი:

1. ხანმოკლე თერაპიული მეთოდი გამოიყენება მწვავე, უეცრად წარმოშობილი დაავადებების სამკურნალოდ. ასეთ დროს ნაჩვენებია შესაბამისი პრეპარატების ხშირი მიღება: როგორც წესი, 1 ტაბლეტი ან 10 წვეთი ყოველ 15 წუთში, ორი საათის განმავლობაში (მინიცირებელი თერაპია). საინიექციო ხსნარი გამოიყენება ყოველდღე. დაავადების განსაკუთრებით მძიმე ფორმების დროს დღეში 3-ჯერადაც კი. ზოგადი წესების თანახმად, რაც უფრო მძიმეა დაავადება, მით უფრო ხშირად უნდა გამოვიყენოთ პრეპარატები. პაციენტის მდგომარეობის გაუმჯობესების შესაბამისად, წამლების მიღების სიხშირე თანდათანობით მცირდება.

2. ხანგრძლივი თერაპიული მეთოდი კი გამოიყენება ქრონიკული დაავადებების სამკურნალოდ. ქრონიკული დაავადების მკურნალობის დროს წამლების მიღება შემდეგნაირია:

პერორალურად მისაღები პრეპარატები - 3-ჯერ დღეში თითო ტაბლეტი (სუბლინგვალურად, სრულ გაწოვამდე) ან 8-10 წვეთი ენაზე დაწვეთებით, წყლის გარეშე.

საინიექციო ხსნარი: 1-2 ინიექცია კვირაში;

სანთლები: თითო სანთელი 2-3-ჯერ დღეში.

ასეთივე დოზირება შეიძლება გამოვიყენოთ გადატანილი მწვავე დაავადების მკურნალობის შემდგომ პერიოდში.

ყურადღება! პერორალური პრეპარატები მიიღება ჭამის წინ 30 წუთით ადრე, წყლის მიყოლების გარეშე. პერორალური პრეპარატების მოქმედება იწყება პირის ღრუს ლორწოვან გარსში. ალოპათიური პრეპარატებისგან განსხვავებით, საკვების მიღება არ არის აუცილებელი.

1.8.3. დოზირება ჩვილი და მოზარდი ბავშვებისათვის

როგორც წესი, ანტიჰომოტოქსიკური თერაპია ჩვილი და მოზარდი ბავშვებისათვის, ისევე როგორც მოზრდილებისათვის, ტარდება ინდივიდუალურად.

ჩვეულებრივ, რეკომენდებულია შემდეგი ერთჯერადი და დღიური დოზები:

წვეთები:

2 წლამდე - 3 წვეთი 3-ჯერ დღეში;

2-დან 6 წლამდე - 5 წვეთი 3-ჯერ დღეში;

6 წლის ზემოთ 10 წვეთი 3-ჯერ დღეში;

მწვავე დაავადებებისას - ყოველ 15 წუთში ასაკის შესაბამისი ერთჯერადი დოზა 2 საათის გამნმავლობაში (მაინიცირებელი თერაპია);

გამონაკლისი: ლიმფომიოზოტი (Lymphomyosot)

მკურნალობისას საშუალო დოზა ჩვილებისათვის და 2 წლამდე მოზარდებისათვის არის 5 წვეთი;

2-დან 6 წლამდე - 8 წვეთი;

6 წლის ზემოთ - 15-20 წვეთი;

ტაბლეტები:

3 წლამდე - ნახევარი ტაბლეტი 3-ჯერ დღეში;

3 წლის ზემოთ - თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში;

მწვავე დაავადებებისას - ყოველ 15 წუთში ასაკის შესაბამისი ერთჯერადი დოზა არაუმეტეს 2 საათის გამნმავლობაში (მაინიცირებელი თერაპია);

საინჰალაციო ხსნარი:

1,1 მლ. ამპულების ერთჯერადი დოზა;

2 წლამდე - 1/3 ამპულა;

2-დან 6 წლამდე - 1/2 ამპულა;

6 წლის ზემოთ - 1 ამპულა;

2,2 მლ. ამპულების ერთჯერადი დოზა;

2 წლამდე - 1/6-დან 1/3 ამპულა;

2-დან 6 წლამდე - 1/4-დან 1/2 ამპულა;
 6 წლის ზემოთ – 1 ამპულა;

სანთლები:

ვიბურკოლი-სათვის (Viburcol)

6 თვემდე იღებენ 2 სანთელს დღეში;

6 თვის ზემოთ – 3 სანთელს დღეში;

სპასკუპრელი-სათვის (Spascupreel)

6 თვემდე იღებენ 1/2 სანთელს 2-3 ჯერ დღეში;

6 თვის ზემოთ – თითო სანთელს 2-3 ჯერ დღეში;

დოზირების ზოგადი რეკომენდაციები:

ასაკობრივი ჯგუფი	დოზირება	
	ჩვეულებრივი	მწვავე
ჩვილები 12 თვემდე	დიდების ერთჯერადი დოზის 1/3	ერთჯერადი დოზის 1/3 4-ჯერ დღეში
მოზარდები 6 წლამდე	დიდების ერთჯერადი დოზის 1/2	ერთჯერადი დოზის 1/2 6-ჯერ დღეში
მოსწავლეები 12 წლამდე	დიდების ერთჯერადი დოზის 2/3	ერთჯერადი დოზის 2/3 8-ჯერ დღეში
ბავშვები 12 წლის ზემოთ	დიდების დოზა	დიდების დოზა

1.8.4. პრეპარატების გამოყენება

დაავადების შედარებით სუსტი გამოვლინებისას შეიძლება რეკომენდებული იყოს მკურნალობის დაწყება პერორალური თერაპიით. ინიექციები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც არის დაავადების მწვავე ფორმები ან ქრონიკული დაავადებებისას პერორალური თერაპია არ იძლევა შესაბამის ეფექტს; ინიექციების სერიის დამთავრების შემდეგ რეკომენდებულია მკურნალობის გაგრძელება პერორალური თერაპიით.

არ შეიძლება გაეცეს ერთმნიშვნელოვანი პასუხი, თუ რომელი ფორმა უკეთესია გამოსაყენებლად – ამჟღავნებს თუ პერორალური პრეპარატები. მხოლოდ მრავალწლიანი დაკვირვების შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ ზოგიერთი კომპლექსური ამპულირებული პრეპარატებით ჩატარებული თერაპიისას მიღწეული იყო უფრო კარგი სამკურნალო ეფექტი, ვიდრე პერორალური თერაპიისას.

კომპლექსური პრეპარატების გამოყენებაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ვენური ინიექციები იძლევა სწრაფ მაქსიმალურ ეფექტს. ისინი მოქმედებენ პაციენტზე უფრო ძლიერად და სწრაფად, ვიდრე კუნთში, კანქვეშ და კანში გაკეთებული ინექციები.

კუნთში გაკეთებული ინიექციების ზემოქმედება უფრო ნელა კლინდება, ვიდრე ვენაში, მაგრამ ის შედარებით მყარია.

აღსანიშნავია, რომ სამკურნალო რეაქცია კანქვეშა ინიექციებზე სხეულის მტკივნეულ მონაკვეთში ან აკუზუნქტურის წერტილებში კლინდება ძალიან სწრაფად, ხოლო დანარჩენი მისი ზემოქმედება კუნთშიდა ინიექციების მსგავსია.

კანშიდა ინექციები ნაჩვენებია ისეთი დაავადებებისას, როდესაც აუცილებელია მივაღწიოთ განსაზღვრულ ნევრალურ ეფექტს. ინექციები ტარდება სემინტურად, ნევრალურად, ტკივილის არეში და ხერხემლის არეში – პარავერტებრალურად, ნეკნთაშუა ნერვების გამოსვლის წერტილებში. თერაპიისათვის ნაჩვენებია ყველა პრეპარატი შეიძლება შევუერთოთ ერთ შპრიცში და გავაკეთოთ რამდენიმე წერტილში, მთელი ხერხემლის გასწვრივ.

ფირმა -Heel-ის პრეპარატების ამპულირებული ფორმები შეიძლება გამოვიყენოთ პერორალური თერაპიისთვის. პაციენტი აზავებს ამპულის შემადგენლობას ჭიქა წყალში და სვამს. ამიტომ სპეციალისტები ხშირად ხმარობენ გამოთქმას – „სასმელი ამპულები“, მიუხედავად იმისა, რომ სპეციალურად ამ მიზნისათვის ამპულირებული ფორმები არ იწარმოება.

ბიოლოგიური პრეპარატების გამოყენებამ თავიდან შეიძლება გამოიწვიოს პაციენტის მდგომარეობის მცირე გაუარესება (ზუსტად ისეთივე, როგორც ბალნეოთერაპიის კურსისას). როგორც წესი, ასეთი რეაქცია თავისთავად არ არის საშიში და სწრაფად გაივლის.

1.8.5. პრეპარატების ვარგისიანობა და შენახვის წესები

ანტიპროტოქსიკური პრეპარატების ვარგისიანობის ვადა შეადგენს 5 წელს. ვადის გასვლის შემდეგ პრეპარატის გამოყენება არ არის მიზანშეწონილი.

ხანგრძლივი შენახვის შემდეგ მიღების წინ წვეთების ფლაკონი აუცილებლად შევანჯღრიოთ. პრეპარატების ყველა ფორმა მოვარიდოთ ზედმეტ გადახურებას და მზის პირდაპირ სხივებს. ტაბლეტები დავიცვათ სინესტისაგან. სანთლების ფორმის პრეპარატები არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევინახოთ 30°C მეტ ტემპერატურაზე, რადგან ისინი შესაძლოა დარბილდეს და გალღვეს.

თსკო 2

ანტიკორუმპციული
თერაპიის სქემები

შენიშვნა:

საბაზისო თერაპიაში მოცემული პრეპარატების გამოყენება, შესაბამის ჩვენებათა მიხედვით, აუცილებელია პირველ რიგში.

სიმპტომური მკურნალობისთვის მოყვანილია ის თერაპიული საშუალებანი, რომლებიც მკურნალობის კურსში შეიძლება ჩაირთოს დამატებით.

მკურნალობის მიმდინარეობისას შეიძლება შეიცვალოს დაავადების სურათი, შესაბამისად უნდა შეიცვალოს გამოყენებული პრეპარატებიც.

აბსცესი

(მეზენქიმის ანთების ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Belladonna-Homaccord (წვეთები)

Traumeel S (წვეთები, ტაბლეტები, ამპულები)

სიმპტომური თერაპია:

Apis-Homaccord (წვეთები)

შეშუპება;

Coenzyme compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემის ფუნქციის აღდგენა და გააქტივება დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა);

Echinacea compositum SN (ამპულები)

იმუნური სისტემის გააქტივება ცხელების და ანთებითი პროცესებისას;

Engystol N (ამპულები)

არასპეციფიკური იმუნიტეტის გააქტივება;

Ubichinon compositum (ამპულები)

დებინტოქსიკაციური პროცესის გააქტივება, ფერმენტული სისტემის ფუნქციის ნორმალიზაცია და აღდგენა დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა).

ადენოიდური წარმონაქმნები (წანაზარდები)

(ოროდერმის დეპონირების ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Barijodeel (ტაბლეტები)

Lymphomyosot N (წვეთები, ტაბლეტები, ამპულები)

სიმპტომური თერაპია:

Coenzyme compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემის ფუნქციის აღდგენა და გააქტივება დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა);

Echinacea compositum SN (ამპულები)

იმუნური სისტემის გააქტივება ცხელების და ანთებითი პროცესებისას;

Engystol N (ამპულები)

არასპეციფიკური იმუნიტეტის გააქტივება, განსაკუთრებით, გრიპის და გაურკვეველი ცხელებით მიმდინარე ინფექციური დაავადებისას;

Euphorbium compositum (წვეთები, ნაზალური წვეთები)

სხვირის დანამატი ღრუების ანთება, რინიტი, სასმენი მილის კატარული ანთება;

Psorinoheel N (წვეთები, ამპულები)

კონსტიტუციური საშუალება, გამოიყენება ქრონიკული დაავადებებისას;

Ubichinon compositum (ამპულები)

დეზინტოქსიკაციური პროცესების გააქტივება, ფერმენტული სისტემის ფუნქციის ნორმალიზაცია და აღდგენა დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა).

ადენომა - წინამდებარე ჯირკვლის

(ჰერმინოდერმის იმპრეგნაციის ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Sabal-Homaccord (წვეთები, ამპულები)

Solidago compositum SN (ამპულები)

სიმპტომური თერაპია:

Berberis-Homaccord (წვეთები, ამპულები)

შარდსასქესო გზების გალიზიანება და ანთება;

Coenzyme compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემის ფუნქციის აღდგენა და გააქტივება დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა);

Nux vomica-Homaccord (წვეთები)

ჩივილები, რომლებიც გამოწვეულია ალკოჰოლის, თამბაქოს და ყავის ჭარბი გამოყენების შედეგად;

Testis compositum (ამპულები)

ორგანოების ფუნქციის გააქტივება, განსაკუთრებით, იმპოტენციის, Ejaculatio praecox, ენურეზის და დაუძლეურების შემთხვევაში;

Ubichinon compositum (ამპულები)

დეზინტოქსიკაციური პროცესების გააქტივება, ფერმენტული სისტემის ფუნქციის ნორმალიზაცია და აღდგენა დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა).

ადნექსიტი

(ჰერმინოლერმის ანთების ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Traumeel S (წვეთები, ტაბლეტები, ამპულები, მალამო)

Gynaecoheel N (წვეთები)

Metro-Adnex-Injeel (ამპულები)

Spascupreel S (სანთლები)

სიმპტომური თერაპია:

Apis-Homaccord (წვეთები)

შეშუპებები;

Coenzyme compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემის ფუნქციის აღდგენა და გააქტივება დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა);

Echinacea compositum SN (ამპულები)

იმუნური სისტემის გააქტივება ცხელების და ანთებითი პროცესებისას;

Ovarium compositum (ამპულები)

იმუნიტეტის გააქტივება დისმენორეის, ენდომეტრიტის, მეტრიტის, პარამეტრიტისას;

Ubichinon compositum (ამპულები)

დეზინტოქსიკაციური პროცესების გააქტივება, ფერმენტული სისტემის ფუნქციის ნორმალიზაცია და აღდგენა დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა).

სადრენაჟო თერაპია:

Lymphomyosot N (წვეთები, ტაბლეტები, ამპულები).

ალერგია

(იმპრევენაციის ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Galium-Heel N (წვეთები)

Engystol N (ამპულები)

Psorinoheel N (ამპულები)

Traumeel S (მაღამო)

(მაგრამ არა მწვავე ალერგიული დერმატიტების შემთხვევაში)

სიმპტომური თერაპია:

Coenzyme compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემის ფუნქციის აღდგენა და გააქტივება დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა);

Cutis compositum N (ამპულები)

იმუნური სისტემის გააქტივება ალერგიის, ნეიროდერმიტის, სკლეროდერმიისას;

Hepar compositum N (ამპულები)

ღვიძლის ფუნქციების გააქტივება დერმატოზების, გლურას, ნეიროდერმიტებისას;

Hepeel (აბები)

ღვიძლის ფუნქციების პირველადი და მეორადი დარღვევა, ღვიძლის დაზიანება;

Lymphomyosot N (წვეთები, ტაბლეტები, ამპულები)

ექსუდატური და ლიმფატური დიათეზი;

Mucosa compositum (ამპულები)

სხვადასხვა სახის და ლოკალიზაციის ლორწოვანი გარსის დაავადება და კატარი;

Ubichinon compositum (ამპულები)

დეზინტოქსიკაციური პროცესების გააქტივება, ფერმენტული სისტემის ფუნქციის ნორმალიზაცია და აღდგენა დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა).

ამენორეა (მეორადი)

(პრემინოდერმის იმპრეგნაციის ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Gynaecoheel N (წვეთები)

Hormeel SN (წვეთები)

Ovarium compositum (ამპულები)

სიმპტომური თერაპია:

Cerebrum compositum NM (ამპულები)

ნეიროვეგეტატიური ამენორეა და დაუძლურება;

Coenzyme compositum (ამპულები)

ფერმენტული სისტემის ფუნქციის აღდგენა და გააქტივება დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა);

Metro-Adnex-Injeel (ამპულები)

ადნექსიტი, პარაენდომეტრიტი, დისმენორეა, მუცლის ქვემო ნაწილის ტკივილი მენსტრუაციებს შუა პერიოდში, ვაგინიტი, კოლპიტი, კლიმაქსური ნევროზები;

Ubichinon compositum (ამპულები)

დეზინტოქსიკაციური პროცესების გააქტივება, ფერმენტული სისტემის ფუნქციის ნორმალიზაცია და აღდგენა დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა).

ანგინა ტონზილარული

(ლიმფოდეგრმის ანთების ფაზა)

საბაზისო თერაპია:

Angin-Heel SD (ტაბლეტები)

დიაბეტით დაავადებულებში რეაქტიული ფაზის პრაქტიკულად ნებისმიერი მწვავე და ქრონიკული დაავადება (მაგ., ჩირქოვანი ფისტულები, კანის დაავადებები, გრიპი, ანგინა) წარმოადგენს ორგანიზმის მცდელობას გამოდევნოს ჰომოტოქსინები. მსგავსი რეაქტიული ფაზები არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაიხშოს, რადგანაც ამან შეიძლება გამოიწვიოს დეგენერაციული ფაზის მკვეთრი გადასვლა დიაბეტურ კომაში.

როგორც პრაქტიკა და ექსპერიმენტი გვიჩვენებს, სენილური დიაბეტი, რომელიც ხშირად გვხვდება და შთაბოძავლობითაა განპირობებული, წარმოადგენს დიდი რაოდენობის საკვები პროდუქტებისაგან (განსაკუთრებით, ღორის ხორცი) ჰომოტოქსინებით გამოწვეულ ორგანიზმის მიზანდასახულ დამცველობით პროცესს, რომლის დროსაც ეს საკვები ორგანიზმიდან შუალედური ნივთიერების – გლუკოზის მეშვეობით გამოიყოფა, რომელიც ადვილად ტრანსპორტირდება

ორგანიზმში. აქედან გამომდინარე, ნათელი ხდება, თუ რატომ აქვს დიეტას ასეთი მნიშვნელობა; ამ დროს აუცილებელია დიდი რაოდენობის ნახშირწყლების მიღება (პირველ რიგში ბოსტნეული) და რაციონიდან ტოქსინების და კალორიების შემცველი იმ პროდუქტების და ნივთიერებების (განსაკუთრებით, ღორის ხორცი) გამორიცხვა, რომლებიც იწვევს დიაბეტს. დიაბეტის კეთილთვისებიან ფორმებში ხშირად გვხვდება არტერიოსკლეროზისკენ მიდრეკილება; ამ შემთხვევაში თერაპიისთვის ინიშნება *Syzygium compositum* და *Cralonin*.

დიაბეტით დაავადებულებში პერიფერიული სისხლის მიმოქცევის დარღვევების და განგრენის წარმოშობისას *Placenta compositum* ინიშნება.

ჰომოტოქსიკოლოგიის თეორიიდან გამომდინარე, დიაბეტი წარმოადგენს არა კუჭქვეშა ჯირკვლის ფუნქციის ლოკალურ დარღვევას, არამედ კომპლექსურ დაავადებას – დამცველობით პროცესს ტოქსინების წინააღმდეგ. აქედან გამომდინარეობს სწორი თერაპიის აუცილებლობა, პირველ რიგში სწორი კვება (ღორის ხორცზე უარის თქმა), ღვიძლის ფუნქციის და შემაერთებელი ქსოვილის გააქტიურება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება შეწყვიტვამ ცომპოსიტუმ, რომელიც დიაბეტის ხანგრძლივი მკურნალობისთვისაა ნაჩვენები. შაქრიანი დიაბეტისას დამატებით ინიშნება *Coenzyme compositum* (დიაბეტური განგრენა).

Tartephedreel® N

ტარტეფედრელ ნ

გამოშვების ფორმა და შეფუთვა:

წვეთები: საწვეთურიან ფლაკონში 30 მლ ან 100 მლ.

შემადგენლობა:

10 გ (10.5 მლ) შეიცავს: Kalium stibyltartaricum D4, Atropa Belladonna D4, Natrium sulfuricum D4, Arsenicum jodatum 6 – შესაბამისად 1 გ. Blatta orientalis D6, Lobelia inflata D4, Cephaelis Ipecacuanha D4, Naphatalinum D6, Anisum stellatum D3 – შესაბამისად 0.5 გ. Ethanol 43 vol%.

ჩვენება:

ბრონქიტი – განსაკუთრებით, ასთმური ხასიათის; ბრონქიალუ-

რი ასთმა, გახანგრძლივებული ხველა; ხველა სკროფულოზურ ბავშვებში; ბრონქების და ხორხის კატარი, ყვიანახველას სხვადასხვა ფორმები; პრეპარატი ნაჩვენებია სასუნთქი გზების კატარალური დაავადებებისას.

წინააღმდეგ ჩვენება:

ფარისებრი ჯირკვლის დაავადებისას არ მიიღება ექიმის დანიშნულების გარეშე.

გვერდითი ეფექტი:

არ გააჩნია.

სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება:

აღსანიშნავ თავისებურებათა გარეშე.

დოზირება და გამოყენების წესი:

ჩვეულებრივ – 10 წვეთი 3-ჯერ დღეში, მწვავე მდგომარეობისას – 10 წვეთი ყოველ 15 წუთში ერთხელ, არა უმეტეს 2 საათისა.

დამატებითი რეკომენდაცია:

Tartephedreel ინიშნება სასუნთქი გზების ისეთი დაავადებებისას, როგორცაა ლარინგიტი, ტრაქეიტი; მოცემული პრეპარატი გამოიყენება როგორც დამხმარე საშუალება პნევმონიის თერაპიისას, ტუბერკულოზური და პლევრიტული ხველისას, ასევე სხვადასხვა ლორწოვანი გარსის კატარებისას (კუჭის, ნაწლავების, სარდ-სასქესო ორგანოების);

ლორწოვანი გარსის კატარი ხელს უწყობს დეზინტოქსიკაციას; ის გამოყოფს გრიპის ვირუსს ანთების მეშვეობით. ამიტომ კატარი კი არ უნდა ჩავახშოთ, არამედ ხელი შევეუწყოთ და დავაჩქაროთ, რათა აღმოვეფხვრათ ინტოქსიკაცია, მაგ., ბრონქიალური ასთმისას. მოცემული პრეპარატის კომპონენტები ახდენს ანთების საწინააღმდეგო ზემოქმედებას, იწვევს დეზინტოქსიკაციას და ჰომოტოქსინების გამოდევნას, რაც განსაზღვრავს ამ პრეპარატის ეფექტურობას.

ბრონქიალური ასთმისას რეკომენდებულია თერაპიის შემდეგი სქემა:

Husteel – 8 და 16 საათზე 5-8 წვეთი;

Tartephedreel – 10 და 18 საათზე 5-8 წვეთი;

ანდა ორივე პრეპარატი ინიშნება ერთად 2-4-6-ჯერ დღეში.

Testis compositum N

ტესტის კომპოზიტუმი ნ

გამოშვების ფორმა და შეფუთვა:

საინექციო ხსნარი: 2,2 მლ ამპულაში. 5, 10, 50, 100 ან 500 ამპულა შეფუთვაში.

შემადგენლობა:

2,2 მლ-იანი 1 ამპულა შეიცავს: Testis suis D4, Embryo suis D8, Glandula suprarenalis suis D13, Kalium pikrinicum D6, Ginseng D4, Damiana D8, Caladium seguinum D6, Cor suis D8, Cortisonacetat D13, Agnus castus D6, Selenium D10, Cantharis D8, Conium D28, Lycopodium D28, Phosphorus D8, Diencephalon suis D10, Magnesium phosphoricum D10, Ferum phosphoricum D10, Manganum phosphoricum D8, Zincum metallicum D10, Acidum ascorbicum D6 – შესაბამისად 22 მკლ; ასევე საინექციო წყალი, ნატრიუმქლორიდი.

ჩვენება:

ორგანოთა ფუნქციების სტიმულირება, მათ შორის რეპროდუქციული ასაკის იმპოტენცია, დაჩქარებული ეაკულაცია, გამოფიტვა, ოსტეომალაცია, ღამის შარდის შეუკავებლობა, პროგრესირებადი კუნთოვანი დისტროფია, შაქრიანი დიაბეტი და ნივთიერებათა ცვლის სხვა დარღვევები; ღვიძლის დაზიანება. პრეპარატი ხელს უწყობს რეგრესულ ვიკარიაციას.

წინააღმდეგ ჩვენება:

ფარისებრი ჯირკვლის დაავადებისას არ მიიღება ექიმის დანიშნულების გარეშე.

გვერდითი ეფექტი:

არ გააჩნია

სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება:

აღსანიშნავ თავისებურებათა გარეშე.

დოზირება და გამოყენების წესი:

ჩვეულებრივ – ერთი ამპულა 1-3-ჯერ კვირაში კანქვეშ, კუნთში, კანში, საჭიროების შემთხვევაში ვენაში.

დამატებითი რეკომენდაცია:

Testis compositum N ინიშნება მამაკაცებში დისტროფიის შემთხვევაში (Dystrophia adiposogenitalis) ორგანოთა ფუნქციების გასააქტივებლად, ნივთიერებათა ცვლის სხვადასხვა დარღვევებისას,

induratio penis plastica, დაუძლურებისას, აგრეთვე, როგორც დამხმარე თერაპია, ღვიძლის სხვა დაავადებებისას. პრეპარატი ასევე გამოიყენება გერიატრიაში;

ეს პრეპარატი ძირითადად მამაკაცის სასქესო ჯირკვლებზე მოქმედებს; ბიოლოგიური კომპონენტების მასტიმულირებელი თვისებებიდან გამომდინარე, პრეპარატი აძლიერებს სქესობრივ ფუნქციებს სხვადასხვა ორგანოთა და ჯირკვლების ფუნქციებზე ზემოქმედებით, ააქტიურებს შემაერთებელ ქსოვილს (მაგ., კორტიზონის შექცევადი ეფექტი), ააქტიურებს ფიზიკურ და ფსიქიკურ ფუნქციებს, ხელს უწყობს გამოჯანმრთელებას (იმპოტენციის და სქესობრივი ფუნქციების დაქვეითების დროს). ვიტამინები და მიკროელემენტები ხელს უწყობს ამ პრეპარატის კომპლექსურ მოქმედებას სხვადასხვა ორგანული დაავადებების და ფუნქციური დარღვევების დროს. დამატებით ინიშნება Coenzyme compositum, Ubichinon compositum (ბლოკირებული ფერმენტული სისტემის გააქტივებისათვის), Hepar compositum (ღვიძლის დეზინტოქსიკაციური ფუნქციის სტიმულაციისათვის), Placenta compositum, Solidago compositum S, Cerebrum compositum NM (თავის ტვინისა და ნერვული სისტემის სტიმულაციისათვის),

Testis compositum N ინიშნება არა მხოლოდ ისეთ დაავადებებზე, როგორცაა პროსტატის ადენომა, ჰიპერტონია, პერიფერიული სისხლის მიმოქცევის დარღვევა, არამედ დეგენერაციის ფაზების დაავადებებისას (როგორც დამხმარე საშუალება), ასევე ახალწარმონაქმნებში. სასურველია თერაპია შეძლებისდაგვარად ადრე დაიწყოს.

მოცემული პრეპარატის მოქმედება შეიძლება გაძლიერდეს იმ სხვადასხვა პრეპარატების მონაცვლეობითი პერორალური თერაპიით, რომლებიც მიმართულია ცალკეულ ორგანოებზე და ჯირკვლებზე (Hepeel, Lypomyosot, Psorinoheel N, Vertigoheel და სხვა).

ოსტეოქონდროზისა და ნევრალგიების დროს დამატებით ინიშნება Discus compositum, Traumeel S, Zeel T.

Traumeel® S

ტრაუმეელ® ს

გამოშვების ფორმა და შეფუთვა:

წვეთები: საწვეთურიან ფლაკონში 30 მლ ან 100 მლ.

ტაბლეტები: შეფუთვაში 50 ან 250 ტაბლეტი.

საინექციო ხსნარი: 2,2 მლ ამპულაში. 5, 10, 50 ან 100 ამპულა შეფუთვაში.

მალამო: 50 გ ან 100 გ ერთ ტუბში.

შემადგენლობა:

წველები: 100 გ (105 მლ) შეიცავს: Belladonna D4 – 25 გ, Aconitum D3, Hepar sulfuris D8, Mercurius solubilis Hahnemanni D8 – შესაბამისად 10 გ, Symphytum D8, Chamomila D3 – შესაბამისად 8 გ, Calendula D2, Hamamelis D2, Millefolium D3, Arnica D2 – შესაბამისად 5 გ, Echinacea D2, Echnacea purpurea D2, Bellis perennis D2 – შესაბამისად 2 გ, Hypericum D2 1 გ. Ethanol 30 vol%.

ტაბლეტები: 1 ტაბლეტი შეიცავს: Arnica D2, Calendula D2, Hamamelis D2, Millefolium D3 – შესაბამისად 15 მგ; Aconitum D3, Hepar sulfuris D8, Mercurius solubilis Hahnemanni D8 – შესაბამისად 30 მგ; Chamomila D3, Symphytum D8 – შესაბამისად 24 მგ, Bellis perennis D2, Echinacea D2, Echnacea purpurea D2 – შესაბამისად 6 მგ, Hypericum D2 – 3 მგ. Belladonna D4 – 75 მგ, ასევე Lactose-Monohydrat და Magnesiumstearat.

საინექციო ხსნარი: 2,2 მლ-იანი 1 ამპულა შეიცავს: Calendula D2, Belladonna D2 – შესაბამისად 2.2 მკლ, aconitum D2 – 1.32 მკლ, Bellis perennis D2 – 1.1 მკლ, Hypericum D2 – 0.66 მკლ, Echinacea D2, Echnacea purpurea D2 – შესაბამისად 0.55 მკლ, Hypericum D2 0,25 მლ; Symphytum D6, Chamomila D3, Millefolium D3, Arnica D2, Hepar sulfuris D6 – შესაბამისად 2.2 მკლ, mercurius solubilis Hahnemanni D6 – 1.1 მკლ, Hamamelis D1 – 0.22 მკლ, ასევე საინექციო წყალი, ნატრიუმქლორიდი.

მალამო: 100 გ. მალამო შეიცავს: Arnica D3 - 1,5 გ, Calendula Q, Hamamelis Q – შესაბამისად 0,45 გ; Echinacea angustifolia Q, Echnacea purpurea Q, Chamomila Q – შესაბამისად 0,15 გ; Symphytum D4, Bellis perennis Q – შესაბამისად 0.1გ; Hypericum D6, Millefolium Q – შესაბამისად 0,09 გ; Belladonna D1, Aconitum D1 – შესაბამისად 0,05 გ; Mercurius solubilis Hahnemanni D6 – 0,04 გ, Hepar sulfuris D6 0,025 გ. ეთანოლით სტაბილიზირებული ჰიდროფილური მალამო (DAB). 12,5 vol % Ethanol.

ჩვენება:

წვეთები, ტაბლეტები, საინექციო ხსნარი: დაჭიმულობა, ამოვარდნილობა, სისხლჩაქცევა (კანქვეშა და სახსარშიგა), ძვლის მოტეხილობა, ოპერაციის და ტრავმის შემდგომი შეშუპება, სხვადასხვა ორგანოებისა და ქსოვილის ანთებითი და დეგენერაციული პროცესი, განსაკუთრებით, საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის (ტენდოვაგინიტი, სტილოიდიტი, ეპიკონდილიტი, ბურსიტი, პერიართრიტი), ართროზი, თავის ტვინის მწვავე შერყევა.

მაღამო: დაჟეჟილობა, სხვადასხვაგვარი დაზიანება (სპორტი, სატრანსპორტო შემთხვევა), დაჭიმულობა, მოტეხილობა, კონტუზია, სისხლჩაქცევა, ანთებითი და დეგენერაციული პროცესები სხვადასხვა ორგანოებსა და ქსოვილებში (პაროდონტიტი, პაროდონტოზი, ღრძილების დაჩირქება), განსაკუთრებით, საყრდენ-მამოძრავებელ აპარატში (ტენდოვაგინიტი, ბურსიტი, მხრის ეპიკონდილიტი), ართროზი.

წინააღმდეგ ჩვენება:

წვეთები, ტაბლეტები: არ გააჩნია.

საინექციო ხსნარი: მომატებული მგრძობიარობა რთულ-ყვავილოვანთა მიმართ.

მაღამო: მომატებული მგრძობიარობა მცენარე არნიკას მიმართ.

გვერდითი ეფექტი:

წვეთები, ტაბლეტები: პრეპარატის მიღება უნდა შეწყდეს მომატებული ნერწყვდენის დროს.

საინექციო ხსნარი: სახსრისშიგა ინექციისას ზოგიერთ შემთხვევაში აღინიშნება სახსრის ტკივილი, რომელიც იხსნება ანთების საწინააღმდეგო თერაპიით; ძალზე იშვიათად მომატებულმა მგრძობიარობამ რთულყვავილოვანთა მიმართ შეიძლება გამოიწვიოს ანაფილასიური რეაქციები.

მაღამოს ხმარებისას, იშვიათად, კანზე ალერგიული რეაქციებია მოსალოდნელი.

სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება:

აღსანიშნავ თავისებურებათა გარეშე.

დოზირება და გამოყენების წესი:

წვეთები: 10 წვეთი 3-ჯერ დღეში, რბილი ქსოვილების შეშუპებისას - 30 წვეთი 3-ჯერ დღეში.

ტაბლეტები: 1 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში ენის ქვეშ დადებით.

საინექციო ხსნარი: 1-3-ჯერ კვირაში, მწვავე შემთხვევებისას ყოველდღე 1-2 ამპულა კუნთში, კანქვეშ, კანში (ნაწიბურების არსე-

ბობისას), ვენაში, სასახსრე ჩანთაში და სახსრის გარშემო.

მაღამო: დილა-საღამოს ან აუცილებლობისას უფრო ხშირად დაზიანებულ ზედაპირზე შესაზელად. შესაძლებელია ნახვევების დადებაც.

ღია ჭრილობაზე მაღამოს გამოყენება არ არის რეკომენდებული.

დამატებითი რეკომენდაცია:

პრეპარატი ინიშნება სხვადასხვა სახის ტრავმების, რბილი ქსოვილის რევმატიზმის, მალთაშუა დისკების და ხერხემლის სხვა დეგენერაციული დაავადებისას, რომელსაც თან ახლავს შესაბამისი ვერტებროგენური სიმპტომატიკა; თავის ტვინის შერყევისას (*Vertigoheel*-თან ერთად), მწვავე და ქრონიკული ოტიტის, ცხვირის დანამატი ღრუების ანთების, დაჩირქებებით მიმდინარე ანთებებისას, მაგ., საოფლე ჯირკვლების აბსცესის, ფურუნკულების, კარბუნკულების, მასტიტის, პაროდონტოზის, დაჩირქებული ფისტულების, წვივის წყლულის, ეკზემების, ნეიროდერმიტის დროს.

მოცემული პრეპარატი ნაჩვენებია ასევე, სულფიდური ფერმენტების აქტივაციისათვის, მაგ., ალოპათიური მკურნალობის უარყოფითი შედეგების და დეგენერაციული დაავადებებისას; მიოკარდიუმის ინფარქტის შემდგომი თერაპიისას (პროთრომბინის რეგულაცია).

Traumeel S ზემოქმედების მექანიზმი მასში შემავალი მცენარეული და მინერალური კომპონენტების შემდეგი თვისებებით განისაზღვრება:

1. ვერცხლისწყლის შემცველი კომპონენტების მოქმედება ანთებითი და ვირუსული დაავადებებისას;
2. სისხლძარღვების ტონუსის მომატება (*Aconitum, Arnica*), სისხლძარღვების გამკვრივება (კალციუმი), ვენოზური შეგუბების მოხსნა, თრომბის წარმოქმნის უკუქმედება (*Hamamelis*), სისხლდენის შეჩერება (*Millefolium*);
3. უჯრედოვანი სუნთქვის და ჟანგვა-აღდგენითი პროცესების გაუმჯობესება კალციუმის სულფიდის და კალციუმის პოლისულფიდის მეშვეობით (*Hepar sulfuris*);
4. დიდი დამცველობითი მექანიზმის სტიმულირება;
5. ჭრილობის შეხორცების გააქტივება; შოკური მდგომარეობის დაძლევა (*Arnica, Calendula, Echinacea, Symphytum*); „ნორმალური და სრულფასოვანი“ ჩირქის წარმოქმნა;
6. ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი (*Aconitum, Arnica, Chamomilla, Hamamelis, Hypericum*);

7. სისხლდენის შეჩერება (Aconitum, Arnica, Hamamelis (ვენოზური), Hypericum, Millefolium (არტერიული).

Traumeel S ძირითადი მოქმედება:

1. მარეგენერირებელი - ართროზის, მოტენილობის, ეპიკონდილიტის, სტილოიდიტის, ტენდოვაგინიტიისას;

2. ანტიექსუდაციური - რბილი ქსოვილების რევმატიზმის, ტრავმის, ოპერაციის შემდგომი, თავის ტვინის შერყევის შემდგომი, ართროზების, სახსარშიდა და რბილი ქსოვილების ჰემატომების, ტენდოვაგინიტიის, ბურსიტიის, ოტიტიისას;

3. ანთების საწინააღმდეგო - ბურსიტიის, ეპიკონდილიტიის, სტილოიდიტიის, ტენდოვაგინიტიის, ოტიტიისას.

Ubichinon compositum

უბიხინონ კომპოზიტუმი

გამოშვების ფორმა და შეფუთვა:

საინექციო ხსნარი: 2,2 მლ ამპულაში. 5, 10, 50 ან 100 ამპულა შეფუთვაში.

შემადგენლობა:

2,2 მლ-იანი 1 ამპულა შეიცავს: Coenzym Q10 d10, Acidum ascorbicum D6, Thiaminchloridhydrochlorid D6, Riboflavin-5`-phosphat mononatriumsalz 2H₂O D6, Pyridoxinhydrochlorid D6, Nicotinamid D6, myrtillus D4, Colchicum D4, Podophyllum D4, Conium D4, Hydrastis D4, Acidum sarcolacticum D6, Hydrochinon D8, Sulfur D8, Trichonoyl D10, Antrachinon D10, 1,4-Naphtochinon D10, para-Benzochinon D10, Adenozin-5`-triphosphat-Dinatriumsalz D10, Coenzym A d10, Galium aparine D6, Acetylsalicylsaeure D10, Histamin D10, Naidid D10, Magnesium-D gluconat 2H₂O D10, a-Liponsaeure D8, Manganum phosphoricum D8, Natrium oxalaceticum D8 – შესაბამისად 22 მკლ; ასევე საინექციო წყალი, ნატრიუმქლორიდი.

ჩვენებები:

დამცველობითი მექანიზმის სტიმულირება ბლოკირებული ფერმენტული სისტემის აღსადგენად, ამ ფუნქციის დარღვევის და დეგენერაციული დაავადებებისას (უჯრედული ფაზა).

წინააღმდეგ ჩვენებები:

ფენიმინობის და ძუძუთი კვების პერიოდში არ გამოიყენება.

გვერდითი ეფექტები:

არ გააჩნია.

სხვა პრეპარატებთან ურთიერთმოქმედება:

აღსანიშნავ თავისებურებიათა გარეშე.

დოზირება და გამოყენების წესი:

ჩვეულებრივ თითო ამბულა კვირაში 1-3-ჯერ კანქვეშ, კუნთში, კანში, აუცილებლობისას – ვენაში.

დამატებითი რეკომენდაცია:

უჯრედული ფაზების დროს (მ.შ. დედიფერენციაციის) ალოპათიური თერაპია აწმობს ორგანიზმის მარეგულირებელი მექანიზმების აქტივობის ყველა მცდელობას. ასეთ მდგომარეობას ჩვენ ხშირად აღვწერთ როგორც ქრონიკულ დაავადებებს. ამასთან, ფერმენტული სისტემები სრულად ბლოკირდება და მათი აღდგენა პრაქტიკულად შეუძლებელია. ბიოლოგიური თერაპია გამოდის ზემოქმედების სხვა პრინციპებიდან, ბლოკირებული ფერმენტული სისტემების სტიმულირებით – კატალიზატორებითა და ახალწარმონაქმნების დეპოლიმერიზაციის პროცესებით (რომლებიც კონდენსაციის და პოლიმერიზაციის პრინციპით ფორმირდება). ამისათვის გამოიყენება სხვადასხვა პოტენცირებული ქინონები, ბიოლოგიური ნივთიერებები, რომლებიც ხელს უშლის ახალწარმონაქმნის გაჩენას (*Colchicum, Podophyllum, Conium, Hydrastis, Galium aparine*); ამაში დიდ როლს თამაშობს კო-ფერმენტები (კონენიმ A, ატფ, ნადიდი, ლიმონმჟავა) და მიკროელემენტები, რომელთა გარეშე შეუძლებელია ფერმენტული სისტემების აღდგენა (მაგნიუმი, მანგანუმი);

მნიშვნელოვან როლს თამაშობს ვიტამინები, რომლებიც არა მარტო ავსებს ორგანიზმის ნაკლებობას ვიტამინებით, არამედ ფერმენტებზეც მოქმედებს. ანალოგიურ ქმედებას ახდენს სუის ორგანული პრეპარატები, აადვილებს რა ფერმენტების სინთეზის განსაზღვრულ საფეხურებს. ამ შემთხვევაში ჩნდება დაზიანებულ გენეტიკურ აპარატზე (კბოთი გამოწვეულ მუტაციაზე) ზემოქმედების შესაძლებლობა.

პრეპარატ *Ubichinon compositum*-ის მოქმედება ხშირად გამოიხატება ინექციის შემდგომ დალლილობაში (როგორც *Coenzyme compositum, Hepar compositum*-ისას), ამის გამო პაციენტებისათვის რეკომენდებულია ძილი, რათა შემსუბუქდეს ფერმენტული ფუნქციების და სისტემების გარდაქმნის პროცესები. მოცემული

პრეპარატი იმ დაზიანებათა კომპენსაციისათვის არის გათვალისწინებული, რომლებიც გამოწვეულია დაავადების განვითარებით და უჯვრედულ ფაზაში გადასვლით (მ.შ. დედიფერენციაციის ფაზაში). ამ შემთხვევაში ეფექტის გასაძლიერებლად დამატებით გამოიყენება Coenzyme compositum, Galium-Heel, Engystol N, Traumeel S, Hepar compositum.

მოცემული პრეპარატი აძლიერებს სხივური თერაპიის მოქმედებას (დასხივებამდე 2 საათით ადრე გაკეთებული ინექცია) და კარგად მოქმედებს კრიტიკული ინტოქსიკაციებისას, მაგ., გრიპის, აბსცესების, კატარებისას (აფონია). მსგავს შემთხვევებში დამატებით ნაჩვენებია Echinacea compositum SN.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ვიტამინის შემცველი პრეპარატების (Ubichinon compositum, Coenzyme compositum, Discus compositum) ინტრა-ვენური ინექციები უნდა ჩატარდეს ძალიან ფრთხილად, რადგან პაციენტების უმრავლესობას, ალოპათიური მკურნალობის შედეგებიდან გამომდინარე, მგრძობელობა ამ ვიტამინის მიმართ მომატებული აქვთ. ეს შეიძლება მოხდეს მიუხედავად ამ ვიტამინის მაღალი განზავებისა, რომელიც არ გამოიყენება შენაცვლებადი თერაპიისათვის.

რადგან ეს პრეპარატი შეიცავს ვიტამინებს, მისი კანქვეშა და კანშიდა ინექციებისას შეიძლება შეინიშნებოდეს მცირე ტკივილი და წვა.

Valerianaheel®

ვალერიანაჰელი

გამოშვების ფორმა და შეფუთვა:

წვეთები: საწვეთურიან ფლაკონში 30 მლ ან 100 მლ.

შემადგენლობა:

100 გ (110 მლ) შეიცავს: Valeriana Q – 65 გ, Lupulus Q, Crataegus Q, Hypericum D1 – შესაბამისად 5 გ, Melissa Q – 3 გ, Chamomilla Q, Avena sativa Q – შესაბამისად 2 გ, Acidum picricum D5 – 10 გ; Kalium bromatum D1, Ammonium bromatum D1, Natrium bromatum D1 – შესაბამისად 1 გ.

ჩვენება:

დამამშვიდებელი საშუალება მოუსვენრობის, შფოთვის, ნევრას-თენიული მდგომარეობებისას.

წინააღმდეგ ჩვენება:

არ გააჩნია.

გვერდითი ეფექტი:

არ გააჩნია.

სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება:

აღსანიშნავ თავისებურებათა გარეშე.

განსაკუთრებული შენიშვნა:

მოქმედებს დამამშვიდებლად, არ ახდენს გავლენას სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უშიშროებაზე.

დოზირება და გამოყენების წესი:

ჩვეულებრივ - 15 წვეთი 3-ჯერ დღეში. საღამოს, ძლიერი აგზნების ან უძილობის შემთხვევაში 25 წვეთი. ჩვილებში 2 წლამდე 3 წვეთი 3-ჯერ დღეში. 2-დან 6 წლამდე - 5 წვეთი, 6-დან 12 წლამდე - 10 წვეთი.

დამატებითი რეკომენდაცია:

Valerianaheel ინიშნება როგორც ბრომის შემცველი (3:1000) მცენარეული დამამშვიდებელი საშუალება, შიშის, მოუსვენარი მდგომარეობის, ტკივილის და ბავშვებში კბილების ამოჭრის დროს, სხვადასხვაგვარი უძილობისას, მ.შ., რაიმე დაავადებით გამოწვეული უძილობისას; კლიმაქტერიული ნევროზებისას უძილობის თანხლებით (Cralonin და Klimaktheel-თან ერთად).

პრეპარატი ნაჩვენებია, აგრეთვე, უძილობით მიმდინარე ცხელების და მწვავე ინფექციური დაავადებისას (Gripp-Heel, Bryaconeel, Traumeel S-თან ერთად).

პრეპარატის მიღებისას არ აღინიშნება მძიმე ნარკოტიკული ან ტოქსიკური გვერდითი ეფექტები. იგი დამამშვიდებლად მოქმედებს და არ ახდენს გავლენას სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უშიშროებაზე.

Valerianaheel-ის მოქმედება შეიძლება გაძლიერებულ იქნეს სხვა ნაჩვენები ბიოლოგიური პრეპარატებით, მაგ., – Nux vomica-Homaccord, Hepeel – ღვიძლის ფუნქციის დარღვევის შედეგად გამოწვეული უძილობისას (მთავების მომატებული გამოყოფისას ღამის 2-დან 6 საათამდე, შემდგომი დალლილობით დილით – გამოღვიძების შემდეგ).



Vertigoheel®**ვირტიზოჰელი****გამოშვების ფორმა და შეფუთვა:**

ტაბლეტები: 50 ან 250 ტაბლეტი შეფუთვაში.

საინექციო ხსნარი: 1,1 მლ ამპულაში. 5, 10, 50 ან 100 ამპულა შეფუთვაში.

შემადგენლობა:

ტაბლეტები: 1 ტაბლეტი შეიცავს: Anamirta Cocculus D4 – 210,0 მგ; Conium maculatum ex herba recent D3; Ambra grisea D6; Petroleum rectificatum D8 – შესაბამისად 30 მგ; ასევე Lactose-Monohydrat და Magnesiumstearat.

საინექციო ხსნარი: 1,1 მლ-იანი (=1.1გ) 1 ამპულა შეიცავს: Conium maculatum D2; Ambra grisea D5; Petroleum rectificatum D7 – შესაბამისად 1.1 მგ. Anamirta cocculus D3 – 7.7 მგ. ასევე საინექციო წყალი, ნატრიუმქლორიდი.

ჩვენება:

სხვადასხვა გენეზისა და ხასიათის თავბრუსხვევები (განსაკუთრებით, ათეროსკლეროზის შედეგად გამოწვეული).

წინააღმდეგ ჩვენებები:

არ გააჩნია.

გვერდითი ეფექტები:

არ გააჩნია.

შენიშვნა:

პრეპარატი თავსებადია ალკოჰოლთან და არ იწვევს სედატიურ ეფექტს (არ მოქმედებს ტრანსპორტის მართვის დროს მოძრაობის უსაფრთხოებაზე და ა. შ.).

სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება:

აღსანიშნავ თავისებურებათა გარეშე.

დოზირება და გამოყენების წესი:

ტაბლეტები: ჩვეულებრივ ერთი ტაბლეტი ენის ქვეშ 3-ჯერ დღეში. ძლიერი თავბრუსხვევის და ლებინებისას იწყებენ ერთი ტაბლეტით 15 წუთში ერთხელ არა უმეტეს 2 საათისა.

საინექციო ხსნარი: ძლიერი თავბრუსხვევის და ლებინებისას ყოველდღე, ჩვეულებრივ 1-3-ჯერ კვირაში ერთი ამპულა კანქვეშ, კუნთში, კანში, ვენაში.

დამატებითი რეკომენდაცია:

მოცემულ პრეპარატში შემავალი კომპონენტები Anamirta cocculus, Ambra, Petroleum ახდენს კომპლექსურ პოტენციურ ზემოქმედებას (ბიურგის პრინციპი) და იწვევს უკუეფექტს (არნდტ-შულცის პრინციპი).

ძირითად თერაპიულ ეფექტს ახდენს არა მარტო მიკროელემენტები – სულფატები, აცეტატები, ქლორიდები, ფოსფატები და კალციუმის, კალიუმის, რკინის, მაგნიუმის და მანგანუმის ნიტრატები, რომელთაც Conium შეიცავს, არამედ პირველი სინთეზირებული ალკალოიდი – კონინი, პროპილპიპერიდინი (ფორმულა C₈H₁₇N).

Anamirta cocculus-ში შემავალი პიკროტოქსინი ასტიმულირებს ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედებას. ის ზემოქმედებს თავის და ზურგის ტვინზე, ააქტივებს ადრენალინის სეკრეციას და Conium-ის ეფექტს.

Ambra-ში შემავალი ქოლესტერინის მსგავსი არომატული შენაერთები – ამბრაინი და Petroleum-ში (გულისრევა, მოძრაობის შედეგად გამოწვეული ღებინება) შემავალი ნახშირწყლები ავსებს პრეპარატის ზოგად მოქმედებას.

Vertigoheel ინიშნება სხვადასხვა წარმოშობის თავბრუსხვევების და მენიერის სინდრომისას (თავბრუსხვევა, გულისრევა, ყურებში შუალი), ნერვულ ნიადაგზე ან ათეროსკლეროზული ცვლილებებით წარმოშობილი თავბრუსხვევებისას ჰიპერტენზიით და მის გარეშე; თავის ტვინის მწვავე შერყევის და მისი შემდგომი თერაპიისას.

Viburcol® N **ვიბურკოლი ნ**

გამოშვების ფორმა და შეფუთვა:

სანთლები: 1,1 გ. 12, 60 ან 120 სანთელი შეფუთვაში.

შემადგენლობა:

1 სანთელი (=1.1გ) შეიცავს: Chamomilla D1, Belladonna D2, Plantago major D3 – შესაბამისად 1,1 მგ; Pulsatilla D2 – 2,2 მგ; Calcium carbonicum Hahnemanni D8 – 4,4 მგ. ასევე შემადგენელი კომპონენტია: მყარი ცხიმი.

ჩვენება:

სანთლები ჩვილებისათვის და აგზნებულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვებისათვის ცხელებით და მის გარეშე; სხვადასხვა უბრალო

ინფექციების სიმპტომატური მკურნალობა.

წინააღმდეგ ჩვენება:

არ გააჩნია.

გვერდითი ეფექტი:

არ გააჩნია.

სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება:

აღსანიშნავ თავისებურებათა გარეშე.

ლოზირება და გამოყენების წესი:

მწვავე შემთხვევებისას 1 სანთელი სწორ ნაწლავში შეყვანით რამდენიმეჯერ – მდგომარეობის შემსუბუქებამდე. შემდეგ 1 სანთელი 2-3-ჯერ დღეში. 6 თვემდე ჩვილთათვის (დაბადების პირველივე დღიდან) მაქსიმუმ – 1 სანთელი 2-ჯერ დღეში.

დამატებითი რეკომენდაცია:

Viburcol ნაჩვენებია სხვადასხვაგვარი მოუსვენრობის და შფოთვის მდგომარეობისას – სიცხით და მის გარეშე; აგზნებული მდგომარეობის, გუნებაგანწყობის სწრაფი მონაცვლეობის და უძილობისას; თერაპიული ჩარევების წინ და მის შემდეგ.

პრეპარატი გამოიყენება მოუსვენრობის, შფოთვის, სიცხის, ანთების, ფსიქიკური მოშლილობის სიმპტომურ თერაპიაში.

ცხელებისას პრეპარატი აქვეითებს ტემპერატურას და აქვს ლიტეიკური ზემოქმედება, სისხლის მიმოქცევის ჰიპოტონურ დარღვევათა გამოწვევის გარეშე. პრეპარატი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, აგრეთვე, ბავშვთა საჭმლის მონელების დარღვევათა სიმპტომატური თერაპიისათვის, განსაკუთრებით, მეტეორიზმის დროს. Chamomilla-ს შემცველობის გამო პრეპარატს შეუძლია კრუნჩხვების მოხსნა.

სანთლები ახდენს სწრაფ ანტიჰომოტოქსიკურ თერაპიულ ეფექტს არნდტ-შულცის წესის შესაბამისად; პრეპარატის მოქმედება განისაზღვრება ანტიჰომოტოქსიკური დეზინტოქსიკაციური ეფექტით, რომლის დროს აქტიურდება დიდი დამცველობითი სისტემა და ძლიერდება ფერმენტული ქმედითობა (ჰომოტოქსინების შებოჭვა).

Zeel® T

ცელ® ტ

გამოშვების ფორმა და შეფუთვა:

ტაბლეტები: შეფუთვაში 50 ან 250 ტაბლეტი.

საინექციო ხსნარი: 2,2 მლ ამპულაში. 5, 10, 50 ან 100 ამპულა შეფუთვაში.

მალამო: 1 ტუბში 50 გ და 100 გ.

შემადგენლობა:

ტაბლეტები: 1 ტაბლეტი შეიცავს: Cartilago suis D4, Funiculus umbilicalis suis D4, Embryo suis D4, Placenta suis D4 – შესაბამისად 0,3 მგ; Rhus toxicodendron D2 – 0,54 მგ; Arnica montana D1 – 0,6 მგ; Solanum dulcamara D2 0,15 მგ; Symphytum officinale D8 0,15 მგ; Sanguinaria canadensis D3 0,45 მგ; Sulfur D6 0,54 მგ; Nadidum D6, Coenzym A D6, Acidum a-liponicum D6, Natrium Diethyloxalaceticum D6 – შესაბამისად 0,03 მგ; Acidum silicicum D6 3 მგ. ასევე ლაქტოზა – 300 მგ.

საინექციო ხსნარი: 2,2 მლ-იანი 1 ამპულა შეიცავს: Cartilago suis D6, Embryo totalis suis D6, placenta suis D6, NAD D8, Coenzym A D8 aquos, Acidum a-liponicum D8 aquos – შესაბამისად 2 მგ. Solanum Dulcamara D3, Symphytum officinale D6, Rhus toxicodendron D2 – შესაბამისად 10 მგ. Arnica montana D4 200 მგ; Sulfur D6 3,6 მგ; Sanguinaria canadensis D4 3 მგ; ასევე საინექციო წყალი, ნატრიუმქლორიდი.

მალამო: 100 გ შეიცავს: Cartilago suis D2, Funiculus umbilicalis suis D2, Embryo suis D2, Placenta suis D2 – შესაბამისად 0,001 გ; Rhus toxicodendron D2 0,27 გ; Arnica montana D2 0,3 გ; Solanum dulcamara D2 0,075 გ; Symphytum officinale D8 0,75 გ; Sanguinaria canadensis D2 0,225 გ; Sulfur D6 0,27 გ; Nadidum D6, Coenzym A D6, Acidum a-liponicum D6, Natrium diethyloxalaceticum D6 – შესაბამისად 0,01 გ; Acidum silicium D6 1,0 გ. ეთანოლით სტაბილიზირებული ჰიდროფილური მალამო 12,9 vol % Ethanol.

ჩვენება:

ართროზები (კერძოდ გონართროზი, პოლიართროზი, სპონდილართროზი, მხარ-ბეჭის სახსრის პერიართროზი).

წინააღმდეგ ჩვენება:

ტაბლეტები: მომატებული მგრძნობელობა მცენარე Rhus toxicodendron-ის მიმართ.

საინექციო ხსნარი: მომატებული მგრძნობელობა Rhus toxicodendron-ის და რთულყვავილოვანთა მიმართ.

მაღამო: მომატებული მგრძობელობა არნიკის მიმართ; არ გამოიყენება Rhus toxicodendron-ის და მაღამოს სხვა კომპონენტების მიმართ მომატებული მგრძობელობისას.

გვერდითი ეფექტი:

საინექციო ხსნარის გაკეთებისას ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება აღინიშნოს სახსრების ტკივილი, რომელიც იხსნება ანთების საწინააღმდეგო თერაპიით. რთულყვავილოვანთა მიმართ განსაკუთრებული მგრძობელობისას, ინექციების შემთხვევაში, მოსალოდნელია ანაფილაქსიური რეაქციები; იშვიათ შემთხვევაში აღინიშნება კანის რეაქციები მაღამოს გამოყენების შემდეგ.

სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება:

აღსანიშნავ თავისებურებათა გარეშე.

დოზირება და გამოყენების წესი:

ტაბლეტები: ჩვეულებრივ – თითო ტაბლეტი 3-4-ჯერ დღეში ენის ქვეშ დადებით.

საინექციო ხსნარი: ჩვეულებრივ – 1 ამპულა კვირაში 2-ჯერ კანქვეშ, კუნთში, კანში, ვენაში, სახსარში ან სახსრის გარშემო, აუცილებლობისას – პარავერტებრალურად. დიდი სახსრების დაავადებისას შეიძლება გამოვიყენოთ 2 ამპულა.

მაღამო: დაზიანებულ ადგილზე ფრთხილად შესაზელად დილასაღამოს, აუცილებლობისას – უფრო ხშირად; შეიძლება დაიდოს ნახვევი მაღამოთი.

დამატებითი რეკომენდაცია:

სახსრის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია სინოვიალური მემბრანის და სინოვიალური სითხის, ასევე სახსრის ხრტილის ნივთიერებათა ცვლის შენარჩუნება. ხრტილში წარმოიქმნება რემეჟავა (ემბდენ-მაიერზოფის სქემის მიხედვით), რომელიც სინოვიალური სითხის მეშვეობით გადაეცემა სასახსრე ჩანთას, სადაც ლიმონმჟავა ციკლის დროს დაჟანგვის პროცესში გამოთავისუფლდება აუცილებელი ენერგია. ართროზისას სახსრის შემაერთებელ ქსოვილში ნივთიერებათა ცვლის მოშლა შეინიშნება (ხრტილში, სინოვიალურ მემბრანაში, სინოვიალურ სითხეში), რომელიც შემაერთებელი ქსოვილის სტრუქტურის გაძლიერებული დაშლით ხასიათდება. ამრიგად, წარმოიშვება შეუფარდებლობა ნივთიერებათა ცვლის კატაბოლურ და ანაბოლურ პროცესებს შორის.

თერაპიის მიზანია მოშლილი ნივთიერებათა ცვლის პროცესის

ნორმალიზება.

ენერჯის გამოყოფილი ძირითად რეაქციას წარმოადგენს წყალბადის წარმოქმნა, რომელიც ლიმონმჟავას ციკლიდან გადაეცემა ნიკოტინამიდ-ადენინ-დინუკლეოტიდს (ნადიდი), როგორც სუნთქვის ჯაჭვის დასაწყის ელემენტს. სახსარში ნივთიერებათა ცვლის დროს ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება ჟანგვა-აღდგენით რეაქციებს რძის და პიროყურძნის მჟავებს შორის, რომელშიც კატალიზურ ზემოქმედებას ნადიდი ასრულებს.

ლიპონის მჟავა ასევე მონაწილეობს წყალბადის გადატანაში, რომელიც, თავის მხრივ, ჟანგვით დეკარბოქსილირებაში (პიროყურძნის მჟავის გადასვლა ძმარმჟავაში) მონაწილეობს.

კონენზიმ A-სთან ურთიერთქმედებით წარმოიქმნება გააქტივებული ძმარმჟავა, რომელიც ლიმონმჟავას ციკლში ერთ-ერთ ძირითად გამააქტივებელს წარმოადგენს; ამავე როლს თამაშობს ოქსალაცეტატი.

რევმატული დაავადებების თერაპიაში დიდი ხანია გამოიყენება გოგირდი, მაგრამ მხოლოდ მუკოპოლისაქარიდსულფატების სამეცნიერო გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ ორგანიზმი გადაამუშავებს გოგირდს და გარდაქმნის ქონდროიტინსულფატად.

შემაერთებელი ქსოვილის ფორმირებისათვის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს ორგანული პრეპარატები (*Cortilago*, *Funiculus umbilicalis*) წარმოადგენს, *Placenta* სისხლით მომარაგებას ააქტიურებს, ხოლო *Embryo* დამატებით მასტიმულირებელ ეფექტს ახდენს.

მცენარეული კომპონენტები (*Rhus toxicodendron*, *Dulcamara*, *Sanguinaria*, *Symphytum*, *Arnica*) გამოიყენება რევმატული დაავადებისას – იმ შემთხვევაში, როდესაც აღინიშნება მდგომარეობის გაუარესება ნესტიან ამინდში.

Zeel T-ს ფარმაკოლოგიურად აქტიური და არატოქსიკური კომპონენტები საშუალებას გვაძლევს ეს პრეპარატი სახსრების ქრონიკული დაავადებების სამკურნალო ძირითად საშუალებად ჩავთვალოთ, რაც მრავალრიცხოვანი კლინიკური გამოკვლევებით დასტურდება.

კომპლექსური პრეპარატების უმაგნელი კომპონენტების საკიბელი

კომპონენტი	ჩვენება	აოტენცია	პრეპარატი
Acetylsalicylsäure	კუჭ-ნაწლავის აშლილობა, სისხლდენა, ყურებში ხმაური, შემაერთებელი ქსოვილის დაზიანება.	D10	Ubichinon compositum
Acidum a-ketoglutaricum	კრების ციკლისა და ჟანგვა-აღდგენითი პროცესების რეგულატორი, ღვიძლის გადიდება, საკვების მიღების შემდეგ კუჭის გადავსების შეგრძნება, ეგ ზემა.	D8 D10	Coenzyme compositum Cutis compositum Hepar compositum
Acidum arsenicosum (Arsenicum album)	ანთებები სხვადასხვა ორგანოებსა და ქსოვილებში; კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი ახალწარმონაქმნები.	D6 D8 D 28	Gastricumeel Diarheel Echinacea compositum Syzygium compositum Solidago compositum
Acidum ascorbicum	ზემოქმედებს ჟანგვა-აღდგენითი პროცესების ფერმენტებზე.	D6 D8	Testis compositum Coenzyme compositum
Acidum cis-aconitum	ზემოქმედებს ჟანგვა-აღდგენით პროცესებსა და ლიმონმჟავას ციკლზე; იმუნური სისტემის სისუსტე, სტენოკარდია, ტაქიკარდია, ძვლები და ხერხემლის ღამის ტკივილები (ინვოლუციური ოსტეოპოროზი); განწყობილების მკვეთრი ცვლილებები, დეპრესია.	D10	Ovarium compositum

Acidum DL-malicum	კრებსის ციკლისა და ჟან-გვა-ალდგენითი პროცესების რეგულატორი. ღვიძლის გამკვრივება, ქოლელითიაზი, კანის გამონაყარი ქავილით.	D8	Coenzyme compositum
		D10	Hepar compositum
Acidum fumaricum	კრებსის ციკლისა და ჟან-გვა-ალდგენითი პროცესების რეგულატორი. გამოფიტვა, ქოლელითიაზი, სებორეა, ფერისმჭამელები.	D8	Coenzyme compositum
		D10	Cutis compositum Hepar compositum
Acidum formicum	ეკზემები, ალერგიები	D198	Cutis compositum
Acidum nitricum	კანისა და ლორწოვანის ანთებითი დაავადებები ნახეთქების წარმოქმნით, დაავადებები, რომლებსაც წონაში დაკლება მოჰყვებათ, განწყობილების პათოლოგიური ცვლილებები.	D4	Hormeel Reneel
		D6	Galium-Heel
Acidum phosphoricum	ფსიქიკური და ფიზიკური გამოფიტვა, კალციუმის ცვლის მოშლა.	D4	Nervoheel Syzygium compositum
		D6	Cutis compositum
		D10	Cerebrum compositum
Acidum picricum	ნერვული გამოფიტვის მდგომარეობა (ზურგისა და გავის არეში, სახსრებისა და კუნთების ტკივილებთან ერთად).	D5	Valerianaheel
		D6	Discus compositum
Acidum sa- crolacticum	კუნთების ტკივილები; შაქრიანი დიაბეტის დამხმარე თერაპია.	D6	Placenta compositum

Acidum silicicum	ლიმფური ჯირკვლების ქრონიკული ანთება, ფსიქიკური და ფიზიკური გამოფიტვა (კონსტიტუციური საშუალება).	D4	Strumeel
		D12	Spascupreel Spigelon
Acidum succinicum	კრებსის ციკლის რეგულატორი. ალერგიული სურდო; გამოფიტვა.	D8	Coenzyme compositum
Aconitum	მწვავე ანთებითი დაავადებები; ნერვული დაავადებები ნევრალგიებით, გულის მუშაობის მწვავე დარღვევა შიშის შეტევებით.	D3	Traumeel S
		D4	Bryaconeel Gripp-Heel
		D6	Cerebrum compositum Spascupreel
		D12	Barijodeel
Adenosin-triphosphat	უჯრედის ენერგეტიკის გაძლიერება (კრებსის ციკლი და სხვა), განსაკუთრებით იატროგენული დაავადებების თერაპიის დროს.	D10	Coenzyme compositum
Aesculus	ვენური სისხლის მიმოქცევის დარღვევა, ჰემოროი, გავა-წელის ტკივილები.	D4	Cerebrum compositum
Aesculus hippocastanum	ვენური შეგუბება და მისი შედეგები, ჰემოროი	D6	Cutis compositum Discus compositum Placenta compositum
Agaricus	აღზნებული მდგომარეობა, იატროგენული დაავადებები და ნარკოტიკული დამოკიდებულება, შარდის ბუშტისა და საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებები.	D4	Spascupreel

Alumina	გამონაყარი, ლორწოვანი გარსების ქრონიკული ანთება, შარდის ბუშტის ატონია, იშურია.	D12	Reneel
Ambra	სისუსტისა და ნერვული გამოფიტვის სინდრომი, ძილის დარღვევა, ვეგეტატიური დარღვევები, დაქვეითებული გუნება-განწყობილება, სისხლძარღვების კალციინოზი, ნაადრევი დაბერება.	D6	Vertigoheel
		D10	Cerebrum compositum
Amonium bromatum	სასუნთქი გზების ანთება, ნერვალური ხასიათის თავის ტკივილები, ლორწოვანის დაავადებები.	D1	Valerianaheel
		D4	Gynaecoheel Spascupreel
Ammonium muriaticm	იშიალგია, ნევრალგია.	D8	Discus compositum
Anacardium	ნაწლავების სისუსტე, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლული, ნერვული გამოფიტვა, დეპრესია, აკვიატებული იდეები.	D6	Cerebrum compositum Mucosa compositum
		D12	Barijodeel
Anisum stellatum	ბრონქიტი.	D3	Tartephedreel
Antimonium crudum	საჭმლის მონელების დარღვევა (დისპეფსია, მადის დაქვეითება საკვების შეძლებლით, კუჭის გადავსების შეგრძნება).	D6	Gastricumeel
Antrachinon	ენერგეტიკულ ცვლაზე შემოქმედება, განაპირობებს დეტოქსიკაციას, გასტროინტენტიური აშლილობა.	D10	Ubichinon compositum
Apis mellifica	ანთებები და შეშუპებით მიმდინარე დაავადებები, ალერგია	D2	Apis-Homaccord
		D4	Angin-Heel Gynacoheel

		D10	Apis-Homaccord Metro-adnex-injeel
		D12	Galium-Heel
		D30	Apis-Homaccord Metro-adnex-injeel
		D200	Apis-Homaccord Metro-adnex-injeel
		D1000	Apis-Homaccord
Apisinum	ანთებები და შეშუპებით მიმდინარე დაავადებები, ალერგია	D6	Apis-Homaccord
		D8	Ovarium compositum Solidago compositum
		D30	Apis-Homaccord
Aquilegia vulgaris	უძილობა, ნევროზი, დისმენორეა, ფუნქციური ამენორეა.	D4	Hormeel Ovarium compositum
Aranea diadema	პერიოდულად განმეორებადი ნევრალგიები, ცხელების შეტევები, მგრძნობელობის დარღვევა, სახსრების დაავადებები, მდგომარეობის გაუარესება ცივ და ნესტიან ამინდში.	D6	Lymphomyosot
Araneus diadematus	სახსრების ტკივილი (გაუარესება ცივ და ნესტიან ამინდში).	D6	Osteoheel
Arctium lappa	ჭარბი გამონაყარი	D6	Cutis compositum
Argentum	ნახისა და ხორხის ქრონიკული ანთებები, ნერვულ-ფსიქიკური გამოფიტვა, ნერვული სისტემის დაავადებები, დამბლა და კიდურების კრუნჩხვები, საკვერცხეების ანთება.	D8	Galium-Heel
		D10	Discus compositum

Argentum nitricum	საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები, შაკიკი, ლორწოვანი გარსების ქრონიკული დაავადებები.	D6	Gastricumeel Mucosa compositum Solidago compositum
		D8	Diarheel Echinacea compositum
		D10	Euphorbium compositum
Arnica	ნებისმიერი სისხლდენა, დატვირთვის შემდგომი მიაღვია, არტერიებისა და ვენების დაავადებები.	D2	Traumeel S
		D4	Angin-Heel Barijodeel Echinacea compositum Zeel T
		D28	Cerebrum compositum
Arsenicum album	სხვადასხვა ლოკალიზაციისა და სიმძიმის ანთებითი პროცესები, კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნეები, ნერვული აშლილობა (შფოთვა, შიში, სასოწარკვეთა).	D6	Gastricumeel
Arsenum iodatum	სურდო, ბრონქიტი (განსაკუთრებით მშრალი ხველის დროს), სენილური გული.	D6	Husteel Tartephedreel
Arteria suis	სისხლის მიმოქცევის დარღვევა, სანგამოშვებითი კოჭლობა	D10	Placenta compositum
Asa foetida	ძვლოვანი ქსოვილის ანთება და ჩირქოვანი პროცესები.	D4	Osteoheel
ATP (Adenosintrip-hosphat)	იმ სისტემების გაძლიერება, რომლებიც ენერგიას მოიხმარს.	D10	Ubichinon compositum
Atropa belladonna	კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მწვავე, ცხელებით მიმდინარე ანთებები.	D10 D30 D200 D1000	Chelidonium-Homaccord

Atropinum sulfuricum	სასუნთქი გზებისა და ექს-კრეტორული ორგანოების (კანის ჩათვლით) ანთებები, გლუვკუნთოვანი ორგანოების სპაზმი.	D6	Spascupreel
Aurum iodatum	მომატებული არტერიული წნევა, არტერიების კალცი-ნოზი და სხვა დაავადებები, ჯირკვლოვანი ორგანოების გამკვრივება, ამას გარდა, მე-ტრიტი, საშვილოსნოს მიომა.	D12	Gynaecoheel
Aurum metallicum	ლორწოვანის ჩირქოვანი დაავადებები, ოსტიტი და პერიოსტიტი, არტერიული ჰიპერტენზია, სისხლძარღვთა კალცინოზი, სტენოკარდია, ჯირკვლოვანი ორგანოების გამკვრივება, ღებრესია.	D10	Galium-Heel
Avena sativa	დაუძლეურება; ძილის დარ-ღვევა	0 D6	Valerianaheel Hepar compositum
Bacillinum	სასუნთქი გზების ანთება, კანის დაავადებები, თავის ტკივილი, საერთო სისუსტე.	D12	Psorinoheel
Bacterium coli-Nosode	საშარდე გზების ინფექციები, მაგ., პიელიტი, ცისტეიტი, ტენეზმები, (მდგომარეო-ბის გაუარესება ნესტიან ამინდში.	D13	Solidago compositum
Baptista tinctoria	მძიმე ინფექციები მაღალი ცხელებით, სეფსისი, ცნობიერების დარღვევა. ზოგადი დეტოქსიკაციური მოქმედება.	D4	Echinacea compositum Solidago compositum

Barium carbonicum	მაღალი არტერიული წნევა, სისხლძარღვების შევიწროება.	D12	Barijodeel
		D13	Placenta compositum
Barium oxal-succinicum	კრებსის ციკლისა და ჟანგვა-აღდგენითი პროცესების რეგულატორი, დარღვევები ენდოკრინულ სისტემაში და კიდურების სისხლის მიმოქცევაში.	D10	Coenzyme compositum
Belladonna	მაღალი ტემპერატურით მიმდინარე ნუშურების, სასუნთქი გზების, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, შარდ-სასქესო სისტემის ორგანოების ანთებები.	D2	Belladonna-Homaccord Viburcol
		D3	Spascupreel Spigelon
		D4	Angin-Heel Bronchalis-Heel Husteel Tartephedreel Traumeel S
		D10	Belladonna-Homaccord Mucosa compositum
		D30	Belladonna-Homaccord
		D200 D1000	
Bellis perenis	სისხლდენები, სისხლჩაქცევები, კუნთების ტკივილები, განსაკუთრებით გადაძაბვის შემდეგ.	D2	Traumeel S
Berberis vulgaris	ჰეპატობილიარული სისტემის დაავადებები, თირკმლებისა და შარდის ბუშტის დაავადებები. ამას გარდა, სახსრების რევმატოიდული და მეტაბოლიზმის დარღვევით გამოწვეული დაავადებები, მოძრაობის დროს მდგომარეობის გაუარესება.	D2	Berberis-Homaccord Reneel
		D4	Discus compositum Solidago compositum
		D10 D30 D200	Berberis-Homaccord

Beta vulgaris rubra	ქსოვილოვანი სუნთქვის რეაქტივაცია (მათ შორის ინფექციური დაავადებების დროს), ქრონიკული კატარი.	D4	Coenzyme compositum
Betonica	ტკივილები ეპიგასტრიუმის მიდამოში, ასთმური მდგომარეობა, გაციებითი კატარი.	D2	Tartephedreel
Betula alba	დიურეზული საშუალება, ლორწოვანი გარსების, განსაკუთრებით კუჭის, კატარალური ანთება.	D2	Galium-Heel
Blatta orientalis	ბრონქიტი, ასთმა.	D6	Tartephedreel
Bothrops lanceolatus	სისხლდენა, სისხლის შედელების დარღვევა, სისხლძარღვების დაავადებები, ამას გარდა, მეტყველებისა და მეხსიერების დარღვევა.	D10	Cerebrum compositum
Bryonia	სასუნთქი გზების, პლევრის, ბადექონისა და ღვიძლის მწვავე ანთებითი დაავადებები, მეტეორიზმი, ფაღარატი-სა და ყაბზობის მონაცვლეობა; მწვავე და ქრონიკული რევმატიული დაავადება.	D2	Nux vomica-Homaccord
		D3	Spascupreel Spigelon
		D4	Bryaconeel Gripp-Heel
		D6	Nux vomica-Homaccord Echinacea compositum
		D10	Nux vomica-Homaccord
		D15 D30 D200 D1000	
Bucco	შარდ-სასქესო სისტემის დაავადებები.	D8	Solidago compositum

Bufo	თავის ტვინის დაზიანება, კრუნჩხვა და ცერებრული სეტევეები, კანისა და ჯირკვლების ანთება დაჩირქებით, ნერვული წარმოშობის გულის ტკივილები.	D10	Psorinoheel
Caladium seguinum	სასქესო ორგანოების გაღი- ზიანების სინდრომი.	D6	Testis compositum
Calcium carbonicum Hahnemanni	კალციუმის ცვლის მოშლა, კანისა და ლორწოვანის ქრო- ნიკული დაავადებები; ლიმ- ფატიზმისა და ექსუდაციური ღიათეზის დროს კონსტიტუ- ციური საშუალება.	D8 D28	Hormeel Viburcol Hepar compositum
Calcium fluoratum	კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებები, შემაერთებელი ქსოვილის დეგენერაციუ- ლი პროცესები, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები.	D8 D13	Galium-Heel Cutis compositum
Calcium phosphori- cum	კონსტიტუციური საშუალება ლიმფატიზმის დროს. დაუ- ძლურება, მადის დაკარგვა, კალციუმის უკმარისობა, ხერ- ხემლის დაავადებები.	D6 D10 D12	Osteoheel Discus compositum Lymphomyosot
Calcium Jodatum	ჩივი.	D4	Barijodeel Strumeel
Calendula	ძნელად შეხორცებადი ჭრი- ლობები, ღია და დახურული ჭრილობები, კანის მოყინვა და დამწვრობა.	D2	Traumeel S
Caltha palustris	გამონაყარი კანზე (პემფი- გუსი, პუსტულები)	D3	Galium-Heel

Cantharis	შარდ-სასქესო სისტემის ორგანოების შწვავე ანთება.	D5	Reneel
		D6	Solidago compositum
		D8	Testis compositum
Capsicum annuum	შარდის ბუშტისა და შარდსაწვეთების ლორწოვა- ნის ანთება.	D6	Solidago compositum
Carbo vegetabilis	საჭმლის მომნელებელი ორგანოების ფუნქციური მოშლილობა, მეტეორიზმი, სისხლდენა ლორწოვანი გარსებიდან.	D6	Gastricumeel
Carduus marianus	ჰეპატობილიარული სისტე- მის დაავადებები (განსაკუ- თრებით შეგუბებითი მოვლე- ნები კარის ვენისა და მცირე მენჯის ვენების სისტემაში), ჰემოროი.	D2	Hepeel
		D3	Hepar compositum
Cartilago suis	სახსრების დაავადებები.	D6	Zeel T
		D8	Discus compositum
Causticum Hahnemanni	სასუნთქი და საშარდე გზე- ბის დაავადებები, დეპრესია.	D4	Reneel
		D6	Barijodeel Husteel
		D10	Neuralgo-rheum-injeel
		D30 D200	
Ceanothus	ელენთის გაღიდება.	D4	Mucosa compositum
Cedron	ნევრალგია.	D4	Klimakt-Heel
Cerebrum suis	ფსიქიკური გადაძაბვის მდგომარეობა, განვითარების	D8	Cerebrum compositum

დარღვევა, ცერებრული სის-
ხლის მიმოქცევის მოშლი-
ლობა ცერებრული ფუნქციის
შემდგომი მოშლილობით.

Cerium oxalicum	ღებინება, შეტევითი ხველა, ჰიპოქსიური მდგომარეობა.	D8	Coenzyme compositum
Chamomilla	მწვავე ტკივილები, აღზნე- ბული მდგომარეობა, დეპრე- სია.	0	Valerianaheel
		D1	Viburcol
		D3	Spascupreel Traumeel S
Chelidonium majus	ჰეპატობილიარული სისტე- მის ანთებები, კალკულოზუ- რი ქოლეცისტითი, ღვიძლი- სა და ნაღვლის ბუშტის ქრონიკული დაავადებები.	D4	Hepar compositum Hepeel
		D10	Chelidonium-Homaccord
		D30 D200	
China	ანემია, საერთო სისუსტე, დაუძლეურება, ნევრალგია	D3	Hepeel
		D4	Cerebrum compositum Discus compositum Hepar compositum
		D2	China-Homaccord
		D10	
		D30 D200	
Cholesteri- num	ღვიძლის დაავადებები, ჰიპერქოლესტერინემია.	D10	Hepar compositum
Cicuta virosa	კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი კერები, კრუნჩხვე- ბი, ცერებრული შეტევები.	D5	Psorinoheel

Cimicifuga	რევმატული და ვერტებრო-გენული წარმოშობის მიალგია, გულის მიდამოში სპასტიური ხასიათის ტკივილები, მანიაკალურ-დეპრესიული მდგომარეობა.	D4 D10 D30 D200	Discus compositum Metro-adnex-injeel
Citrllus colocynthis	საჭმლის მომნელებელი ტრაქტისა და სანაღვლე გზების სპაზმური ტკივილები	D2 D10 D30 D200	Berberis-Homaccord
Clematis	კანზე გამონაყარი, ლიმფადენოპათია, ქუთუთოების, შემაერთებული ქსოვილის, შარდის ბუშტის, ურეთრის, სათესლე ჯირკვლების ანთებები.	D4	Galium-Heel
Cocculus	სხვადასხვა წარმოშობის თავბრუ, ცერებროსკლეროზი, ტკივილები კეფის არეში, ნევროზული მდგომარეობა, მათ შორის ძილის დეფიციტით გამოწვეული.	D4	Cerebrum compositum Vertigoheel
Coenzym A	ტრანსაცეტილირების პროცესის კოენზიმი	D8 D10	Coenzyme compozitum Zeel T Discus compositum Ubichinon compositum
Colchicum	მწვავე და ქრონიკული პოდაგრა, მწვავე რევმატიზმი, თირკმლებისა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ორგანოების ანთება.	D4 D6 D10 D30 D200	Lithiumeel Ubichinon compositum Diarheel Neuralgo-rheum-injeel

Colibacillum	ნაწლავური ინფექციები, მეტეორიზმი, ქოლანგიტი, კალკულოზური ქოლეცისტეტი, შარდის ბუშტის ანთება.	D28	Mucosa compositum
Colocynthis	ნევრალგიები, განსაკუთრებით სახის მიდამოში, იშიალგია. საჭმლის მომნელებელი ტრაქტისა და სანაღვე გზების სპაზმური ტკივილები.	D2 D10 D30 D200 D3 D10 D30 D200 D4 D6 D10 D30	Colocynthis-Homaccord Nux vomica-Homaccord Discus compositum Spascupreel Diarheel Neuralgo-rheum-injeel
Colon suis	დებოქსიკაციის ფუნქციის სტიმულაცია, ნაწლავების ატონია, ტენეზმები, კოლიტი, მათ შორის წყლულოვანიც.	D10	Hepar compositum
Condurango	ნახეთქები და წყლულები ტუჩისა და სწორი ნაწლავის მიდამოში, საყლაპავის ანთება და შევიწროება, საჭმლის მომნელებელი ორგანოების სტიმულაცია.	D6	Mucosa compositum
Conium	ცერებრალური არტერიების კალცინოზი (ცერებროსკლეროზი ჰიპოქსიური თავბრუსხვევით), დამბლა, სხვადასხვა ლოკალიზაციის სიმსივნური წარმონაქმნები, განწყობილების ცვლილებები.	D3 D4	Vertigoheel Cerebrum compositum Ubichinon compositum

Conium maculatum	თავის ტვინის სისხლძარღვების გამტარობის მოშლა (ცერებრული სკლეროზი); დეპრესია.	D28	Testis compositum
Cor suis	კორონარული სისხლის მიმოქცევის დარღვევა, გულის უკმარისობა.	D8	Testis compositum
Cortisonacetat	თირკმელზედა ჯირკვლების, ჰიპოფიზის წინა წილისა და შემაერთებული ქსოვილის ფუნქციების დარღვევა.	D13	Echinacea compositum
		D28	Testis compositum Cutis compositum
Coxsackievirus A9-Nosode	საშარდე გზების დაავადებები (მაგ., ცისტოპიელიტი, შარდის ბუშტის ანთება, ურეთრიტი, პროსტატიტი), სათესლე დანამატის ანთება.	D8	Solidago compositum
Crabrovespa	ლორწოვანის შეშუპება, შარდ-სასქესო ორგანოების ანთება.	D4	Gynacoheel
		D10	Metro-adnex-injeel
		D30 D200	
Crataegus	გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები: მიოკარდის პათოლოგია, „სენილური“ გული, გულის რითმის დარღვევა, სტენოკარდია და არტერიული წნევის ცვლილებები.	0	Cralonin Valerianaheel
		D1	Cactus compositum
Cuprum aceticum	კრუნჩხვითი სინდრომი ან კუნთების კრუნჩხვისადმი განწყობა, სტენოკარდია.	D6	Discus compositum Husteel
Cuprum sulfuricum	გლუვი კუნთების სპაზმი, კრუნჩხვები ღამით.	D6	Placenta compositum Solidago compositum Spascupreel

Curare	ღამბლა, კრუნჩხვა.	D8	Syzygium compositum Testis compositum
Cutis suis	კანის ფუნქციების სტიმულაცია. დერმატოზი, სებორეა, ეგზემა, კანის ნახეთქები, კანის ალერგიული რეაქციები და სხვა (მაგ., დამწვრობა, სხივური თერაპიის შემდგომი მდგომარეობა).	D8	Cutis compositum
Cyclamen	თავის ტკივილები, ციკლის დარღვევები, დეპრესია.	D4	Hormeel
Cynara scolymus	ჰეპატობილიარული სისტემის ქრონიკული დაავადებები.	D6	Hepar compositum
Cypripedium calceolus var. pubenses	უძილობა (განსაკუთრებით მომატებული ადგენებების დროს)	D6 D8	Ovarium compositum Hormeel
Cypripedium alceolus var. pubenses	უძილობა (განსაკუთრებით მომატებული ადგენებების დროს)	D6 D8	Ovarium compositum Hormeel
Cystein	ჟანგვა-აღდგენითი პოტენციალის სულფჰიდრილური ფაქტორი. რეტოქსიკური დარღვევები.	D6	Coenzyme compositum
Damiana suis	სქესობრივი უძლურება.	D8	Testis compositum
